უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი & კანონმდებლობა

დეკემბერი 2018

www.b-k.ge
info@iverioni.com.ge

DECEMBER 2018

Business & Law

ISSN 1987 - 6041
9 771987 604000

ბიზნესი და კანონმდებლობა

დეკემბერი 2018

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

ინდექსირებულია საერთაშორისო ძიებო ბაზაში Google scholar

რეფერირებადია 2008 წლიდან

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. შემოსული სტატიების შინაარსზე და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. 6. სართული 2.

ტელ: 599 56-14-57, 574 43-64-27

www.b-k.ge;

E-mail: info@iverioni.com.ge,

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი";

ბანკის კოდი: BAGAGE22;

ა/ა GE30BG0000000850902700;

ს/კ 404956455.

გამომცემლები:

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია,

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო "ივერიონი"

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყებია

მთავარი რედაქტორი:

იური პაპასქუა, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილონა ადამია

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან გოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
მიხეილ ჯიბუტი (საბჭოს თავმჯდომარე), ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, პაატა კოლუაშვილი, ნოდარ ხადური, ნატო კაკაშვილი, ნანა შონია, დავით ჯალაღონია, თემურ ხომერიკი, კოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი ღავთაძე, ლია ელიავა, დავით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტკარაძე, დემნა კვარაცხელია, ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე, ზურაბ ლიპარტია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
ავთანდილ სილაგაძე.
სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ გახოკიძე.
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თავხელიძე.

რობერტ ვ. მაკგი (აშშ ფაეტეევილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი ვ. დნესი (ნორტცენტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიგლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერზევი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი, ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსეი რუფი (რუსეთის ფედერაციის ბუღალტრულ ექსპერტთა და ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ საკონსულტაციო ჯგუფის „რუფაუდიტ/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია გრიგოროი (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მოლდოვეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფედერიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარვერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

Business & Law

DECEMBER 2018

INTERNATIONAL
SCIENTIFIC-ANALYTICAL JOURNAL

Indexed in the Google schoral international search system

Referenced since 2018

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:
Tbilisi, Kostava str. 6.
Tel: 599 56-14-57, 574 43-64-27
URL: www.b-k.ge
E-mail: info@iverioni.com.ge,
gfaafm@gmail.com

BANK DETAILS:
JSC Bank of Georgia
Bank code: BAGAGE22
c/a GE30BG0000000850902700
i/c 404956455

PUBLISHERS:
The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia;
Information – analytical agency „Iverioni"

CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:
ZAUR NACHKEBIA

EDITOR - IN – CHIEF
IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor

EDITOR – IN – CHARGE
ILONA ADAMIA

TECHNICAL DIRECTOR:
LEVAN BOCHORISHVILI

EDITORIAL BOARD:

DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:
Mikheil Jibuti (Chairman of the Board), Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nodar Khaduri, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gavtadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze, Zurab Lipartia.

Academic of the Georgian Academy of Sciences
AVTANDIL SILAGADZE
Doctor of Law and Politics Sciences
JEMAL GAKHOKIDZE
Doctor of Pedagogical Sciences
MAMUKA TAVKHELIDZE
Fayeteville State University Professor

ROBERT MCGEE (USA)
Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

VINCENT R. JOHNSON,
The Graduate School, Northcentral University,
(Prescott Valley, Arizona, USA)

ANTONY W. DNES
Berlin University Professor

BERNARD ZIGLER (GERMANY)
Bonn University Professor,

IOHAN FISHER (GERMANY)
Baku State University, Professor

ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)

MARIE LANG, Technical Director of EFAA

ANNA KARMAŃSKA, Professor, EFAA Board Member,
Warsaw School of Economics.

ALEXEY RUF, Chairman of the Board of Guild of Accountant Experts and Financial Auditors of Russian Federation.

LILIA GRIGOROI, Ph. D.in Economics, Head of Accounting Department, Academy of Economic Sciences of Moldova.

FEDERICO DIOMEDA, doctor, Special Adviser to the President of EFAA.

ROBIN JARVIS, Professor, Special Adviser,
Association of Chartered Certified Accountants.

შინაარსი

დავით ჯალაღონია, იური პაპასქუა
ფინანსური ანგარიშგების როლი ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში ---------- 6

რევაზ ხარებავა
განვითარების ეკონომიკა - სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაციის მოდელი ------- 14

დავით ჯალაღონია, ვახტანგ კუცია
შესაძენ საქონელში წუნდებულის დასაშვები მოცულობის
განსაზღვრის ერთი მოდელის შესახებ ---------- 17

კობა ბასილაია
ფინანსური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინოვაციების
როლის განსაზღვრა საბანკო მენეჯმენტში ---------- 21

კახი კოპალიანი, ირმა დიხამინჯია
ლიდერობისა და ხელმძღვანელობის ცნებების
გაგებასთან დაკავშირებული შეხედულებები ---------- 28

რამაზ ნამიჭეიშვილი
ზნეობა და ეკონომიკა ---------- 31

პაატა კოღუაშვილი
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კანონმდებლობის
პრეცედენტები თანამედროვე მსოფლიოში ---------- 38

რამაზ ნამიჭეიშვილი
რატომ ცხოვრობს ქართველი ღარიბულად ---------- 44

პაატა კოღუაშვილი
რატომ ჩაგრავს „მეგრული თხილი“ „დარჩელის თხილს“
და რატომ ეწინააღმდეგება საკუთარ თავს სამინისტრო?! ---------- 51

კესო სუმბაძე
კომუნიკაციური კავშირები და გადაწყვეტილება საქართველოს საჯარო სექტორში ------ 53

ზურა ჟღენტი
ფინანსური ბაზარის საკრედიტო ინსტრუმენტების ეფექტური მართვის ამოცანები ----- 57

ნასყიდა დარბუაშვილი
საბანკო ყულფი და დასაღუპავად განწირული ქვეყანა! ---------- 60

ოთარ გვაზავა
წინასწარი გადაწყვეტილების როლი საგადასახადო სისტემაში ---------- 69

ნათია სურმანიძე
მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოში ---------- 76

CONTENTS

DAVID JALAGHONIA, IURI PAPASQUA
The role of financial statements in economic integration processes ---------- 6

REVAZ KHAREBAVA
Development Economics – the model of consolidation of Society ---------- 14

DAVID JALAGHONIA, VAKHTANG KUTSIA
About the model of determining
an admissible volume of the defective goods ---------- 17

KOBA BASILAIA
Defining the role of financial and
organizational economic innovation in banking management ---------- 21

KAKHI KOPALIANI, IRMA DIKHAMINJIA
Views on understanding of leadership and leadership concepts ---------- 28

RAMAZ NAMITCHEISHVILI
Morality and Economics ---------- 31

PAATA KOGHUASHVILI
Different kinds of agricultural legislations in modern worlD ---------- 38

RAMAZ NAMITCHEISHVILI
Thy do Georgians live in poverty ---------- 44

PAATA KOGHUASHVILI
Why does „Megrelian Nuts" oppress „Darcheli Nuts"
and why does the Ministry oppose itself?! ---------- 51

KESO SUMBADZE
Communications Connections and Decision In The Georgian Public Sector ---------- 53

ZURAB JGHENTI
Effective management tasks of financial markets credit instruments ---------- 57

NASKIDA DARBUASHVILI
Loop-noose of the Bank and Doomed country ---------- 60

OTAR GVAZAVA
The role of advance TAX ruling in TAX system ---------- 69

NATIA SURMANIDZE
SME Development Institutions in Georgia ---------- 80

ფინანსური ანგარიშგების როლი ეკონომიკურ ინტეგრაციულ პროცესებში

რეზიუმე

ფინანსური ანგარიშგების როლი დარგობრივ და ვიწრო სპეციფიკურ ფარგლებს სცილდება. სტატიაში გამოკვეთილია, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გამართულად შედგენილი ფინანსური ანგარიშგება კერძო სექტორში ინვესტიციების მოზიდვის, სამუშაო ადგილების შექმნის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და რეგიონების მდგრადი განვითარების საწინდარია; ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების პრაქტიკის დამკვიდრება ზრდის ნდობისა და გამჭვირვალობის ხარისხს, სპობს კორუფციას, აადვილებს გადაწყვეტილებების მიღებას და დაბალანსებული სახელმწიფო პოლიტიკის უკეთესად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.

გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გარდაუვალ პროცესებში, ფინანსური ანგარიშგება კეთილგანწყობილი შუამავლის ფუნქციას იძენს და დაპირისპირებულ მსოფმხედველობრივ პოზიციებს აახლოებს.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ინტეგრაცია; ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშგება; ინტეგრირებული ანგარიშგება.

დავით ჯალაღონია
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

SUMMARY

The role of financial reporting is beyond the scope of th e specific and narrow specifications. The article emphasizes that the financial statements incorporated in accordance with international standards are to attract investments in the private sector, increase competitiveness and job creation, financial stability and sustainable development of regions; Establishment of financial reporting publication, increases the level of trust and transparency, corrupts corruption, facilitates decision making and enhances a balanced state policy.

In the inevitable processes of globalization and economic integration, financial statements acquire a favorable mediator and get closer to the opposing worldly positions.

Keywords: Economic integration; Financial reporting, management reporting; Integrated reporting.

იური პაპასქუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ცოდნის დეფიციტის გამოვლინებები

დინამიკურობითა და მსოფმხედველობრივი დაპირისპირებით გამორჩეული 2018 წლის მეორე ნახევარი ქვეყნის განვითარებისთვის ორი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მოვლენითაც აღინიშნა: **პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა** (კონსტიტუციის ახალი რედაქცია ამოქმედდა) და ყველა დაინტერესებული პირებისთვის **საწარმოთა ფინანსური და მართველობითი ანგარიშგებებების გამოქვეყნება დაიწყო.**

ამ ორ, თითქოს სრულიად განსხვავებული დატვირთვის მქონე, არაშესადარის მოცემულობას და ეტაპის დასაწყისს, ერთმანეთთან აკავშირებს თანამედროვე ევროპული განათლების აუცილებობა.

საპრეზიდენტო არჩევნებმა თვალსაჩინოდ გამოკვეთა, რომ საქართველოში უმთავრესი პრობლემა ცოდნის დეფიციტია. აქედან გამომდინარეობს უმუშევრობა,

სიღარიბე, უთანასწორობა, კორუფცია და ათასი სხვა უბედურება.

ყველგან - ქუჩაში, შინ, ტრანსპორტში, საინფორმაციო საშუალებებსა თუ შეკრების ნებისმიერ ადგილას, ცხარედ კამათობენ გაუსაძლის ყოფაზე, გახშირებულ დანაშაულებზე, უსამართლო გადაწყვეტილებებზე. პირდაპირ ეთერში პოზიციის და ოპოზიციის წარმომადგენლები არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობას ერთმანეთს აბრალებენ (აკისრებენ). მთავარ მიზეზზე (თუ შედეგზე) კი, რაც ამ განუკითხაობას წარმოშობს, ხმას არავინ იმაღლებს.

ზოგადმა ფაქტორებმა, სისტემის გაუმართაობამ, ახალი თაობის მენტალურმა სახეცვლილებებმა, მკვეთრად შეცვალა განათლების მიმართ დამოკიდებულება. ბევრმა გული აიცრუა და სწავლაზე ხელი აიღო; საჯარო მმართველობასა და ბიუროკრატიაში მომრავლდნენ დიპლომიანი, მაგრამ უცოდინარი კურსდამთავრებულები, უცხოეთში ფეხადგმული და ამეტყველებული ჩინოვნიკები.

მცირე ცოდნის მქონე ხელმოცარული ადამიანები მიისწაფიან პოლიტიკაში, იქ ეძებენ თავშესაფარს, პირადი კეთილდღეობის ოაზისები სურთ მოიწყონ.

უცოდინარობის (მცირე ცოდნის და, აქედან გამომდინარე, უპასუხისმგებლო თავდაჯერებულობის) გამოვლინებაა ზღვარგასული, უსაფუძვლო კრიტიკა; ფსევდო ინტელექტუალური, უშინაარსო კეკლუცობა მიკროფონთან და ფოტო-ვიდეო კამერებთან; არაფრის გამო ხმაური ყურადღების მისაქცევად და ყოვლისმცოდნედ თავის წარდგენა; წარუმატებელი შედეგების „შეთქმულების თეორიებით“ შეფუთვა; განუხორციელებელი უხვი დაპირებების გაცემა.

შედეგობრივად, უფრო უარესია აღუსრულებელი მოლოდინი (სატყუარაზე წამოგება), კარგისა და ცუდის გარჩევის უუნარობა, მოსმენის კულტურის დაქვეითება, მიტინგებზე მოღალატის იარლიყების დარიგება ან პატრიოტიზმის გამოხატვაში მგზნებარე შეჯიბრი.

უცოდინარობაა, როცა საქმის კეთება მცირე ცოდნის მქონე მოხელეებს აბარიათ და საჭირო გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ ან მათი „ნამოღვაწარი“ ქვეყანას კატასტროფისკენ მიაქანებს; უკეთეს შემთხვევაში კი, მომავალ თაობებს უკვე დაქცეულის აღდგენა ასგზის ძვირად მოუწევთ.

ზემოაღნიშნულ გამოვლინებებს სხვა შესატყვისებიც გააჩნია და ამიტომ, შესაძლოა, ოპონენტი შეფასებებში შემოგედავოს კიდეც, თუმცა საკამათო აქ არაფერია - **ყველა უბედურება უცოდინარობიდან იღებს სათავეს და მათი კრეფსითი სახელი ცოდნის დეფიციტია.**

უცოდინარობამ განაპირობა მყარად ფესვგადგმული **„სოციალურად პოლარიზებული საზოგადოება და დემორალიზებული ეკონომიკა“[1].**

დიახ, ეკონომიკური სიდუხჭირე, სასოწარკვეთა, გაზრდილი ფასები, უხვი ხონჩის ჩამოტარების და უპოვართა დაპურების მოლოდინი უცოდინარობამ დაამკვიდრა.

ციდან მარგალიტებს არავინ ჩამოყრის; თუ არ დასთეს, ხორბალს ვერ მოიმკი; ვერც ცოლ-შვილს დაგიპურებს ვინმე, თუ სარჩო-საბადებელი არ მოიწიე. მომხვდურსაც, ვინც მიწას გართმევს, ცოდნით უნდა დახვდე და ფათერაკს ადვილად განერიდები.

წინსვლისთვის უსაზღვროდ ბევრი რესურსი არსებობს. ასევე ურიცხვია გამოუყენებელი ინტელექტუალური შესაძლებლობები. გონებრივი და ფიზიკური ძალისხმევით, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებიც დაძლევადია.

ცოდნაა ცოტა, ან თუ არის, ვერ იყენებენ. ცოდნა არ ფასობს!...

ფინანასურ ანგარიშგებაში აღბეჭდილი ცოდნის დეფიციტი

თემას რომ არ გავსცდეთ, უცოდინარობასთან საწარმოთა ფინასური და მმართველობის ანგარიშგებების გამოქვეყნების კავშირსაც უნდა შევეხოთ.

განურჩევლად ყველა საწარმოს (მიკროს, მცირესა და დიდს) ფინანსური ანგარიშგების შედგენა 2001 წლიდან მოეთხოვებოდა. 1999 წელს მიღებულმა საქართველოს კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების შესახებ“ სავალდებულო სახელმძღვანელოდ აღიარა **ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები** და აღრიცხვა-ანგარიშგება საწარმოებს ამ სტანდარტის შესაბამისად უნდა ეწარმოებინა. მაშინ საწარმოთა

კატეგორიებად დაყოფაზე არავის უფიქრია და ბუღალტრული აღრიცხვის ერთბაშად საერთაშორისო სტანდარტების ნიშნულზე აყვანის „შოკური თერაპიის“ პრინციპით მიღებულმა გადაწყვეტილებამ სავალალო შედეგები გამოიღო. ადმინისტრაციული კონტროლისა და გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე დაწესებული მკაცრი პასუხისმგებლობის (ჯარიმები, სანქციები, საურავები, ქონებაზე ყადაღის დადება, აუქციონები, სისხლის სამართლის აღძვრა და ა.შ.) შიშის გამო, საწარმოები საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვას ანიჭებდნენ უპირატესობას და მხოლოდ საგადასახადო დეკლარირების შედგენით შემოიფარგლებოდნენ. ხოლო მოუმზადებლობისა და სირთულის შედეგად, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ერთეული მეწარმე სუბიექტი თუ ახერხებდა. ხელოვნურად თუ გაუცნობიერებლად შექმნილ რეგულირების ასეთ ვააკუმში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვის წარმართვის მნიშვნელობა, ფაქტობრივად, დაკნინდა.

ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდიდან, ბუღალტრის პროფესიას - ბუღალტერს ქაღალდებში ჩაფლულ, სამკლაურებიან, ლინზიან ფინანსურ მაქინატორად წარმოსახავდნენ. ბუღალტრისთვის კომიკურ-დრამატულ-ტრაგიკული პერსონაჟის იარლიყის მიკერებამ უარყოფითად იმოქმედა პროფესიისა და დარგის განვითარებაზეც.

ამჟამადაც, პროფესიის საზიანოდ ვრცელდება მოსაზრება, თითქოს ბუღლტრული აღრიცხვა და აუდიტური საქმიანობა მილევადია. ბუღალტრის პროფესიასთან ერთად გაქრება აუდიტორის საქმიანობის აუცილებლობაც. მატთ რობოტები შეცვლიან. ასეთ ლოგიკას თუ გავყვებით, საწარმოს მენეჯმენტის და უმაღლესი ხელმძღვანელობის ჩანაცვლებაც შესაძლებელია. ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, რა თქმა უნდა, ადამიანი მიაღწევს ამჟამად არსებული საბუღალტრო პროგრამების სრულყოფას, მათ ხარისხობრივ გაუმჯობესებას. პროგრამების მომსახურება უფრო ადვილი და მარტივი გახდება; ამასთან, გაუმჯობესდება ამ პროგრამებში შერწევადობაც (ისევე, როგორც იქმნება ვირუსი და, იმავდროულად, ანტივირუსი). შეიქმნება ისეთი ვერსიებიც, რომლებშიც გარეგნულად ყველაფერი გამართულად ჩანს, თუმცა შიგნით კერძო ინტერესი იმუშავებს. ვერაფერი დააოკებს მოტივაციას, ბიზნესმა არ აღრიცხოს ყველა დანახარჯი (ხარჯი) და გადაიხადოს ნაკლები გადასახადი. მუდმივად საჭირო იქნება შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის პრინციპების ცოდნა, შეცდომისა და დარღვევის პოვნის გამოცდილება; ცოცხალი ანალიზისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ბუღალტრული განათლება და აზროვნება არა მხოლოდ მონაცემების შეგროვება და თავმოყრა რაღაც ერთგვაროვანი ნიშნით (ოპერატორის ფუნქცია), არამედ ესაა ინფორმაციებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენა და მათი მართვა, რომლის შემცვლელის შექმნა, ტირაჟირება და მასობრივი მოხმარება უახლოეს ათწლეულებში მოსალოდნელი არ არის.

დროისა და ვითარების შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მიმართ დამოკიდებულება უნდა შეცვლილიყო, თუმცა უსაგნო დავისა და კერძო ინტერესების გამომხატველი ლობისტური წინააღმდეგობების გამო, ეს გადაუდებელი აუცილებლობა უსაშველოდ გაიწელა.

საქმიანმა წრეებმა კარგად იციან, რომ ხანგრძლივი ვნებათა ღელვისა და დებატების შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომელიც 2016 წლის 8 ივნისიდან მოქმედებაშია. მიუხედავად ცალკეული ხარვეზისა და ჯერ კიდევ დასახვეწი დებულებებისა, აღნიშნული კანონის მიღება, ძველი პრაქტიკის დაგმობა და მენტალურად განსხვავებული რეფორმების ახალი ტალღის დასაწყისი იყო. ამ მხრივ, საქართველომ აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებს გაუსწრო.

ბევრ სხვა სიახლეთა შორის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონმა განსაზღვრა საწარმოთა ზომითი კატეგორიები, დაადგინა მათთვის სავალდებულოდ გამოსაყენებელი სტანდარტები, შესაბამისი ანგარიშგებების მომზადების, წარდგენისა და გამოქვეყნების წესი, მათ შორის, აუდიტის ჩატარების ვალდებულება. კერძო სექტორში

თვითდინებაზე მიშვებული დარგის სამართლებრივი რეგულირება და აღსრულებაზე ზედამხედველობაც სახელმწიფომ იტვირთა, რაც სწორი გადაწყვეტილება იყო.

საწარმოთა ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების გამოქვეყნების გადაწყვეტილებას აურზაური მოჰყვა. ბევრს მიაჩნდა, რომ საქართველოში მეწარმე სუბიექტების უმეტესობა მიკრო და მცირე საწარმოების კატეგორიას მიეკუთვნება, მხოლოდ საარსებო მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება; მათ არ გააჩნიათ ინვესტიციების მოზიდვის მოტივაცია, არც შესაძლებლობა - ფინანსური ანგარიშგების შედგენისთვის დამატებითი ხარჯები გაიღონ. ბიზნესის წარმომადგენლები შიშობდნენ, რომ ანგარიშგების გამოქვეყნებით კომერციულ საიდუმლოებებს გაამჟღავნებდნენ და გასაჯაროებული ინფორმაციით კონკურენტები ისარგებლებდნენ.

ცხადია, ასეთ განწყობას (განვითარების ხელშეშლას) არაფერი აქვს საერთო შორსმჭვრეტელობასთან, მით უფრო - ფინანსური ანგარიშგების დანიშნულებასა და მისგან მოსალოდნელ გამოვლინებებთან. **ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება არ შეიცავს ისეთ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელსაც საწარმოსთვის ზიანის მოტანა შეეძლოს. პირიქით კი არის, - ანგარიშგებების შედგენა მენეჯმენტს დასაბუთებული და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს უქმნის.**

კანონის მოთხოვნათა თანახმად, საზოგადოებრივი დაინტერესების პირები, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები, აგრეთვე პირველი და მეორე კატეგორიის ჯგუფები ვალდებულნი იყვნენ, უკვე 2018 წლის 1 ოქტომბარმდე საკუთარი 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაეტარებინათ და აუდირებული ფინანსური ანგარიშგება, აუდიტორის დასკვნასთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში სპეციალიზებულ ვებგვერდზე გამოსაქვეყნებლად წარედგინათ.

სხვა დანარჩენი (მესამე, მეოთხე) კატეგორიის საწარმოებს შესაბამისი სტანდარტებით 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადება და ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგებების პორტალზე გამოსაქვეყნებლად წარდგენა 2019 წლის 1 ოქტომბრამდე გადაუვადდათ.

საზოგადოებრივი დაინტერესების პირების, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოების, აგრეთვე პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფების 80%-მა დაკისრებული ვალდებულება შეასრულა. შეიძლება ითქვას, ამ სფეროში ეს დიდი წარმატება და ზედამხედველობის სამსახურის დამსახურებაა. ამ ურთულეს პროცესს წინ უძღოდა ზედამხედველობის სამსახურის მიერ დედაქალაქსა და რეგიონებში ორგანიზებული სემინარები, სწავლებები, განმარტებითი ხასიათის შეხვედრების სერიები.

საერთო წარმატებაში გარკვეული წვლილი აუდიტორულ კომპანიებსაც მიუძღვით; მათი კონსულტაციებით და უშუალო ჩარევით ბევრმა საწარმომ ანგარიშგებები დროულად წარადგინა.

ჯერ კიდევ ადრეა, საფუძვლიანად შეაფასო შედეგები, რომელიც საწარმოთა ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების გამოქვეყნებამ გამოავლინა. ერთ სივრცეში თავმოყრილი და ყველასთვის ხელმისაწვდომი რესურსი მრავალმხრივ ანალიზს, მოსაზრებათა შეჯერებას და განზოგადებას მოითხოვს, თუმცა პირველი ინფორმაციული ნაკადიც შთამბეჭდავია.

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების გამოქვეყნების პროცესმა აჩვენა, რომ საწარმოთა უმეტესობა ამისთვის მზად არ იყო; ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგების წარმოება ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა; ბაზარი კვალიფიციური ბუღალტრებისა და აუდიტორების ნაკლებობას უკვე განიცდის; აქედანვე აუცილებელია (თუ დაგვიანებული არაა) მომავალი წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის მზადება; მით უფრო, ფინანსური ანგარიშგების მომზადების ვალდებულების მქონე მეწარმე სუბიექტების რიცხვი მკვეთრად იზრდება. ამ მხრივ, **დაწყებულ რეფორმას არსებული ხარვეზების აღმოფხვრისკენ მიმართული შესაბამის ცვლილებების შეტანა და რეალიზაციის გააქტიურება სჭირდება. მათ შორის, უმთავრესია, როგორც საუნივერსიტეტო სწავლების პროცესის სრულყოფა, ისე პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, ბუღალტრული განათლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ბუღალტრებისა და აუდიტორების ახალი ნაკადის მომზადება.**

ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში არსებული ვითარება, უმთავრესად, წარსულ წლებში რეგულაციის გაუმართაობამ, ნაწილობრივ კი - საწარმოთა ხელმძღვა-

ნელების გაუნათლებლობამ (არაჯანსაღმა მოტივაციებმა) განაპირობა; თუმცა, ამასთან, უნდა ვაღიაროთ, რომ ბუღალტრებისა და აუდიტორების პროფესიაშიც ბევრია თვითმარქვია დასაქმებული. სხვა გამოსავალი არცაა, ისინი უნდა გადამზადდნენ (ისწავლონ, კვალიფიკაცია აიმაღლონ), ან მცოდნე კადრებით ჩანაცვლდნენ (პროფესიონალი ბუღალტრების მომზადება უფრო შორეული პერსპექტივაა).

ბუღალტრული აღრიცხვის გაჯანსაღებაში აქტიური როლი აუდიტორებს, აუდიტს, აუდიტურ მომსახურებას უნდა მიეკუთვნოს. აუდიტს, აუდიტორულ მომსახურებას შეუძლია საწარმოს სააღრიცხვო საქმიანობაში, ანგარიშგებასა და მმართველობით პროცესში არსებული რეალური სურათი გამოავლინოს, ნაკლოვანი მხარეების გამოსწორებისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის გზები დასახოს. ცხადია, ამისთვის უნდა არსებობდეს ძლიერი, მაღალი რეპუტაციის აუდიტორთა კორპუსი. საქართველოში რეგისტრირებული (აუდიტური საქმიანობის უფლებამოსილი) დამოუკიდებელი აუდიტორების რაოდენობა 440 არ აღემატება[2]. სულ კი 249 აუდიტორული ფირმაა ბაზარზე (აუდიტორულ ფირმაში ერთი აუდიტორი მაინც უნდა იყოს დასაქმებული). აქედან, ცხადია, ყველა თანაბრად არ არის დატვირთული, მათ შორის, ერთკაციანი აუდიტორული კომპანიაც ბევრია, ნაწილი რეგიონებშია განთავსებული და ზოგი აქტიურად არ საქმიანობს, - აუდიტორად იწოდება, თუმცა აუდიტის ჩატარებას არ აპირებს. სამწუხაროდ, რამდენიმე აუდიტორი სამუდამოდ გამოაკლდა მათ რიგს.

2012 წლის მიწურულის შემდეგ აუდიტორების რიცხვს არავინ შეჰმატებია და, სავარაუდოდ, მომავალი 2-3 წლის განმავლობაში შევსება არ არის მოსალოდნელი. ასეთი ჩავარდნა ხელს აძლევს ბაზრის გადანაწილებით დაინტერესებულ პირებს და პროფესიის განვითარებაზეც ნეგატიურად აისახება.

სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის შემოღებისა და სასერტიფიკაციო პროგრამის მომზადება/აღიარების გაჭიანურების გამო, პროფესიულმა ორგანიზაციებმა პროცესის დაწყების უფლემამოსილება მხოლოდ მიმდინარე წლის სექტემბრის შემდეგ მოიპოვეს. სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებელ კანდიდატებს 5 საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება მოუწევთ, რაც დროში უთუოდ გაიწელება.

წლების განმავლობაში უკონტროლობისა და აუდიტის მიმართ ფორმალური დამოკიდებულების გამო, აუდიტორების და აუდიტორული კომპანიების მომსახურების ხარისხი დადგენილ სტანდარტებს არ შეესაბამებოდა. აუდიტორების და აუდიტორული კომპანიების ნაწილის მომსახურების ხარისხი ვერც ამჟამად გამოირჩევა მაღალი პარამეტრებით. ამდენად, ბაზარზე მოქმედი და ხარისხიანი მომსახურების გაწევის მიმწოდებელი აუდიტორი/აუდიტური კომპანია, რეგისტრირებულ რაოდენობისგან განსხვავებით, ერთ ასეულსაც ვერ გადაჭარბებს.

აქედან, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშეც, უნდა შევნიშნოთ, რომ მზარდი პოტენციალის მქონე ქვეყნისთვის აუდიტორების/აუდიტორული ფირმების აღნიშნული რაოდენობა ბევრი სულაც არ არის და მათი დეფიციტის საფრთხე უფრო არსებობს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქსტატის მონაცემების თანახმად, 2018 წლის 1 სეტემბრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულია სულ **184660** აქტიური ბიზნეს სუბიექტი; აქედან, კომრციული იურიდიული პირია - **80975.** მათ შორის: სააქციო საზოგადოება - **907**; შპს **- 79423**; კოოპერატივი - **308;** სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება - **271;** კომანდატური საზოგადოება - **26;** სხვა დანარჩენი - **7691** (არასამეწარმეო და საჯარო სამართლის სუბიექტების ჩათვლით). ინდივიდუალურ მეწარმედ აღრიცხულია - **95994** ფიზიკური პირი.[3] მოსალოდნელია, რომ მათი რაოდენობა გაიზრდება. ყველა მათგანი ვალდებულია, აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება შეადგინოს. გარკვეული კატეგორიის საწარმოებს მოუწევთ მმართველობითი ან/და ინტეგრირებული ანგარიშგებების შედგენა.

ანგარიშგებების წარდგენის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სავალდებულო, საინიციატივო აუდიტისა და სხვა სახის აუდიტორული მომსახურების ჩათვლით, წლის განმავლობაში, სულ ცოტა, 10 ათას სუბიექტს მაინც დასჭირდება აუდიტორის ხარისხიანი მომსახურება. ამჟამად კი ჩვენი ბაზარი ასეთი მასშტაბის მომსახურების მიწოდებისთვის მზად არ არის.

მიმდინარე რეფორმის დადებით გამოვლინებებში, რომელიც ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების მომზადებასა და გამოქვეყნებას ახლავს, უნდა შევნიშნოთ, რომ მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობა ამით ფინანსური სტაბილურობის გარანტიას იქმნის, მომხმარებლის ნდობას იმყარებს და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობას იუმჯობესებს.

გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გამართულად შედგენილი ფინანსური ანგარიშგება კერძო სექტორში ინვესტიციების მოზიდვის, სამუშაო ადგილების შექმნის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და რეგიონების მდგრადი განვითარების საწინდარია. ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების პრაქტიკის დამკვიდრება ზრდის ნდობისა და გამჭვირვალობის ხარისხს, სპობს კორუფციას, აადვილებს გადაწყვეტილებების მიღებას და დაბალანსებული სახელმწიფო პოლიტიკის უკეთესად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ შედარებით ღარიბ ქვეყნებში აღრიცხვა-ანგარიშგება და აუდიტი დაბალ დონეზეა, სოციალური უთანასწორობა მკვეთრად პოლარიზებულია, ეკონომიკური განვითარება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, უმუშევრობის დონე მაღალია, თარეშობს კორუფცია. აქედან თავის დაღწევის ერთადერთი გზა განვითარებაზე გამიზნული რეგულაციების მიღება, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლების - საწარმოთა ხელმძღვანელების, ბუღალტრების, აუდიტორების, ფინანსისტების ცნობიერების ამაღლება და ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვაა.

საკანონმდებლო ჰარმონიზაცია და ეკონომიკური ინტეგრაცია

საზოგადოების ცნობიერების ამაღლებამ და მსოფლიო ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ ინტეგრაციული პროცესები წაახალისა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ტრანსნაციონალური ქსელები, კაპიტალის ბაზრები, თავისუფალი ვაჭრობის ზონები თანამედროვე მსოფლიოს ერთიანი სივრცის მახასიათებელ ატრიბუტებად ჩამოყალიბდნენ.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ კომუნიკაცია მარტივი და ხელმისაწვდომი გახადა; საქმიანი წრეებისთვის სახელმწიფო საზღვრებმა ვირტუალური მნიშვნელობა შეიძინა; ერთიან სივრცეში უფრო თავისუფალია ადამიანის, კაპიტალის და ინფორმაციის გადაადილება. ინვესტიციების განხორციელება და მართვა დღეს დისტანციურადაც შესაძლებელია.

ცივილური კრეფსითი ცნობიერების ძირითადი საზრუნავი მიმართულია იქითკენ, რომ ადამიანის კეთილდღეობა იყოს უპირველესი საზრუნავი, კაპიტალი და საკუთრების უფლება - დაცული, საქმიანობის დაწყება - მარტივი, კანონმდებლობა - გასაგები, გადასახადები - დაბალი.

ინტერესთა მრავალმხრივობასა და დაპირისპირებაში იკვეთება კეთილ ნების საყოველთაო სწრაფვა ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისკენ, რაც, თავის მხრივ, მსოფლიო ქვეყნების საერთო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებში ინტეგრაციას განაპირობებს. ინტესიურად მიმდინარე ამ პროცესის ხელშემწყობი ფაქტორი და მკვეთრად გამოხატული ნიშნებია: საერთაშორისო სავაჭრო კავშირების განვითარება, ნეოლიბერალიზმის ზრდა და სახელმწიფოთა ურთიერთობაზე ორიენტირებული სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებენ ერთიან სტანდარტებზე დაფუძნებული ცხოვრების წესის, ფასეულობების, მართვის ფორმების დამკვიდრებას და სხვადასხვა ქვეყნების წინაშე წამოჭრილი ეკოლოგიური, სასურსათო, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროების მომცველი პრობლემების გადაჭრის ერთიანი გზების ძიებას.

თუ ამ პროცესებს ჩავუკვირდებით, მათ ერთგვარი ობიექტური ხასიათიც გააჩნია, ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ თვითდინებითაც ვითარდება და ქვეყნის შესაძლებლობებს, მის თვითმყოფადობას, კულტურას, ტრადიციებს, მენტალურ შეხედულებებს ანგარიშს არ უწევს. პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად, ამ პროცესებს ასეთი მკვეთრად გამოხატული ნეგატიური მხარეებიც აქვს. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ საერთო სივრცისკენ სწრაფვას - გლობალიზაციის პროცესს თან ახლავს კრიზისების გავრცელების და ხანგრძლივად შენარჩუნების საფრთხეები. ინტეგრაციით მოცულ ქვეყნებში საერთო რეგულაციები და კარგახსნილობა ეკონომიკურ კრიზისსა თუ სტაგნაციას აზვირთებულ ტალღასავით ჩამოაქროლებს; ხელს უწყობს მიგრაციულ ნაკადებს, სამუშაო ძალის მუდმივ გამონთავისუფლებას, ერთიანი უნივერსალური მარეგულირებელი ორგანოს ფორმირების იდეის განმტკიცებას და ა.შ.

მიუხედავად მოსალოდნელი საფრთხეებისა, უნდა შევნიშნოთ, რომ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია. ამ პროცესისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნა შეუძლებელია და დაუშვებელიც (ის მაინც მოვა და დამკვიდრდება). ამიტომ ძალისხმევა გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესთან ქვეყნის ინტერესების თანხვედრის უზრუნველყოფად უნდა წარიმართოს და მოსალოდნელი გვერდითი ნეგატიური მოვლენები მაქსიმალურად ავირიდოთ.

ბიზნესი, როგორც სოციალური მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალება (ეკონომიკის განვითარების ბაზისი), ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი კი, როგორც ბიზნესის განუყოფელი ნაწილი (ინფორმაციის მოპოვებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი), გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესის შემადგენელია და ამ სფეროში აუცილებელია რაციონალური მობილიზება - ევროპული გამოცდილებისა და მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება[4].

საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობების განვითარება, ამავდროულად, ბიზნესის მარეგულირებელი აქტების ჰარმონიზაციასა და თამაშის ერთიანი წესების დამკვიდრებასაც მოითხოვს, რამაც, ცხადია, ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციები, თვითმყოფადობა, ეროვნული ინტერესები ხელაღებით არ უნდა დააზარალოს.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები ამ საერთო წესრიგის განუყოფელი ნაწილია; ამასთან, მისი სრულფასოვანი ამოქმედებისა და გამოყენების ეფექტურობის

უზრუნველსაყოფად აუცილებელია არა ცალკეული ნორმატიული აქტების, არამედ მთლიანი პაკეტის მიღება, ყველა სფეროს რეფორმის მომცველი მასშტაბური და კოორდინირებული ღონისძიებების განხორციელება.

მავანთა უგუნურობამ თუ ხელი არ დარია, ევროპასთან ასოცირების შეთანხმება გარდაუვალი გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესის ეროვნულ ინტერესებთან შეხმატკბილებული განვითარების ასეთ შესაძლებლობას იძლევა. მათ შორის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიღება ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ერთ-ერთი პირველი თანხვედრა იყო.

მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში დიდია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და დამსახურება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს რეფორმირებაში, რაც ინტეგრაციული პროცესების შემადგენელია, აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიო ბანკი. კერძოდ, მისი **ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრი (CFRR).** ამ ცენტრის მხარდაჭერით, საქართველო რამდენიმე პროგრამაში იყო ჩართული. მათ შორის, ერთ-ერთია **აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების გაძლიერება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში (STAREP),** რომელიც აღნიშნული ცენტრის რეგიონული პროგრამაა. ამ პროგრამის მიზანია კორპორაციული ანგარიშგებისთვის ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში: სომხეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში გამჭვირვალე პოლიტიკის მქონე გარემოს და ეფექტური ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა. ცენტრი ყოველწლიურად ატარებს სემინარებს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმების განმახორციელებელი ოფიციალური პირებისათვის გამოცდილების გაცვლასა და ერთობლივ სწავლებას უზრუნველყოფს.

ასევე, მნიშვნელოვანია ახალი რეგიონალური პროგრამა **EU-REPARIS - „ევროპისკენ მიმავალი გზა: საბუღალტრო რეფორმის პროგრამა და ინსტიტუციონალური გაძლიერება“**, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის მეშვეობით ხორციელდება. ეს პროგრამა მონაწილე ქვეყნებს ჰარმონიზაციის პროცესის მხარდაჭერას მიზნად ისახავს. პროგრამა ყურადღებას ამახვილებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელ საჭიროებებზე, ეხმარება სწრაფად მზარდ და ინოვაციურ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს.

აღნიშნულ პროგრამებში საქართველოს მონაწილეობა და ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების საერთო ძალისხმევა მოწმობს, რომ გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გარდაუვალ პროცესებში ფინანსური ანგარიშგება კეთილგანწყობილი შუამავლის ფუნქციას იძენს, დაპირისპირებულ მსოფმხედველობრივ პოზიციებს აახლოებს. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება მსოფლიოს ქვეყნების საწარმოებში ფინანსური, მმართველობითი და ინტეგრირებული ანგარიშგების ერთიანი წესით მომზადებას და ჰარმონიზაციას უწყობს ხელს. ამასთან, ენობრივი ბარიერის გარეშე, შესაძლებელი ხდება აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის მოცულობის, შემადგენლობის, მოგების ან ზარალისა და სრული შემოსავლების, ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციის წაკითხვა, ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება და მის ბაზაზე საწარმოს ანგარიშგებების მომზადება ნაციონალურ (სხვადასხვა) ქვეყნებში საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას შორის განსხვავებების თანდათანობითი დაახლოების, მათ შორის სრული ჰარმონიზაციის შესაძლებლობასაც იძლევა.

ცნობიერების ამაღლების ორიენტირები

სხვა მოსაზრება არ უნდა არსებობდეს, რომ პრობლემათა დაძლევის უალტერნატივო გზა ცნობიერების ამაღლებაა. ეს თეზა თანაბრად ეხება საზოგადოების განვითარების ნებისმიერ სფეროს: სახელმწიფო მმართველობას, ეკონომიკას, სოციალურ ინტერესებს, ადამიანის უფლებებს, ინტეგრაციულ პროცესებსა თუ ქვეყნის თვითმყოფადობას.

ცნობიერების ამაღლების გარეშე შეუძლებელია განვითარება, პრობლემების გადაწყვეტა. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია. განვითარების ამ მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს და რესურსების ძირითადი ნაწილი სწორედ ამ დანიშნულებით იხარჯებოდეს.

ყველაზე შედეგიანი განათლებაში განხორციელებული ინვესტიციაა. ამიტომ მის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად უნდა შეიცვალოს. ამ ჯერზე ჩვენ მიზანი არაა განვსაზღვროთ ან ჩამოვაყალიბოთ განათლების განვითარების კონცეფცია. საკითხი, რომელსაც ვეხებით, ბუღალტრული აღრიცხვასა და აუდიტში ცნობიერების ამაღლებას - პროფესიულ განათლებას, განგრძობით სწავლებას, სერტიფიცირების პროცესს მოიცავს. ამდენად, აქ ძირითადი აქცენტები მათ სრულყოფაზე იქნება მიმართული. თუმცა საერთო ორიენტირებითვის, უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკური განათლების პროფილის საგნებზე, მათ შორის, ბუღალტრის პროფესიაზე, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დანიშნულებაზე, ეკონომიკის განვითარებისთვის მის როლზე ზოგადი წარმოდგენა მოსწავლეებს ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას უნდა შეექმნათ. ეს დარგის პოპულარიზაციას, პრესტიჟის ამაღლებასა და მაღლკვალიფიციური კადრების მზადებას შეუწყობს ხელს.

ბუღალტრებისა და აუდიტორების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ზედამხედველობის სამსახური რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს ძალისხმევას.

„მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილი მსს ფასს სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) - მხარდაჭერით ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი ტრენერები გადაამზადეს. სულ გადამზადდა 88 ტრენერი, მათ შორის 14 – სხვადასხვა რეგიონიდან. აღნიშნულ აქტივობაში მონაწილეობა მიიღეს, როგორც უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო აუდიტორული კომპანიებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. მათთვის ქართულ რეალობაზე მორგებული მსს ფასს სტანდარტების სასწავლო მასალები მზადდება და 2019 წლიდან დაიწყება უშუალოდ ბუღალტრებისთვის განკუთვნილი სწავლების პროგრამა, რომელსაც დონორი ორგანიზაციები და კერძო სექტორის წარმომადგენლები დააფინანსებენ.

ზედამხედველობის სამსახურის ორგანიზებით და დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, თბილისსა და რეგიონებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების ახალი, გამარტივებული სტანდარტის გაცნობასა და დანერგვაში ხელშეწყობას, რაც, ვფიქრობთ, ბიზნესის განვითარებისთვის მეოთხე კატეგორიის საწარმოებს სარგებელს მოუტანს.

მოქმედი რეგულაციის თანახმად, აუდიტორებისთვის უკვე მეორე წელია, განგრძობითი განათლების პროგრამის ფარგლებში სწავლებები მიმდინარეობს.

განგრძობითი განათლების პროგრამის მიზანია, სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ უკვე შეძენილი პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებისა და განვითარების, ასევე, პროფესიული კომპეტენციის შეძენისა და მათი გაღრმავების უზრუნველყოფა, რაც პროფესიული უნარების, ფასეულობების, ეთიკის და დამოკიდებულებების სათანადო დონეზე სრულყოფაში გამოიხატება.

განგრძობითი სწავლება ითვალისწინებს, რომ სერიფიცირებულმა ბუღალტერმა ყოველი 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის განმავლობაში განგრძობითი განათლების სულ მცირე 120 საათი გაიაროს. აქედან, 90 საათი დასწრებულ სწავლებას ეთმობა, ხოლო 30 საათი განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

განვლილმა სწავლებებმა აჩვენებს, რომ ასეთი პრაქტიკა უდავოდ შედეგიანია და, ვფიქრობთ, ანალოგიური ვალდებულების დაკისრება მოქმედი ბუღალტრებისთვისაც სასარგებლო იქნება.

აუდიტორთა ახალი ნაკადის შევსებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული და პროფესიულ ორგანიზაციებზე დაკისრებული სერტიფიცირების პროგრამა. ამ პროგრამის მიზანია: სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მაძიებლისთვის შედეგზე ორიენტირებული, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) განათლების სტანდარტით მოთხოვნილი პროფესიული კომპეტენციის გამომუშავებისა და გამოვლენის უზრუნველყოფა. სავარაუდოდ, პროგრამა მომავალი წლიდან ამუშავდება და შედეგებზე არგუმენტირებული მსჯელობა მხოლოდ მერე შეიძლება.

ზემოაღნიშნული იძლევა საფუძველს, დავასკვნათ: საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმა შესაბამისობაშია ევროდირექტივებსა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან. თუმცა გასაკეთებელია ჯერ კიდევ ბევრია. მათ შორის, აუცილებელია ბუღალტრული აღრიცხვის დარგის/სპეციალობის საუნივერსიტეტო პროგრამებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ მომზადებული სერტიფიცირების, აგრეთვე განგრძობითი სწავლების პროგრამების (სილაბუსების) ჰარმონიზაცია. ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სწავლებისა და კვლევის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოდარ ჭითანავა, „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2018 წ. ;

2. აუდიტორთა/აუდიტორული ფირმების რეესტრი, https://www.saras.gov.ge;

3. საქსტატი, http://www.geostat.ge/?action=page&p_id=238&lang=geo;

4. იური პაპასქუა, გიორგი რუსიაშვილი, ვინ აგებს პასუხს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მდგომარეობაზე საქართველოში, ჟ. „ბისნესი და კანონმდებლობა“, №3, 2014 წ. გვ. 6-10;

5. ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდი, saras.gov.je;

6. Reportal.ge.

განვითარების ეკონომიკა - სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაციის მოდელი

DEVELOPMENT ECONOMICS – THE MODEL OF CONSOLIDATION OF SOCIETY

Kharebava R.
PhD in Econonmics,
Sokhumi State University

The problems of growth and development of the economy remained as acute and urgent as 27 years ago, when Georgia proclaimed its independence and embarked on the path of building a new state based on fundamentally different principles of the economy. The article considers the evolution of theoretical concept of Development Economics and its influence the economies of the developing countries. The article substantiates the need for a transition to a new concept of economic development.

* * * *

რევაზ ხარებავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზეა; მას ერთდროულად უხდება ბუნებრივი, ტექნოლოგიური, ეკონომიკური, მორალური, მეცნიერული, სოციალური, ინფორმატიული, კულტურული და პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა კრიზისული მოვლენების დაძლევა.

კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ყოველ ეტაპზე მართვის შესაბამის მექანიზმებს მოითხოვდა. ევოლუციურად ყალიბდებოდა სამყაროსა და ცალკეული რეგიონების მდგრადი განვითარების ტექნოლოგიური და ადამიანური კონცეფციების ახალი ვარიანტები; იხვეწებოდა სამეურნეო სისტემებისა და ბუნების ეფექტიანი გამოყენების ამაღლებისთვის საჭირო ფაქტორების ანალიზი; ვითარდებოდა ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც განიხილავდა, სწავლობდა და ქმნიდა სიმდიდრის, ზრდისა და განვითარების ფაქტორების ახალ თეორიებს.

მთლიანად სამეურნეო სისტემის საბაზრო ტრანსფორმაციის პირობებში, მისი მოდერნიზაციის მიზნით, გააქტიურდა ეკონომიკური განვითარების მოდელების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული კვლევები.

მიუხედავად იმისა, რომ „ეკონომიკური თეორიის XVII - XVIII და XIX საუკუნეების მრავალმა მკლევარმა ეკონომიკური განვითარების სფეროში თავისი კვალი დატოვა, ამ მიმართულების პოპულარიზაცია მოხდა XX საუკუნის 40 - 70 წწ, როდესაც „განვითარების ეკონომიკა" საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, რომელიც სწავლობს და იკვლევს ეკონომიკური განვითარებლობის მიზეზებს და მათი გადალახვის გზებს".

ამ პერიოდიდან „განვითარების ეკონომიკა" აღიარებულია როგორც მომავლის მოდელი; იგი ეფუძნება მრავალი ახალი და პროგრესული იდეების ერთობლიობას - საბაზრო, მეურნეობრიობის სოციალიზაციისა და ადამიანური განვითარების გლობალურ კონცეფციას, რომელიც სტრატეგიულად მიმართულია ჰუმანიტარულ და დემოკრატიულ იდეალებზე. ამავდროულად, თანამედროვე მოდელის ძირითადი არსი ისაა, რომ დღეს განვითარების სათავეში ადამიანი დგას და წარმოების მიზანი სწორედ მისი კეთილდღეობაა.

„განვითარების ეკონომიკის" თეორიის ჩამოყალიბება მწვავე დისკუსიების ფონზე მიმდინარეობდა. საწყის ეტაპზე, გასული საუკუნის 40 - 50-იან წლებში ინდუსტრიალიზაციის ხარჯზე ეკონომიკური ზრდა პრიორიტეტული იყო. მთავარი როლი ამ მოდელში კაპიტალის ინტენსივობის კოეფიციენტს ჰქონდა. ასეთი მოდელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელდა ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებში - ევროპის ყოფილი კოლონიებში, რომლებიც განვითარებულ კაპიტალისტურ ან წარმატებულ კომუნისტურ ქვეყნებს ბაძავდნენ; ისინი თუკი განვითარების კომუნისტურ ან შერეულ მოდელს აირჩევდნენ, რეგულირებას სავალუტო და იმპორტის შეზღუდვის მექანიზმები ემატებოდა.

ამ პროცესების პარალელურად, განვითარების ეკონომიკასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი სამეცნიერო ნაშრომი შეიქმნა; მაგალითად, როზენშტეინ-როდანის ნამუშევრები (40-50 წწ), სადაც დაბალანსებული ზრდის იდეები და დიდი ბიძგის (Big Push) კონცეფცია აღმოცენდა. ავტორი აღიარებდა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა არის ფარული უმუშევრობის წყარო და ამიტომ აუცილებელია მათი გადაადგილება ახალი ინდუსტრიის სექტორში, რომელიც ერთ დიდ ფირმად

უნდა განვიხილოთ, ხოლო მისი განყოფილებების (ეკონომიკის სხვადასხვა დარგების) თანაბარი განვითარება შექმნის ურთიერთშემავსებელ დარგების, რომელთა პროდუქციას შეძენაზეც სხვადსხვა დარგში დასაქმებული მუშაკების ხელფასები დაიხარჯება. ეს პროცესი ეკონომიკის მასშტაბურ ზრდას გამოიწვევს.

როზენშტეინ-როდანი და, მოგვიანებით, ლეიბენსტაინი ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკის მოდერნიზაციისთვის აუცილებელია კაპიტალის მსხვილი ინექცია, რომელიც ეკონომიკის თვითშენარჩუნებას და ზრდას უზრუნველყოფს.

როზენშტეინ-როდანის იდეებმა გაგრძელება ჰპოვეს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ნურკსეს ნაშრომებში, რომელმაც 1961 წ. დაბალანსებული ზრდის თეორია გამოაქვეყნა. ნურკსეს მიხედვით, იმისათვის რომ ქვეყანა სიღატაკის მანკიერი ციკლიდან გამოვიდეს, აუცილებელია კაპიტალის სინქრონული შედინება სხვადასხვა საწარმოო სექტორებში, რაც მთელი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ამ კონცეფციას ეწინააღმდეგებოდა მსოფლიო ბანკის ეკონომისტი ჰირშმანი თავისი არადაბალანსებული ზრდის იდეით, რომელიც სთავაზობდა წამყვანი სექტორების არსებობას, რომლის განვითარება წაახალისებს დანარჩენ ეკონომიკას ურთიერთმომგებიანი პირდაპირი და უკუკავშირების საფუძველზე.

პოლემიკის ყველა მონაწილე თანხმეობოდა, რომ სახელმწიფოებმა უნდა განავითარონ საწარმოო სექტორი იმისათვის, რომ შიდა ბაზრის მოთხოვნა დააკმაყოფილონ და უცხო ვალუტის შესაძენად საკმარისი საექსპორტო პროდუქცია შექმნან. შესაბამისად, ეკონომიკური ცენტრის სიმძიმე სოფლის მეურნეობიდან ნელ-ნელა ინდუსტრიაში უნდა გადანაცვლებულიყო. ამ მოდელში წამყვანი როლი ეკავა სახელმწიფოს, რომელიც ეკონომიკაში ყველა მნიშვნელოვან პროცესს არეგულირებდა და სახელმწიფო ქონებას ფლობდა.

თუმცა XX საუკუნის 80-იან წლებში ეკონომიკური აზრი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მექანიზმთან დაკავშირებით, კარდინალურად შეიცვალა და თუ მანამდე ამერიკის წამყვანი ეკონომისტები აღიარებდნენ თეზისს, რომ სახელმწიფოს შეუძლია ყველაფერი, ახალი დებულება ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია გააკეთოს რაიმე სწორი და ქვეყნები ეკონომიკური განვითარებისთვის სრულად უნდა მიენდონ საბაზრო ძალებს და კონკურენტულ ზეწოლას, როგორც ზრდის და მწარმოებლურობის განახლების წინაპირობას.

1989 წ. ინგლისელ ეკონომისტმა ჯონ ვილიამსონმა ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის ეკონომიკური პოლიტიკის წესები ჩამოაყალიბა; დოკუმენტი მიზნად ისახავდა განვითარებად და ფინანსურ კრიზისში მყოფ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპების დანერგვას. აღნიშნული დოკუმენტი (რომელმაც მიიღო დასახელება „ვაშინგტონის კონსენსუსი“) ასახავდა ამერიკის ადმინისტრაციის, წამყვანი ანალიტიკური ცენტრების, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის საერთო პოზიციას განვითარებადი და ეკონომიკური კრიზისის მქონე ქვეყნების მაკროეკნომიკური პოლიტიკის მიმართ. საბოლოოდ, რეფორმირების ეს მოდელი მსოფლიო ბანკმა მსოფლიოს 89 ქვეყანაში დანერგა: - ეს იყო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინება, ხოლო ზოგ შემთხვევაში - სესხის მიღების წინაპირობა.

ვაშინგტონის კონსენსუსი შეიცავდა რეფორმირების 10 მიმართულებას, რომელთაგან დადებითად ხასიათდება: საბიუჯეტო დისციპლინა, ჯანმრთელობის, განათლების და ინფრასტრუქტურის პრიორიტეტი სახელმწიფო დანახარჯებში, საგადასხადო განაკვეთების შემცირება, საკუთრების უფლებების დაცვა, ბაზარზე შესვლის ბარიერების დერეგულირება. დანარჩენი რეკომენდაციების- განსაკუთრებით, პრივატიზაციის პროცესის - განხორციელებამ წინააღმდეგობრივი შედეგები მოიტანა.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზრდაში პრივტიზაციამ თავისი დადებითი წვლილი შეიტანა, თუმცა გარდამავალი ტიპის ეკონომიკებში, რომლებიც აქტივების მასიური გადაცემისთვის მზად არ იყვნენ, - რუსეთში და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც - ამ პროცესმა სტიქიური ხასიათი მიიღო: - განსაკუთრებით იქ, სადაც პრივატიზაციის შედეგად დიდი მოცულობის აქტივები ოლიგარქების ხელში კონცენტრირდებოდა; შედეგად, აქტივები არაეფექტიანად განაწილდა, რამაც პრივატიზაციის უპირატესობები შეასუსტა.

ბრაიან ჯონსონისა და ბრეტ შეფერის კვლევების შედეგად 89 ქვეყნიდან, სადაც მსოფლიო ბანკმა ვაშინგტონის კონსენსუსის პრინციპები დანერგა, 2010 წლის მდგომარეობით 48 ქვეყანა დაახლოებით იგივე ეკნომიკურ და სოციალურ დონეზე დარჩა, ხოლო 32 მათგანში მდგომარეობა გაუარესდა.

შესაბამისად, მსოფლიო ბანკის წამყვანმა ეკონომისტმა სტიგლიცმა აღიარა, რომ მისი 90-ნი წლების ლოზუნგი „პრივატიზაცია, პრივატიზაცია და კიდევ პრივატიზაცია“ მცდარი; ყოველ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და ტერიტორიული თავისებურებებს ითვალისწინებს.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია, არ დავაფასოთ მსოფლიო ბანკის წვლილი განვითარების ეკონომიკის თეორიის ჩამოყალიბებაში. თავის ყოველწლიურ ანგარიშებში ბანკის ეკონომისტები პრაქტიკული მასალის შეგროვების და ანალიზის საფუძველზე თეორიულ მიდგომებს აყალიბებენ და პრიორიტეტს ანიჭებენ კონკრეტულ პრობლემებს, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ გაძლიერებას უკავშირდება. მაგალითად: ეკონომიკური ზრდის განახლება ამ სფეროში აზროვნების სტიმულირების მეშვეობით, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ღარიბი ფენის დახმარება, განვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა მათგან განვითარებად ქვეყნებში რესურსების გადანაწილების მეშვეობით, ეკონომიკური განვითარების შესაბამისი ინსტიტუტების ფორმირება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს ბევრი ნაშრომი მიეძღვნა, ვაშინგტონის კონსენსუსის სრულყოფას ეცადნენ და ბარსელონას კონსენსუსითაც ჩაანაცვლეს,

ვერ მოხერხდა და ვერ შეიქმნა ერთიანი მიდგომა ან ტექნოლოგია, რომელიც ნებისმიერ სტანდარტულ განვითარებად ქვეყანას ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანდა და მის გრძელვადიან განვითარებას უზრუნველყოფდა. უფრო მეტიც, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ეგრეთწოდებული „აზიური ვეფხვების") გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ წარმატებული ეკონომიკური განვითარება საერთაშორისო ინსტიტუტების რჩევების გათვალისწინების გარეშე, საბაზრო ინსტიტუტების განუვითარებლობის მიუხედავადა, საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზეც შესაძლებელია.

საქართველოში ჩატარებული ეკონომიკური რეფორმების ან საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ანალიზისას ჩვენ დავინახავთ, რომ დასახული პრიორიტეტები ურთიერთკავშირში არიან განვითარების ამოცანებთან, რომლებიც, თავის დროზე, წამყვანი საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დაისახა, მაგრამ მრავალი რეფორმა წარუმატებელი აღმოჩნდა და მიზნები - მიუღწეველი. ამის ერთი-ერთი მიზეზი უცხოური ორგანიზაციების დაწესებული რეფორმები და განვითარების მოდელები, რომლებიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას სრულად არ ითვალისწინებენ. გარედან დასახული პრიორიტეტებით და მიზნებით როდესაც ვხელმძღვანელობთ, უნდა დაისვას კითხვა, არის თუ არა მზად საზოგადოება ასეთი ამოცანების რეალიზაციისთვის.

სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, განვითარებული საბაზრო ინსტიტუტები და ადამიანური კაპიტალი (ეკონომიკური განვითარების „სამი ვეშაპი"), სამწუხაროდ, დასახული მიზნების მიღწევის გარანტიას არ იძლევა. პოლიტიკური კურსი და ლიდერობის ხარისხი ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ზემოქმედებას ახდენენ; ანალოგიურად, ინტერესთა ჯგუფების სტრუქტურა საზოგადებაში და მმართველი ელიტების ქმედებები განსაზღვრავენ ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს.

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული და სტაბილური პოლიტიკური ინსტიტუტების არარსებობა კონკურენტ პოლიტიკურ პარტიებს შორის, ელიტურსა და ეთნიკურ ჯგუფებში ბრძოლას იწვევს, რაც ეკონომიკის მართვის ეფექტიანობას ამცირებს.

დანაწევრება, დაპირისპირება ჩვენი საზოგადოების აქილევსის ქუსლია და მისგან განკურნვის გარეშე განვითარების რომელიმე მოდელის ეფექტიანი რეალიზება მუდამ კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება.

მნიშვნელოვანია, თეორიულად გავიაზროთ და შევძლოთ ჩვენი საზოგადოების, მისი რესურსების შემოქმედებითი პოტენციალის შეფასება განვითარების გლობალურ კონცეფციებთან მიმართებაში, რათა სწორად განვსაზღვროთ პრიორიტეტები და პერსპექტივები, შევიმუშავოთ ხელთ არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენების მექანიზმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, უზრუნველვყოთ მეურნეობრიობის ახალ პარადიგმაზე - განვითარების ეკონომიკაზე გადასვლა, რომელიც მიმართულია ადამიანის, როგორც პიროვნების, შემოქმედებითი თვისებების გენერირებაზე. მეცნიერების ამოცანაა არა ძველი პარადიგმების რეპროდუქცია და მათი პროეცირება სახელმწიფოზე, არამედ ახალი, ინტელექტუალური პროდუქციის შექმნა სამეურნეო პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

განვითარების ეკონომიკა, როგორც მოდელი, არამარტო აფიქსირებს წარმოების ფაქტორების ხარისხობრივ ცვლილებებს მათ კომბინაციებში, არამედ აყალიბებს მეურნეობრიობის ახალ ფორმებსა და პრინციპებს, მათი ფუნქციონირების ხერხებსა და მექანიზმებს.

ამ მოდელში განვითარების უზრუნველყოფაზე, საზოგადაოებრივი ყოფიერების ფაქტორების სისტემური გამოყენების შედეგად, ორიენტირებულია ადამიანის შემოქმედებითი უნარიანობა; აქედან გამომდინარე, მას კონცეფტუალობის ყველა ნიშანი გააჩნია.

20-25 წლის წინ ამ პრობლემის მკლევარები ამტკიცებდნენ, რომ ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაციის საფუძველზე „განვითარების ეკონომიკის" მოდელმა პოსტსაბჭოთა სივრცეში გარდამავალი ეკონომიკის მოდელი უნდა ჩაანაცვლოს.

აუცილებელია ეკონომიკის განვითარებიდან განვითარების ეკონომიკაზე გადასვლა, რაც უზრუნველჰყოფს ადამიანების ცხოვრებისა და წარმოების ღირსეული პირობების შექმნას, ძლიერი ფაქტორების ფორმირებით საზოგადოების ცხოვრების პოზიციურ დინამიკაზე გადასვლას და ადამიანის ყოველმხვრივი შემოქმედებითი შესაძლებლობების ფორმირებას პრინციპით: - „ყველას განვითარება თითოეულის ხარჯზე და ამ უკანასკნელის - ყველას ხარჯზე.

ამისათვის ყოველ სახელმწიფოს სჭირდება სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მიღწევა (რეალიზაცია), რომელიც მომავალზე იქნება მიმართული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Львов Д. С. Россия в перспективе мирового развития. Ежегодник: Экономика развития региона (Проблемы, Поиски, Перспективы) // Изд. ВолГу, Волгоград, 2002;

2. Лебедева Н. Н. Типология и классификация институциональных механизмов. Научное издание, ВолГУ, 2005;

3. Всемирный Банк. Доклад о мировом развитии 2000/2001 г. Борьба с бедностью; http://siteresources.worldbank.org/INTPOVERTY/Resources/WDR/Rusoverv.pdf

4. Всемирный Банк. Доклад о мировом развитии 2005. Улучшение инвестиционного климата в интересах всех слоев населения;

http://www.un.org/ru/development/surveys/docs/worlddev2005.pdf

5. Группа всемирного банка. Доклад о мировом развитии. Цифровые дивиденды. 2016

http://documents.worldbank.org/curated/en/224721467988878739/pdf/102724-WDR-WDR2016Overview-RUSSIAN-WebRes-Box-394840B-OUO-9.pdf

შესაძენ საქონელში წუნდებულის დასაშვები მოცულობის განსაზღვრის ერთი მოდელის შესახებ

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია შესაძენი საქონლის საერთო მოცულობაში წუნდებულის დასაშვები რაოდენობის განსაზღვრის ერთი მოდელის შესახებ. ხაზგასმულია, რომ წუნდებულის დასაშვები მოცულობის განსაზღვრა უნდა მოხდეს შესაძენი საქონელის საკონტროლო შემოწმების გზით. მიღებულია ფორმულები, რომელთა საშუალებითაც გამოითვლება შესყიდულ საქონელში წუნდებულის წილის მოცულობის წინასწარ განსაზღვრული სიდიდის ალბათობა

საკვანძო სიტყვები: ეფექტიანი მართვა, ხარისხობრივი მაჩვენებელი, წუნდებული საქონელი, საკონტროლო შემოწმება

დავით ჯალაღონია
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ABOUT THE MODEL OF DETERMINING AN ADMISSIBLE VOLUME OF THE DEFECTIVE GOODS

Davit Jalaghonia, Malkhaz Kutsia
Sokhumi State University

ANNOTATION

The presented work discusses a model for determining an admissible volume of defective goods of the total amount of the goods to be bought. It's noted, that determination of the defective goods must be done by control-checking of the goods to be purchased. The formulas have been derived, using which it is possible to calculate a possible share of defective products in the purchased goods in advance.

Keywords: Effective management, Quality indicator, Defective goods, Control-checking

მალხაზ კუცია
ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

შესავალი

საწარმოს მიერ მისაღები ეკონომიკური სარგებლის მოცულობა დამოკიდებულია საწარმოო პროცესის ეფექტიან მართვაზე. მართვის ეფექტიანობის განმაპიროებებილი ერთ-ერთი ხარისხობრივი მაჩვენებელი შესაძენი საქონელის მთლიან პარტიაში, საკონტროლო შემოწმების გზით, წუნდებულის დასაშვები მოცულობის წინასწარი განსაზღვრაა. ეს განპირობებულია არსებული პრაქტიკით, როდესაც ცნობილია, რომ მოწოდებული საქონლის მთლიან პარტიაში როგორც წესი, შესაძლოა იყოს წუნდებული საქონლის გარკვეული წილიც. სწორედ ამიტომ, საწარმოს უნდა ჰქონდეს შემუშავებული მექანიზმი (მექანიზმები), რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს წუნდებული საქონლის დასაშვები მოცულობის სიდიდე, რომლის ზემოთ აზრი არ ექნებოდა კონკრეტული საქონლის პარტიის შეძენას.

წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია საქონლის საკონტროლო შემოწმების მოდელი, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს შესაძენი საქონლის მთლიან მოცულობაში (პარტია) წუნდებულის წილის დასაშვები მოცულობის ალბათობა. ამასთან, დაშვებული ჰიპოტეზის შესწავლის მიზნით შემოთავაზებულია ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები.

მოდელის დამუშავება

ვთქვათ A საწარმო სხვადასხვა M რაოდენობის საწარმოდან მარაგდება ერთნაირი საქონელით. i -ურმა (i=1,2,⋯,M) მომწოდებელმა საწარმომ A საწარმოს უნდა მიაწოდოს N_i რაოდენობის საქონელი. მოწოდებული საქონელის ნებისმიერი პარტია შეიცავს წუნდებულის წილს. i-ური მომწოდებლის საქონელის პარტიაში წუნდებულის წილი α_i ტოლია. ამიტომ A საწარმოს მოთხოვნით ყველა მომწოდებელმა საწარმომ უნდა გაიაროს საქონელის საკონტროლო შემოწმება. კერძოდ, მომწოდებლების მიერ საწყის ეტაპზე A საწარმოსთვის გადასაცემი N_i რაოდენობის საქონელიდან შემთხვევითი შერჩევის წესით უნდა შეირჩეს გარკვეული n_i რაოდენობის საქონელი (შემთხვევითი შერჩევა). თუ შერჩეულ საქონელში აღმოჩნდა ზღვრულ l_i რაოდენობაზე ნაკლები წუნდებული, ანუ დაკმაყოფილდა საქონელის კონტროლის მოთხოვნა, მაშინ A საწარმო მთლიანად შეიძენს მოწოდებულ N_i რაოდენობის საქონელს, რომელიც შეიცავს წუნდებული საქონლის α_i-ის ტოლ წილს. წინააღმდეგ შემთხვევაში მომწოდებელი საწარმო ვალდებულია მოწოდებულ N_i რაოდენობის საქონელის პარტიაში ყველა წუნდებული საქონელი შეცვალოს არაწუნდებულით.

მომწოდებელი ყველა საწარმოს საქონლის საკონტროლო შემოწმების გავლის შემდეგ A საწარმოს მიერ მიიღებული საქონელის რაოდენობა K ,ტოლი იქნება:

$$K = \sum_{i=1}^{M} N_i \qquad (1)$$

აღვნიშნოთ β-თი A საწარმოს მიერ მიღებული K რაოდენობის პროდუქციაში წუნდებულის წილი. განვსაზღვროთ ალბათობა იმისა, რომ A საწარმოს მიერ მიღებულ საქონლის მთლიან პარტიაში წუნდებულის წილი არ გადააჭარბებს γ.

β სიდიდის მაქსიმალური მნიშვნელობა, საქონელის მიღების კონტროლის მოთხოვნათა გათვალისწინებით გამოითვლება ფორმულით:

$$\max\beta = \sum_{i=1}^{M} \frac{N_i}{K} \alpha_i \qquad (2)$$

ცხადია, ჩვენს მიერ დასმული ამოცანის ამოხსნა საინტერესოა γ<β შემთხვევისთვის, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ამოხსნა ტრივიალურია, საძიებელი ალბათობა ერთის ტოლი იქნება.

მათემატიკური გარდაქმნებისა და ფორმულების უფრო სრუყოფილად აღქმისა და ანალიზისათვის ჩავთვალოთ, რომ ყველა მომწოდებელი საწარმო საქონლის ერთიდაიგივე N რაოდენობას აწვდის A საწარმოს, ასევე $\alpha_i = \alpha_j = \alpha,\ n_i = n_j = n,\ l_i = l_j = l, i \neq j, i, j = 1.2 \cdots, M.$ მიღებული დაშვებების გათვალისწინებით (1) და (2) ფორმულებიდან მივიღებთ:

$$K = MN; \max\beta = \alpha$$

აღვნიშნოთ P(α)-თი ალბათობა იმისა, რომ საქონელის საკონტროლო შემოწმების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს მომწოდებელი საწარმო, L-ით მომწოდებელ საწარმოთა რაოდენობა, რომლებმაც დააკმაყოფილეს საკონტროლო შემოწმების მოთხოვნები. ცხადია, რომ L სიდიდის მნიშვნელობებია 0,1,⋯,M. თუ ჩავთვლით, რომ ყოველი მომწოდებელი საწარმოს საკონტროლო შემოწმება არის ერთი დამოუკიდებელი ცდა, მაშინ გვექნება დამოუკიდებელ ცდათა სქემა, L კი წარმოგვიდგება, როგორც ბინომიალური კანონით განაწილებული შემთხვევითი სიდიდე, და ალბათობა იმისა, რომ ის მიიღებს k-s ტოლ მნიშვნელობას ბერნულის ცნობილი ფორმულით ტოლია: [1]

$$P(L=k)=C_M^k P^k(\alpha)(1-P(\alpha))^{M-k} \qquad (3)$$

თუ L რაოდენობის მომწოდებელი საწარმოები აკმაყოფილებენ, ხოლო (M-L) რაოდენობის საწარმოები ვერ აკმაყოფილებენ საკონტროლო შემოწმების მოთხოვნებს, მაშინ წუნდებული საქონელის წილი მთლიან K რაოდენობის საქონელში ტოლი იქნება:

$$T = \frac{NL\alpha + N(M-L)*0}{K} = \frac{\alpha}{M} L, \qquad (4)$$

(4) განტოლებიდან ჩანს, რომ **T** შემთხვევითი სიდიდე არის L შემთხვევითი სიდიდის წრფივი გარდაქმნა. შესაბამისად, მისი მნიშვნელობათა სიმრავლე, შესაბამისი ალბათობებით, იქნება $0, \frac{\alpha}{M}, \cdots, \frac{(M-1)\alpha}{M}, \alpha$

. აქედან გამომდინარე ალბათობა იმისა, რომ **T** შემთხვევითი სიდიდე მიიღებს თავის მნიშვნელობებს, ტოლია:

$$P(\mathbf{T}=\frac{k\alpha}{M})=C_M^k P^k(\alpha)(1-P(\alpha))^{M-k} \quad (5)$$

სადაც $k=0,1,\cdots,M$.

თუ $\gamma \in [\frac{m}{M}\alpha, \frac{m+1}{M}\alpha)$, მაშინ ალბათობა იმისა, რომ A საწარმოს მიერ მიღებულ საქონელის მთლიან პარტიაში წუნდებულის წილი არ გადააჭარბებს γ, e.i. $(T \le \gamma)$ ხდომილების ალბათობა, ტოლი იქნება:

$$P(T \le \gamma)= P(L \le m) = \sum_{k=1}^{m} P(L=k) = \sum_{k=1}^{m} C_M^k P^k(\alpha)(1-P(\alpha))^{M-k}. \quad (6)$$

(6) განტოლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თუ α = 0, ანუ A საწარმოს ყველა მომწოდებელმა საწარმომ გადასცა არაწუნდებული საქონლის პარტიები, მაშინ $T = 0$, ამიტომ $P(T \le \gamma)=1$. თუ α = 100%, ამ შემთხვევაში ვერც ერთი მომწოდებელი საწარმო ვერ დააკმაყოფილებს საქონელის კონტროლის მოთხოვნებს და A საწარმოს გადაეცემა მხოლოდ არაწუნდებული საქონლის პარტიები. ამ შემთხვევაშიც $T = 0$, და $P(T \le \gamma)=1$. ამიტომ, α რომელიღაც α_0 მნიშვნელობისათვის $P(T \le \gamma)$ მიიღებს თავის უმცირეს **R** მნიშვნელობას:

$$R = \min P(T \le \gamma) = P(T \le \gamma/\alpha = \alpha_0) \quad (7)$$

სადაც **min** აღებულია α - ს მიმართ. (7) ტოლობა გვიჩვენებს, რომ, როგორიც არ უნდა იყოს მომწოდებელი საწარმოებისათვის გადასაცემ საქონელის პარტიაში წუნდებულის წილი α, ალბათობა იმისა, რომ A საწარმოს მირ მიღებულ მთელ საქონელში წუნდებულის წილი **T** არ გადააჭარბებს γ სიდიდეს, არ იქნება **R**-ზე ნაკლები. ფაქტიურად, ალბათობა **R** არის გარანტია, რომ მომწოდებლების მიერ A საწარმოსთვის მიწოდებული საქონელის მთელი პარტია იქნება უფრო ხარისხიანი ვიდრე ნებისმიერი ცალკეული მომწოდებლის მიერ A საწარმოსათვის გადასაცემი საქონელის პარტია, წუნდებულის წილის მიხედვით. ცხადია, რომ ეს ყველაფერი განპირობებულია საქონელის მიღების კონტროლის მოთხოვნებით.

იმისათვის, რომ (6) და (7) განტოლებებს ჰქონდეთ პრაქტიკული გამოყენება, საჭიროა ვიცოდეთ n, l, m, $P(\alpha)$ რიცხვითი მნიშვნელობები.

T შემთხვევითი სიდიდის სტრუქტურიდან გამომდინარე მისი მათემატიკური ლოდინი ტოლი იქნება: [1]

$$E(T) = \frac{\alpha}{M} MP(\alpha) = \alpha P(\alpha). \quad (8)$$

სადაც E მათემატიკური ლოდინის ოპერატორია. საკმაოდ მცირე ისეთი α - თვის, რომ $N\alpha \ll N$, $P(\alpha)$ - ს გამოსათვლელად შესაძლებელია გამოვიყენოთ ფორმულა [2]

$$P(\alpha)=(1-\frac{n}{N})^{N\alpha} \quad (9)$$

(8) და (9) განტოლებებიდან ვღებულობთ:

$$E(T) = \alpha(1-\frac{n}{N})^{N\alpha}, \quad (10)$$

$E(T)$ შეიძლება განვიხილოთ, როგორც α - ს ფუნქცია. ამ ფუნქციის ანალიზური გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ის აღწევს თავის მაქსიმუმს $\frac{dE(T)}{d\alpha} = 0$ განტოლების ამონახსნზე, რომელიც ტოლია:

$$\alpha = -\frac{1}{N\ln(1-\frac{n}{N})} \quad (11)$$

მაშასადამე,

$$\max E(T) = f = -\frac{1}{eN\ln(1-\frac{n}{N})}, \quad (12)$$

სადაც e არის ნეპერის რიცხვი და მეასედის სიზუსტით 2.72 ტოლია. (12) განტოლება გვიჩვენებს, რომ როგორიც არ უნდა იყოს მომწოდებელი საწარმოების საქონელის პარტიებში საწყისი α მაჩვენებელის მნიშვნელობა, საქონელის საკონტროლო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, წუნდებულის საშუალო წილი საქონელის მთელ პარტიებში არ გადააჭარბებს f-ის მნიშვნელობას. ცნობილი f-ის შემთხვევაში (12) განტოლებიდან n-ის გამოსათვლელად მივიღებთ ფორმულას:

$$n = N\left[1 - e^{-\frac{1}{eNf}}\right] \qquad (13)$$

საზაზღვრო l შესაძლებელია გამოითვალოს შემდეგი განტოლებებიდან [2], თუ $\frac{n\alpha}{\sqrt{n\alpha(1-\alpha)}} \geq 3$, მაშინ:

$$P(\alpha) = \Phi\left(\frac{l - n\alpha + 0.5}{\sqrt{n\alpha(1-\alpha)}}\right), \qquad (14)$$

სადაც $\Phi(x)$ არის ლაპლასის ფუნქცია და მისი მნიშვნელობები ტაბულირებულია. თუ $\frac{n\alpha}{\sqrt{n\alpha(1-\alpha)}} < 3$, მაშინ:

$$P(\alpha) = e^{-\mu} \sum_{i=0}^{l} \frac{\mu^i}{i!}. \qquad (15)$$

დამუშავებული მოდელის მოქმედების ილუსტრაციის მიზნით, განვიხილოთ პირობითი მაგალითი. ვთქვათ, $N = 1000; M = 20: \gamma = f = 0.03.$ ამ მონცემებით $n = 13.$ α მაჩვენებელის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის გამოთვლები მოცემულია ცხრილი 1. შევნიშნოთ, რომ $P(T \leq \gamma)$ ალბათობის გამოსათვლელად ვისარგებლეთ ცნობილი ფორმულით: [2]

$$P(T \leq \gamma) = \Phi\left(\frac{m - MP(\alpha) + 0.5}{\sqrt{MP(\alpha)(1-P(\alpha))}}\right). \qquad (16)$$

ცხრილი 1.

α	0.100	0.075	0.050	0.025	0.010
m	6	8	12	24	60
P(α)	0.270	0.375	0.520	0.720	0.877
l	0	0	0	1	1
$P(T \leq \gamma)$	0.709	0.742	0.816	0.999	1.000

ცხრილიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ α მაჩვენებლის კლებით მოწოდებული საქონელის პარტიის მიღების P(α) ალბათობა იზრდება. როდესაც γ მნიშვნელობა გადააჭარბებს α მნიშვნელობას, მაშინ $P(T \leq \gamma)$ პრაქტიკულად ერთის ტოლია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი არგუმენტირებული მსჯელობით მიღებული დამოკიდებულებებიდან იკვეთება წარმოდგენილი მოდელის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა, რაც გაზრდის წარმოების მართვის ეფექტიანობას და, შესაბამისად, შემოსავლების ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Б.В. Гнеденко. Курс теории вероятностей.-М.: НАУКА, 1988.

2. Г.Г. Абезгауз, А.П. Тронь, Ю.Н. Копенкин, И.А. Коровина. Справочник по вероятностным расчетам.-М.: Министерство Обороны СССР, 1970.

3. А.Ф. Гришин. С.Ф. Дотов-Дарти. В.Н. Ягунов. Статистические модели в экономике.-Ростов на Дону.: ”Феникс”, 2015.

ფინანსური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინოვაციების როლის განსაზღვრა საბანკო მენეჯმენტში

რეზიუმე: სტატიაში განხილულია საბანკო მენეჯმენტში ფინანსური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინოვაციების როლი. აღნიშნულია, რომ საბანკო მომსახურეობებს მთლიანობაში კონკურენტშემძლე შემცვლელები არ გააჩნიათ, რაც მეწარმეობისათვის საბანკო სფეროს მიმზიდველობას ამაღლებს. მოსახლეობისათვის საბანკო მომსახურების ბაზარზე ინოვაციური კონკურენტული სტრატეგიის შემუშავებისას ქართულმა ბანკირებმა მათზე მოთხოვნის ფორმირების, მათი სინამდვილეში შეუცვლელებად გახდომის მცდელობები უნდა გააგრძელონ, როგორც აღნიშნული განვითარებულ ქვეყნებში უკვე იქცა ნორმად.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მოქნილობა, ფინანსური ინოვაცია, ფინანსური დაგეგმვა.

Keywords: Financial flexibiliry, financial innovation, financial planning.

კობა ბასილაია
ეკონომიკის დოქტორი,
სსუ-ს ასოცირებული პროფესორი

შეიძლება ვთქვათ, რომ მთლიანობაში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა თანამედროვე პირობებში განვითარების ინოვაციურ ტიპზე გადადის და ამ მხრივ საბანკო სფეროც - გამონაკლისს არ წარმოადგენს.

საგარეო და შიდა ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ ისეთი ინოვაციური ცვლილებები მიმდინარეობს, რომლებიც ბანკების სახეს და მთლიანობაში საბანკო სისტემის სტრუქტურას ცვლიან.

აღნიშნულთან ერთად დღეს ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური შემადგენელის როლი აშკარად შეუფასებელია.

სწორედ აღნიშნული შემადგენელი თანამედროვე სახეობების ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებაში კატალიზატორს წარმოადგენს.

მხოლოდ ახალი ორგანიზაციული და ეკონომიკური მოდელების ჩარჩოებშია ინოვაციური საქმიანობის სხვა მიმართულებების ინტენსიური, მიზანმიმართული და ეკონომიკურად გამართლებული განვითარება შესაძლებელი.

ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინოვაციები, ბანკის განვითარების საერთო პირობების შექმნის გარდა, ახალი საბანკო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნის სფეროში ინოვაციური პოლიტიკის ეფექტურად განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.

ინოვაციური მენეჯმენტი საერთო სახით თავისთავად ბანკის დონეზე ფულადი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების მართვას, ანუ აღნიშნული ფინანსური მენეჯმენტის, მარკეტინგის, გაყიდვებისა და პერსონალის მართვის ურთიერთგადაჟაჭვურ ერთობლიობას - ეგრეთ წოდებული ინოვაციური მენეჯმენტის „საყრდენს“ წარმოადგენს (იხ. ნახ. 1).

ინოვაციური მენეჯმენტის ცალკეულ „საყრდენებად“ დაყოფა საბანკო მენეჯმენტის მმართველ ზემოქმედებაზე მიმართული სტრუქტურული ობიექტითა არის განპირობებული (3, გვ. 126-141).

ამიტომ ინოვაციური მენეჯმენტი შეიძლება ინოვაციებისადმი მიმართებაში გამხილული იქნას როგორც ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა პროცესების შიდასაბანკო რეგულირების მიმართებაში საქმიანობა. ჩვენს მიერ გამოყოფილი საბანკო მენეჯმენტის საკვანძო ელემენტები მჭიდროდ კორესპონდენტირდება საერთაშორისო კონსალტინგური კომპანია Bain and Company-ს დასკვნებთან, რომელმაც 2007 წელს ყველაზე სასარგებლო მართვის ინსტრუმენტები გამოავლინა. პირველი ადგილი მიეკუთვნა - სტრატეგიულ დაგეგმვას, მეორე - კლიენტებთან ურთიერთობების მართვას (ეფექტური გაყიდვების საფუძველი), მესამე - სეგმენტაციას (მარკეტინგის საფუძველი).

ო.ი. ლავრუშინის რედაქტორობით საბანკო მენეჯმენტთან მიმართებაში გამოცემულ კლასიკურ ნაშრომში გამოყოფილია - მსოფლიო პრაქტიკისათვის დამახასიათებელი ინოვაციები, და ეროვნული საბანკო სისტემისათვის დამახასიათებელი ინოვაციები (4).

განსაკუთრებით, აღნიშნული ეხება საბანკო მენეჯმენტის საბაზო ელემენტებს, როგორებიცაა კონცეფციები: ფულადი ნაკადების; ფულადი რესურსების

სტრატეგიულად ინოვაციური მარკეტინგი (სტრატეგიული დაგეგმვა, ინოვაციური სტრატეგია)		**ფინანსური მენეჯმენტი** (ფულადი ნაკადების მართვა, ინოვაციურო პორტფელისა და ინოვაციური რისკების მართვა)
	ინოვაციური პოლიტიკა:	
გაყიდვების ორგანიზაცია ახალი პროდუქტების (ასორტიმენტული პოლიტიკა, გასაღებითი პოლიტიკა, გაყიდვების ტექნოლოგია)		**კორპორატიული მართვა** (ორიენტაცია ინოვაციებზე, ღიადობა, მოტივაცია)

დროითი ღირებულების; შემოსავლიანობასა და ინოვაციურ რისკს შორის კომპრომისის; ინოვაციის ფასის; არამატერიალური აქტივების ფასეულობის; ინოვაციის ბაზრის ეფექტიანობის; ინოვაციების პორტფელური მართვის და სხვების კონცეფციები.

ინოვაციები განხილული უნდა იქნას როგორც მართვის ობიექტები, რომლებიც ისეთ სფეროებთან ერთად როგორიცაა აქტივები და პასივები, საბანკო მენეჯმენტის განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენენ.

მსოფლიო პრაქტიკისათვის დამახასიათებელია შემდეგი ინოვაციები:

- საბანკო პროდუქტები ახალ სეგმენტებზე: ინვესტიციები უძრავ ქონებაში, სადაზღვევო ბიზნესში, ფინანსურ ლიზინგში, სატრასტო ოპერაციებში და ა.შ.;
- ინოვაციები ფულად-საფინანსო ბაზრის ახალ სფეროებში, ისეთებში როგორიცაა კომერციული ქაღალდების, ფინანსური ფიუჩერსების, ფინანსური ოფციონების, ზოგიერთი ფასიანი ქაღალდების ბაზრები;
- ნაღდი ფულის მართვა და ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება;
- ფინანსური შუამავლობის მომსახურეობები, რომლებიც საოპერაციო ხარჯების შემცირებაზე და აქტივებისა და ვალდებულებების უფრო ეფექტიანად მართვაზეა მიმართული, მაგალითად დეპოზიტური სერტიფიკატები, ფულადი ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები და სხვები;
- ახალი პროდუქტები სასესხო კაპიტალის ბაზრის ტრადიციულ სეგმენტებში, მაგალითად ინსტრუმენტები მცურავი საპროცენტო განაკვეთით, ობლიგაციები ღრმა დისკონტით, სერიული ობლიგაციები და ა.შ., ასევე ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები, რომელთაც როგორც კაპიტალის, ასევე ნასესხები ფულადი სახსრების (სესხები და მონაწილეობის ობლიგაციები, სერთიფიკატები, ინვესტიციები და ა.შ.) მახასიათებლები გააჩნიათ.

ერონულ პრაქტიკაში გამოყოფენ საბანკო მენეჯმენტის შემდეგ სახეობებს:

- ინოვაციური საქმიანობა, რომელიც საბანკო საქმის რეგულირების მსოფლიო პრაქტიკას (ლიზინგურ და საინვესტიციო საქმიანობაზე აკრძალვის არ არსებობა, პირიქით, სადაზღვევო ბიზნესზე აკრძალვითი შეზღუდვების არსებობა) შეესაბამება;
- ფულადი სახსრებით და სხვა ქონებით ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების მიხედვით ნდობითი მართვის (სატრასტო ოპერაციები) განხორციელება;
- მესამე პირებიდან ვალდებულებების ფულად ფორმაში აღსრულების მოთხოვნილების უფლების შეძენა;
- ოპერაციის განხორციელება სავალუტო ფასეულობებთან;
- საბანკო ბარათებთან ოპერაციების პრაქტიკაში დანერგვა;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე სპეციალური სეიფების ან სათავსოს საბუთების ან ფასეულობები შესანახად იჯარაში გადაცემა;
- საკონსულტაციო და ინფორმაციული მომსახურეობების განხორციელება;
- ფულად-საფინანსო ბაზარზე „სხვა სახეობის გარიგებების“ ხარჯზე, მათ შორის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან ოპერაციების განვითარება.

თანამედროვე პირობებში საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება უპირატესად შეიძლება საბოლოო გამოხატულების მიმღები ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებში, კონკურენტუნარიანი მომსახურეობების ახალ სახეობებში ინოვაციური პროცესების განვითარების ხარჯზე იქნას მიღწეული. ინოვაციების მოძიება და გამოყენება უშუალოდ კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს.

თავისი ბუნების მიხედვით, ინოვაციები თავისთავში არა მარტო ტექნიკურ ან ტექნოლოგიურ დამუშავებებს, არამედ საბანკო საქმიანობის ყველა სფეროებში უმჯობეს მხარეს ნებისმიერ ცვლილებებსაც მოიცავენ. არსებობს გარკვეული ინოვაციური ციკლი და ტექნოლოგიების მუდმივად განახლება ინოვაციურ პროცესს - ბანკის კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერის, ბაზარზე პოზიციების მოპოვებისა და შენარჩუნების

და კლიენტების მომსახურეობის ხარისხის ამაღლების ძირითად პირობად, ასევე პროდუქტიული რიგის მუდმივად განახლების პირობად აქცევს.

ინოვაციური საქმიანობის შედეგები შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური.

მკვლევარების უმეტესობა ყურადღებას **ტექნოლოგიურ ინოვაციებს** უთმობენ, რომლებიც წარმოების განვითარების ინტენსიურობის პირდაპირ მახასიათებელს წარმოადგენენ. მათ მიაკუთვნებენ - სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელ წარმოების საშუალებების, მეთოდების, ტექნოლოგიების ხელშემხებ ყველა ცვლილებეს (6).

არამატერიალურ ინოვაციებს შესაბამისად უნდა მივაკუთვნოთ - ორგანიზაციული, ფინანსური, მმართველობითი, სამართლებრივი, სოციალური, მარკეტინგული, ეკოლოგიური ხასიათის ინოვაციები. სწორედ ინოვაციის მოცემულ კომპლექსს ჩვენ „ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინოვაციების" ერთიან ცნებაში ვაერთიანებთ.

ბანკის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ორგანიზაციულ-ეკონომიკურმა ინოვაციებმა უნდა უზრუნველყონ:

- ბანკის კლიენტების მოთხოვნილებების ყველაზე სრულად და თავისდროული დაკმაყოფილება;
- მომსახურების ხარისხის მაჩვენებლებისა და საბანკო საქმიანობის ეფექტიანობის მიხედვით ბანკის კონკურენტუნარიანობა;
- ბაზარზე მდგრადობის მიღწევა (ტრადიციული მომსახურეობების და ტექნოლოგიების გამოყენება, ინოვაციების დანერგვა). ტრადიციული ეფექტური ტექნოლოგიების შენარჩუნებით, საჭიროა რესურსების ნაწილი ერთდროულად ახალი საბანკო ტექნოლოგიების დანერგვაზე იქნას მიმართული, რითაც მომსახურეობების ნაერთის დივერსიფიცირება ხორციელდება;
- ბანკის მდგრადი განვითარებისათვის რადიკალური ახალდანერგვებისა და ევოლუციური და მუდმივად რეალიზებადი ინოვაციების ოპტიმალური თანაფარდობა. ამასთან, პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის გამოყენებით, საჭიროა ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა მოქნილად იქნას მოწყობილი ამა თუ იმ ინოვაციების ხასიათის ქვეშ;
- ინოვაციური განვითარების სისტემის შიდა გარე ელემენტების ზემოქმედების ორგანიზაცია, რომლის მთავარ ფაქტორებს - მარკეტინგული ახალდანერგვების სისტემა, ალტერნატიულების რიცხვიდან ინოვაციური პროექტების შერჩევა და პერსონალის სწორი მოტივაცია წარმოადგენენ.

ინოვაციური პროცესის მართვა ხარისხობრივად განსხვავდება საბანკო ოპერაციების მართვისაგან. ინოვაციური პროცესის მართვა, რომელიც განუსაზღვრელობით განსხვავდება, განსაკუთრებულ ინსტრუმენტებსა და მიდგომებს მოითხოვს. საბანკო ოპერაციები უზრუნველყოფენ ტიპიური საბანკო პროდუქტების შექმნას, მაშინ როდესაც ინოვაციური პროცესი სამომავლო შესაძლებლობებს ქმნის. საბანკო და ინოვაციურ პროცესს შორის ყველაზე მთავარ განსხვავებას განუსაზღვრელობა წარმოადგენს.

საბანკო მენეჯმენტის საერთო ერთობლიობიდან ორგანიზაციულ-ეკონომიკური შემადგენელების ელემენტების გამოყოფის სიძნელე დაკავშირებულია იმასთან, რომ ორგანიზაციული და ფინანსური ხასიათის მრავალი სიახლეები საბანკო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში დაპირისპირებულ ხასიათს ატარებდნენ და მოქმედ სამართლებრივ და ნორმატიულ ჩარჩოებში ვერ თავსდებოდნენ. ასევე სხვა მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ტრადიციულად ინოვაციური მენეჯმენტი ახალ პროდუქტებზე და ტექნოლოგიებზე იყო მიმართული და შიდა ორგანიზაციული და ეკონომიკური პროცესების სრულყოფის საკითხებს ნაკლები ხარისხით ეხებოდა.

ინოვაციის დონის შესახებ შეიძლება ინოვაციური პროცესის უწყვეტადობის ხარისხის მიხედვით ვიმსჯელოთ, რომელიც თავისთავად მეცნიერული ცოდნისა და გამოცდილების ახალ პროდუქტების, ტექნოლოგიების, ორგანიზაციული და ფინანსური გადაწყვეტილებების

შექმნისა და გარდაქმნების პროცესს წარმოადგენს. ერთობლივი ინოვაციური პროცესი თითოეული ცალკე ინოვაციის ცალკეული სტადიებისაგან შედგება, რომლებიც სასიცოცხლო ციკლის საწყის სტადიებს წარმოადგენენ.

საბანკო სფეროსათვის **ინოვაციის კომერციალიზაციის** სტადიას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. თუ ინოვაციის დანერგვას შემოსავლების ზრდისკენ არ მივყავართ, მაშინ შეიძლება ინოვაციური პროცესის დაუმთავრებლობის შესახებ ვისაუბროთ. აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა საბანკო ინოვაცია ბანკის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებისაკენ მოწოდებული კომერციულ ინოვაციად უნდა იქნას მიკუთვნებული.

დღეს ბანკების ინოვაციურ სტრატეგიებში დასაყრდენი ორგანიზაციულ ინოვაციებზე უნდა იქნას გაკეთებული. პრაქტიკული თვალსაზრისით ორგანიზაციული ინოვაციები ძირითადად საკლიენტო ბაზის განმტკიცებაზე და გაფართოებაზეა მიმართული, ანუ ორგანიზაციული ინოვაციები პირველ რიგში კლიენტების მომსახურეობის დონის ამაღლებასთან არიან დაკავშირებულები.

ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინოვაციების დანერგვასა და ბანკის კონკურენტული პოზიციების გაძლიერებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს, რამდენადაც ინოვაციების დანერგვა პირდაპირ არის მიმართული საქმიანობის სრულყოფაზე, რამაც საბოლოო ჯამში მისი კონკურენტული პოზიციების გაძლიერებისაკენ უნდა მიგვიყვანოს.

ავღნიშნავთ, რომ საბანკო კონკურენცია - საკმაოდ პირობითი ცნებაა, რამდენადაც საბანკო ბაზარზე არა მარტო ბანკები კონკურირებენ. ბაზრის ფინანსურ სექტორში შეიძლება გამოიყოს კონკურენტული ბრძოლის სამი დონე (7).

ძირითადი დონეა - კონკურენცია კომერციულ ბანკებს შორის, რომლებიც ტრადიციულად - **უნივერსალურებად და სპეციალიზირებულებად** დაიყოფიან. ადრე აღნიშნულ სახეობებს შორის მკაფიო ზღვარი არსებობდა. მაგრამ ბოლო დროს მრავალ ქვეყანაში საბანკო კონკურენციის გაძლიერებისა და ინოვაციების აქტიურად დანერგვის პირობებში - სულ უფრო მეტად ვლინდება **საბანკო საქმიანობის უნივერსალიზაციისაკენ ტენდენცია.** უნივერსალური და სპეციალიზირებული ბანკების განსხვავებები სულ უფრო და უფრო საკამათო და ბუნდოვანი ხდება. უნივერსალური ბანკი რამდენადმე უკეთესად არის დაცული კომერციული რისკიდან, ვიდრე სპეციალიზირებული, მას კონიუნქტურის ცვლილებებზე უფრო მოქნილად რეაგირება შეუძლია, რაც ნიშნავს, რომ იგი უფრო კონკურენტუნარიანია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საბანკო საქმეში, როგორც მრეწველობაშიც, თავისუფალი კონკურენცია უეჭველად იწვევს კონცენტრაციას. ცალკეული ბანკები შთაინთქმება უფრო მძლავრი კონკურენტებით, ნაწილი კი, დამოუკიდებლობის ფორმალურად შენარჩუნებით, ფაქტიურად უფრო ძლიერი კონკურენტების ძალაუფლების ქვეშ მოექცევიან. მიმდინარეობს ბანკების შერწყმა. ბანკების რიცხოვნობა კლებულობს, მაგრამ ამასთან ერთად დიდდება მათი ზომები, იზრდება ოპერაციების მოცულობა, ფართოვდება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობები საკუთრივ განვითარებაში. თითოეულ ქვეყანაში ხორციელდება გარკვეული მცირე რაოდენობის მსხვილი ბანკების გამოყოფა ხორციელდება (მაგალითად, საქართველოში - ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ს.ს. „თი-ბი-სი ბანკი“), რომელთა ანგარიშებზე მოგებიანად გამოყენების მაძიებელი თავისუფალი სახსრების საკმაოდ დიდი თანხები არის დაგროვებული.

კონცენტრაცია ინოვაციის სფეროში შეიმჩნევა როგორც ცალკეულ ბანკებს შორის, ასევე საბანკო კაპიტალის უმსხვილეს კავშირებს შორისაც. ამ უკანასკნელებში სულ უფრო და უფრო ძლირედება მონოპოლისტური შეთანხმებისაკენ, ბანკების გაერთიანებისაკენ მისწრაფება. სხვადასხვა აქციონერული საზოგადოებების

მსხვილი ფინანსური ოპერაციები სულ უფრო ხშირად ხორციელდება არა რომელიმე ცალკე ბანკის მიერ, არამედ რამდენიმე წამყვან ბანკებს შორის შეთანხმებების მეშვეობით.

კონკურენტულ ბრძოლაში მსხვილ ბანკებს მცირეების წინაშე გადამწყვეტი უპირატესობები გააჩნიათ. უპირველეს ყოვლისა, ისინი ინოვაციური საქმიანობის განვითარების მეტ შესაძლებლობებს ფლობენ, რამდენადაც მათ აღნიშნულს საქმეში მნიშვნელოვნად მეტი ფულადი სახსრების ჩადება შეუძლიათ, ვიდრე მცირე ბანკებს. გარდა ამისა, მსხვილ ბანკებს ანაბრების მოზიდვისას უპირატესობა გააჩნიათ, რადგანაც მეანაბრეები უპირატესობას საკუთარი სახსრების მსხვილ, უფრო სოლიდურ და მდგრად ბანკებში განთავსებას ანიჭებენ, და არა მცირეებში, რომლებიც უფრო ხშირად განიცდიან კრახს.

მეორე მხრივ, მსხვილი ბანკები ჩვეულებრივად ფილიალების (განყოფილებების, სააგენტოების, სამმართველოების) ქსელებს ფლობენ, რომლებიც მრავალ ქალაქშია განთავსებული, რაც მცირე ბანკებს არ აქვთ. ამასთან ერთად ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისას მცირე ბანკებს დისტანციური მომსახურეობის სისტემის განვითარების შანსი აქვთ.

მესამე, მსხვილ ბანკებს ოპერაციების დანერგვასთან მიმართებაში, აღნიშნული ოპერაციების დიდი მასშტაბიდან გამომდინარე, დანახარჯები ნაკლები აქვთ. აღნიშნული გარემოება მსხვილ ბანკებს საანგარიშსწორებო და საკრედიტო ოპერაციების შესრულებაზე კლიენტებისაგან ნაკლები საზღაურის აღების შესაძლებლობას აძლევს, რაც, ბუნებრივია, იზიდავს კლიენტურას. მსხვილი ბანკების უპირატესობა კიდევ უფრო ძლიერდება ინოვაციური ტექნიკის (კომპიუტერების) ფართედ გამოყენების შედეგად, რომლებიც როგორც ბანკის შიგნით მუშაობის, ასევე კლიენტების მომსახურეობის ოპტიმიზირების შესაძლებლობას იძლევა.

ბანკები-აუტსაიდერებთან ბრძოლაში, საბანკო გაერთიანებები კონკურენტული ბრძოლის სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, როგორებიცაა: რეკლამის მეშვეობით; აუტსაიდერების საქმიანობის რაიონში საკუთარი ფილიალების გახსნის გზით და კლიენტების გადაბირებით მათთვის ამა თუ იმ შეღავათების განხორციელება მომსახურეობის ინოვაციური ფორმების უფრო ფართე სპექტრის გამოყენების მეშვეობით. ბრძოლა კლიენტურაზე თვით საბანკო გაერთიანებებს შორისაც მიმდინარეობს. თითოეული მსხვილი ბანკი მიისწრაფის სხვა მსხვილი ბანკებიდან კლიენტების გადაბირებისკენ.

თანამედროვე პირობებში კომერციულ ბანკებს შორის მეტოქეობასთან ერთად ინოვაციურ საქმიანობაში სულ უფრო სერიოზულ კონკურენციას ისინი განიცდიან არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების (სადაზღვევო კომპანიების, ფინანსური ბროკერების, საპენსიო ფონდების, საინვესტიციო ფონდების, საკრეტო ბარათების გამომშვები კომპანიების და სხვების) მხრიდან, ასევე არასაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან (ფოსტა, სავაჭრო საზხლები, საავტომობილო მრეწველობის საწარმოების და სხვები).

შიდადარგობრივი საბანკო კონკურენციის თავისებურებების შესახებ საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციების გამოყენება და დანერგვა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ბანკის როგორც შემოსავლიანობასა და რენტაბელობას, ასევე თვით სტატუსსაც განსაზღვრავს. ასე, მაგალითად, საკუთარი კონკურენტული სტრატეგიის შემუშავების ეტაპზე თითოეულმა საკრედიტო ინსტიტუტმა უნდა გადაწყვიტოს, თუ იგი საკუთარ საქმიანობაში ინოვაციებს რამდენად აქტიურად გამოიყენებს და რამდენად აქვს აზრი ყველა საბაზრო სეგმენტებზე საკუთარი ძალისხმევის გავრცობას, ანუ უნივერსალურ ბანკად ყოფნას. საჭიროა ალტერნატიული სტრატეგიული გადაწყვეტილებების უპირატესობები და ნაკლოვანებები გონივრულად იქნას აწონილი და შეფასებული.

თანამედროვე პირობებში ჩამოყალიბდა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ უნივერსალური ბანკები სხვა დანარჩენი თანაბარი პირობების არსებობისას კონკურე-

ნტულ უპირატესობას ფლობენ, რაც რისკის რეალიზებადი საქონელის ფართე ასორტიმენტზე გაფანტვისა და ინოვაციების ყველაზე უფრო აქტუალურ სეგმენტებში დანერგვის შესაძლებლობაში მდგომარეობს. აქედან გამომდინარე, საკმარისი ფინანსური რესურსების არსებობისას გადაწყვეტილება ერთსახად უნივერსალიზაციის სასარგებლოდ უნდა იქნას მიღებული. მნიშვნელოვანი ხარისხით აღნიშნული ფაქტორი სწორია. მაგრამ ბანკის ხელმძღვანელობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ უნივერსალურ ბანკებსაც შეიძლება გააჩნდეს სტრატეგიული ნაკლოვანებები, კერძოდ, შიდადარგობრივი კონკურენციისა და ზედმეტად მრავალმხრივი ინოვაციური საქმიანობის ინტენსიურობის თვალსაზრისით.

სპეციალიზირებული ბანკები ნაკლები რაოდენობის დარგებში მოქმედებენ და უნივერსალური ბანკების გარდა, მხოლოდ ანალოგიური სპეციალიზაციის მქონე ბანკებთან კონკურირებენ. იგივე ეხება არასაბანკო ოგანიზაციებსაც, რომლებიც ხშირად მხილოდ ერთ საბანკო დარგში ინერგებიან. სპეციალიზაციის პარამეტრებიდან დამოკიდებულებაში შიდადარგობრივი კონკურენციის ინტენსიურობა მცირდება ან მაღლდება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აქ იგი ნაკლებია, ვიდრე უნივერსალურ ბანკებში.

ინოვაციების დანერგვისას სპეციალიზირებულ ბანკებს საკუთარი ფუნქციონირების თავისებურებების უფრო დეტალურად გათვალისწინების შესაძლებლობები გააჩნიათ, მაგრამ ამასთან ერთად, საჭირო ინოვაციების ოპტიმალურად დანერგვის პრობლემა, სპეციალიზირებული ბანკების წინაშე არანაირად ნაკლებად არ დგას, ვიდრე უნივერსალურების წინაშე.

კონკურენტული სტრატეგიის შედგენის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ინოვაციური გადაწყვეტილებების არსებული სახეობის ჩარჩოებში შემუშავება ჯერ კიდევ კონკურენტულ უპირატესობას არ უზრუნველყოფს, თუ იგი ბანკის ყველა მენეჯერების მხარდაჭერას ვერ პოულობს და საბოლოო ჯამში საკრედიტო ორგანიზაციის ღირებულების ამაღლებაზე არ არის მიმართუ;ლი.

თუ ინოვაციების დანერგვისას შიდადარგობრივი საბანკო კონკურენცია ამა თუ იმ საბანკო დარგის მოქმედ ინსტიტუტებს შორის ხორციელდება, დარგთაშორისო კონკურენცია კი იმ სუბიექტებს შორის გაიშლება, რომელთა ინტერესები ადრე არ გადაიკვეთებოდა.

როგორც ცნობილია, დარგთაშორისო კონკურენცია ეკონომიკაში შეიძლება კონკურენციის ფორმაში კაპიტალის გადადინების ან ფუნქციონალური კონკურენციის მეშვეობით ხორციელდებოდეს.

კაპიტალის გადადინების მეშვეობით კონკურენცია საწარმოს მიერ საკუთარი საქმიანობის პროფილის შეცვლისას ან მისი დივერსიფიკაციისას წარმოიშობა. იგი სხვადასხვა დარგებში კონიუნქტურისა და მოგების ნორმის განსხვავებებით გამოიწვევა. იდეალურად კაპიტალის გადადინებას შეეძლო ყველა დარგების მიხედვით მოგების ნორმის გამოთანაბრება გამოეწვია. მაგრამ პრაქტიკაში კაპიტალის გადადინებისათვის წინააღმდეგობები არსებობენ, რომლებმაც **ეკონომიკურ ლიტერატურაში „შემომავალი და გამომავალი ბარიერების“** სახელწოდება მიიღეს.

ამასთან, აქ **გარკვეული შემომავალი ბარიერები,** ანუ ბაზარზე ახალი კონკურენტების შეღწევისათვის წინააღმდეგობები არსებობენ. მათ მიეკუთვნებიან: ეკონომია წარმოების მასშტაბებზე; პროდუქტის დიფერენციაცია; მნიშვნელოვანი მოცულობის კაპიტალის საჭიროება; გასაღებითი არხების შეუღწევადობა; რესურსების წყაროებისადმი მიღწევადობის შეზღუდულობა; ფილიალური ქსელის არ არსებობა; დარგში გამოყენებადი ინოვაციური მეთოდიკებისა და ტექნოლოგიების მაღალი დონე; საბანკო დარგში მოქმედი მოცემული სახეობის საქმიანობის ძირითადად მხოლოდ მარტოოდენ განხორციელების უფლებების არსებობა; ინოვაციების პატენტური დაცულობა; გამოცდილების არასაკმარისობა; არსებული ბანკების ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედება და სხვები.

გამომავალი ბარიერები (ბაზარზე მოქმედი, ბანკების მიერ მისგან გასვლის მცდელობებისათვის, წინააღმდეგობები) გამოიხატებიან საჭიროებაში, როგორებიცაა: მსხვილი ინვესტიციების ჩამოწერა, დიდი დანახარჯები საქმიანობის კონვერსიასთან მიმართებაში, საკუთარი იმიჯის დაკარგვის სურვილის არ ქონა, მენეჯერების პატივმოყვარეობა, მთავრობის ან პროფესიული კავშირების წინააღნდეგობრივი ქმედებები, კლიენტურისა და პარტნიორების რეაქციები და სხვები. ამრიგად, რამდენად მაღალია შემომავალი და გამომავალი ბარიერები, იმდენად მაღალია დარგში ახალი კონკურენტების შეღწევის საშიშროება.

საბანკო საქმისათვის დარგთაშორისო კონკურენციის დომინირებად სახეობას - კაპიტალის გადადინება წარმოადგენს. იგი ტრადიციულ საბანკო ბაზრებზე „ახლბედების“ შეღწევისას, ასევე ბანკების მიერ ახალ სეგმენტებში საკუთარი ადგილის მოპოვების მცდელობისას ხორციელდება.

საბანკო დარგში შემომავალი ბარიერების მნიშვნელოვან თავისებურებას სიახლეების პატენტური დაცვის არ არსებობა წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთი საკრედიტო ინსტიტუტის მიერ დანერგილი - ნებისმიერი ფინანსური ინოვაცია, ნებისმიერი ახალი საბანკო მომსახურეობა, საქმიანობის ოპტიმიზაციის ნებისმიერი მეთოდიკა შეიძლება მოკლე დროის შემდეგ მისი კონკურენტის მიერ (ინოვაციების დიფუზიის პრობლემა) იქნას აღდგენილი. აღნიშნული კონკურენციის ინტენსიურობას ზრდის.

ამასთან, თუ შიდადარგობრივი კონკურენციის ინტენსიურობა ცალკე ინსტიტუტისათვის, მისი უნივერსალიზაციის (ან სპეციალიზაციის) ხარისხზეა დამოკიდებული, დარგთაშორისო კონკურენცია კი იმდენად უფრო ინტენსიურია, რამდენად უფრო მიმზიდველს წარმოადგენს, რენტაბელობისა და განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით, საბანკო სფეროს ესა თუ ის საქმიანობა.

გარდა ამისა, კომერციული ბანკებისათვის გასა-

ღებითი არხების შეუღწევადობის პრობლემა არ არსებობს, რადგანაც საბანკო მომსახურეობების წარმოება და გასაღება დროში თანხვედრაშია და შეიძლება საბანკო განყოფილების შენობაში იქნან ლოკალიზებულები.

შემომავალ ბარიერებს საბანკო საქმეში ისეთი მნიშვნელობა არ გააჩნიათ, როგორც მრეწველობაში, რადგანაც საკრედიტო ინსტიტუტების ახალ ბაზრებზე შეღწევა ჩვეულებრივად ძველი ბაზრებიდან მათ წასვლასთან არ არის დაკავშირებული, და იგი საბანკო ასორტიმენტისა და ინოვაციური სტრატეგიის დანერგვის დივერსიფიკაციის ჩარჩოებში ხორციელდება.

კონკურენციის ისეთი სახეობა, როგორიც დარგთაშორისო ფუნქციონალური კონკურენციაა, საბანკო საქმეში თავისი არსის მიხედვით არ გვხვდება. რა თქმა უნსა, ცალკეული საბანკო მომსახურეობები შეიძლება ერთმანეთის შემცვლელები იყვნენ. მაგალითად, ფულადი სახსრების ვადიან ანაბარზე შეტანა შეიძლება მათი (ფულადი სახსრების) მონეტების ან სხმულების სახით ფასიან ქაღალდებში ან ძვირფას ლითონებში და მის მსგავსებში ჩადებასთან დაკავშირებით ბანკზე დავალების მიცემა იყოს. მაგრამ აღნიშნულ შეცვლადობას არა იმდენად დარგთაშორისო კონკურენციისათვის აქვს მნიშვნელობა, რამდენიც შიდადარგობრივისათვის, რადგანაც უმეტეს შემთხვევაში აღნიშნული მომსახურება-შემცვლელების მიწოდება თავს იყრის ერთ ხელში (საქმის არსიდან გამომდინარე, ფუნქციონალურ ხასიათს ჩვენებითი საბანკო კონკურენციის სახე აქვს). საბანკო მომსახურეობებისათვის კი გარე, არასაბანკო შემცვლელების მოძიება საკმაოდ პრობლემატურია. მაგალითად, საწარმოსათვის კრდიტის ნაცვლად დაფინანსების ალტერნატიული წყარო შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები ან საკუთარი სახსრები იყოს. მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებზე იმედის ქონა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში არის შესაძლებელი, ხოლო საკუთარი საბრუნავი სახსრების, ყველა საწარმოო მოთხოვნილებების მთლიანად გადამფარავი მოცულობით ქონა, არარაციონალურია, რადგანაც აღნიშნული მათ ბრუნვადობას შეანელებს და რენტაბელობაზე უარყოფითად აისახება.

ზემოთაღნიშნულების გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი: საბანკო მომსახურეობებს მთლიანობაში კონკურენტშემძლე შემცვლელები არ გააჩნიათ, რაც მეწარმეობისათვის საბანკო სფეროს მიმზიდველობას ამაღლებს. მოსახლეობისათვის საბანკო მომსახურების ბაზარზე ინოვაციური კონკურენტული სტრატეგიის შემუშავებისას ქართულმა ბანკირებმა მათზე მოთხოვნის ფორმირების, მათი სინამდვილეში შეუცვლელებად გახდომის მცდელობები უნდა გააგრძელონ, როგორც აღნიშნული განვითარებულ ქვეყნებში უკვე იქცა ნორმად.

DEFINING THE ROLE OF FINANCIAL AND ORGANIZATIONAL ECONOMIC INNOVATION IN BANKING MANAGEMENT

Koba Basilaia
Economic Doctor

SUMMARY

Banking services in general have no competitive substitutes, which increases the attractiveness of the banking sector for entrepreneurship. In developing an innovative competitive strategy in the banking services market for the public, bankers should continue their attempts to create demand for them, to make them truly irreplaceable, as has already become the norm in developed countries.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2015. – 800 გვ.
2. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.
3. Геронина Н.Г,. Зверев О.А. – Актуальные вопросы банковского менеджмента: Стратегическое управление, банковский маркетинг, финансовое планирование, управление иновациямиб Монография. _ Москва, 2009. – 165 с.
4. Управление деятельностью коммерческого банка (банковский менеджмент) / под ред. О.И. Лаврушина. – Москва: КНОРУС, 2009.
5. Шумпетер ш. – Теория экономического развития. – Москва: Прогресс, 1982.
6. Джолдабаева Г.Н. – Инновация как фактор повышения эффективности произвлодства // Бизнес-путеводител : деловой еженедельник, 2006.
7. Подробный понятийныйфппарат по банковской конкуренции см.: Черных С.И. – Банковская конкуренция. – Москва, 2006.

ლიდერობისა და ხელმძღვანელობის ცნებების გაგებასთან დაკავშირებული შეხედულებები

აბსტრაქტი

ლიდერობისა და ხელმძღვანელობის ფენომენებს აქვთ განსხვავებული ბუნება, ისინი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც პიროვნებათაშორისი პროცესების გამოვლინება, რომლებიც რეალიზდება განსხვავებული არხებით. მართვა და ლიდერობა არის ადამიანთა ორგანიზების ორი განსხვავებული გზა. მენეჯერი იყენებს ფორმალურ და რაციონალურ მეთოდს, მაშინ როდესაც ლიდერი აღძრავს გრძნობებსა და ემოციებს.

საკვანძო სიტყვები: ლიდერობა. მენეჯერი და ლიდერი. ლიდერის ინტუიცია. ეფექტიანი მმართველობა.

კახი კოპალიანი
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი

VIEWS ON UNDERSTANDING OF LEADERSHIP AND LEADERSHIP CONCEPTS

Kakhi Kopaliani - Doctor of Psychology,
Associate Professor of Sokhumi State University
Irma Dikhaminjia – Doctor of Economics,
Associate Professor of Sokhumi State University

ABSTRACT

Leadership and leadership phenomena have different nature, they can be considered as the manifestation of interpersonal processes that are realized by different channels. Management and leadership are two different ways of human organization. The manager uses formal and rational methods, while the leader moves the feelings and emotions.

Keywords: Leadership. Manager and leader. Leader's intuition. Effective governance.

ირმა დიხამინჯია
სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და
ბიზნესის ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

მრავალი კანონზომიერება, რომელიც აღმოჩენილია ლიდერობის შესწავლის დროს, სავსებით მიესადაგება ხელმძღვანელობის ანალიზსაც. ლიდერობის თეორიის მკვლევარებმა (მ. ვებერი, ჯ. მაკგრეგორი, რ. ლაიკერტი, ფ. ფიდლერი, ზ. ფროიდი, რ. ბეილსი, ბ. პარიგინი და სხვები) დაიწყეს ლიდერებსა და ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობების კვლევა, მათ ნაშრომებში ვკითხულობთ: "ჩვენ რომ ვიარსებოთ 21-ე საუკუნეში გვჭირდება არა მენეჯერების არამედ ლიდერების ახალი თაობა, მათ შორის დიდი განსხვავებაა. ლიდერები იპყრობენ გარემომცველ რეალობას (ცვალებადს და განუსაზღვრელს), რომელიც ზოგჯერ ჩვენს წინააღმდეგადაც ილაშქრებს და აუცილებლად დაგვამარცხებს ამის ნება რომ მივცეთ".

ხელმძღვანელობა, ლიდერობა კვლევის საგნად იქცა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, როცა დაიწყო მართვის მეცნიერების შესწავლა. მაგრამ მხოლოდ 30-50-იან წლებში ჩამოყალიბდა სისტემური წარმოდგენა ლიდერობის ცნების შესახებ. ხელმძღვანელის საქმიანობის ფსიქოლოგიური შინაარსის შესასწავლად, მნიშვნელოვანია ლიდერობის მექანიზმის ცოდნის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ ამ მექანიზმის ცოდნა არავითარ შემთხვევაში არ იძლევა ხელმძღვანელის საქმიანობის სრულ დახასიათებას. ამიტომ, ჯერ უნდა

მოხდეს ლიდერობის მექანიზმის საერთო მახასიათებლების გამოვლენა, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელის კონკრეტული საქმიანობის ჩარჩოებში ამ მექანიზმის ინტერპრეტირება. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება გვენახა, თუ რა განსხვავებაა და რა საერთოა აღნიშნულ ფენომენებს - ლიდერობასა და ხელმძღვანელობას - შორის.

ფ. ფიდლერი, კ. ბერდი, რ. ბეილსი, რ. სტოგდილი, „ლიდერის“ და „ხელმძღვანელის“ ცნებას აიგივებენ ერთმანეთთან, ხოლო რუსი მეცნიერ-მკვლევარები ს. ბაგრევცოვი, ბ. პარიგინი, ლ. უსმანსკი ამ ორ ცნებას დამოუკიდებელ კონტექსტში განიხილავენ. მათი აზრით: 1) ლიდერობა ძირითადად დაკავშირებულია შიგა ჯგუფური, პიროვნებათაშორისი ურთიერთობათა დარეგულირებასთან, რომელიც არაოფიციალურ ხასიათს ატარებს, მაშინ, როცა ხელმძღვანელობა სოციალური ორგანიზაციების ჩარჩოებში ურთიერთობათა რეგულირების საშუალებას წარმოადგენს; 2) ლიდერობა მიკროგარემოს ფენომენს წარმოადგენს, ხოლო ხელმძღვანელობა - მაკროგარემოს ელემენტს, რომელიც პასუხობს სისტემას, რომელშიც სოციალური ურთიერთობები დომინირებს; 3) ლიდერობა უპირატესად აღმოცენებულია და ფუნქციონირებს სტიქიურად, ხელმძღვანელობა კი წარმოადგენს სოციალური ორგანიზაციების და ინსტიტუტების საქმიანობათა მიზანმიმართულ და კონტროლირებად პროცესს; 4) ლიდერობის განგანსხვავებით ხელმძღვანელობა - უფრო სტაბილური მოვლენაა, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება ჯგუფის წევრთა აზრებისა და გუნება-განწყობილების ცვლილებებს; 5) ხელმძღვანელობის პროცესი ხასიათდება განსხვავებულ სანქციათა გაცილებით მეტი გარკვეული სისტემების გამოყენებით, ვიდრე ამას ადგილი აქვს ლიდერობაში; 6) გადაწყვეტილების მიღების პროცესი ხელმძღვანელობის სისტემაში ატარებს უფრო რთულ და მრავალგზის გაშუალებულ ხასიათს, ვიდრე ლიდერობის პირობებში; 7) ლიდერის საქმიანობა უპირატესად მიმდინარეობს მიკროგარემოს ჩარჩოებში, მცირე ჯგუფში, ხემძღვანელობის მოქმედების სფერო უფრო ფართეა და სოციალური სისტემების განსხვავებულ დონეებს მოიცავს.

ხელმძღვანელობისა და ლიდერობის თავისებურ გაგებას გვთავაზობს ომარ შამათავა, რომლის მიხედვით ხელმძღვანელობა, როგორც სოციალური ჯგუფის წევრების მართვისა და ორგანიზაციის სოციალური პროცესი, ფორმალური არხით მიმდინარეობს, მას უფლებრივ-იურიდიული სტატუსი გააჩნია. ხელმძღვანელობა არის ჯგუფის საქმიანობისადმი სოციალური კონტროლის განხორციელების, ინდივიდთა უნარის მობილიზაციის სპეციფიკური სოციალურ-ფსიქოლოგიური საშუალება. ლიდერობა კი, როგორც სოციალური ჯგუფის წევრთა მართვისა და ორგანიზაციის სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესი, სპონტანურ-არაფორმალური ხასიათისაა. მის შეიარაღებაშია ჯგუფის წევრთა ურთიერთგაგების, „ურთიერთდამუხტვის“, სიმპატია-ანტიპატიის, არჩევა-იგნორირების დაუწერელი კანონები.

ავტორი აგრეთვე საუბრობს ხელმძღვანელობასა და ლიდერობას შორის მკვეთრი მიჯნის დადგენის სიძნელის შესახებ. ის ეთანხმება გამონათქვამს, რომ „ხელმძღვანელობა ლიდერობის დამატებითი ფუნქციაა“ და დასძენს “უეჭველად, ლიდერობა ხელმძღვანელობასაც გულისხმობს“.

ამრიგად, ლიდერობისა და ხელმძღვანელობის ფენომენებს აქვთ განსხვავებული ბუნება, ისინი შეიძლება განხილული იქნეს, როგორც პიროვნებათაშორისი პროცესების გამოვლინება, რომლებიც რეალიზდება განსხვავებული არხებით.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტს საუბრობენ მენეჯერის როლის შესახებ. ამ თვალსაზრისით საინტერესო იქნებოდა გვენახა თუ რა განსხვავებაა ლიდერსა და მენეჯერს შორის. მართვის საკითხებისადმი მიძღვნილ მსოფლიო ლიტერატურაში აღწერილია ასეულობით თვისება, რომელიც აუცილებელია მენეჯერისათვის ეფექტიანი მმართველობითი საქმიანობის განსახორციელებლად. ყველა მენეჯერს, გარდა ზოგადი თვისებებისა, გააჩნია მთელი რიგი

პიროვნული თვისებები. მენეჯერთა პიროვნული თვისებების დარგში კვლევებმა, მათი მუშაობის გამოცდილების შესწავლამ, საშუალება მისცა მეცნიერებსა და ანალიტიკოსებს გამოევლინათ მენეჯერის პიროვნული თვისებები, რომელიც აუცილებელია წარმატებული და ეფექტიანი მართვისთვის. ასეთ თვისებებს მიეკუთვნება – ლიდერობა.

მრავალი მკვლევარი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლიდერის და მენეჯერის როლები მსგავსია და არაიდენტური, თანამშრომელი შეიძლება კარგი მენეჯერი იყოს მაგრამ, შესაძლოა, ლიდერად მან ვერ ივარგოს. „მენეჯერები არიან ისინი, ვინც საქმეებს სწორად აკეთებს, მაშინ როდესაც ლიდერები არიან ისინი, ვინც სწორ საქმეებს აკეთებენ". ეს იმას ნიშნავს, რომ მენეჯერები იყენებენ წიგნებიდან მიღებულ ცოდნას და მისდევენ ორგანიზაციის პოლიტიკას, ხოლო ლიდერები უფრო მეტად ეყრდნობიან თავიანთ ინტუიციას, რაც თავის მხრივ, შესაძლოა ორგანიზაციისათვის უფრო მომგებიანიც იყოს. ლიდერის წარმატებებზე მსჯელობენ არა იმის მიხედვით, თუ რას აკეთებენ ისინი, არამედ, როგორ აკეთებინებენ ამას სხვა ადამიანებს. ლიდერიუფროემოციურია, ვიდრემენეჯერი. ცნობილია, რომ ადამიანებს უფრო მეტად ემოციები მართავენ და არა გონება. აქედან გასაგები ხდება, თუ რატომაა, რომ გუნდს ყოველთვის ურჩევნია გაჰყვეს ლიდერს.

ლიდერს მიჰყვებიან, ხოლო მენეჯერი კი მართავს. ლიდერს ადამიანი ბუნებრივი არჩევანით მიჰყვება, ხოლო მენეჯერს იგი უნდა დაემორჩილოს. მენეჯერმა, შესაძლოა, მოიპოვა თავისი თანამდებობა ორგანიზაციის ერთგულებისა და მასში ხანგრძლივად მუშაობის შედაგად და არა თავისი ლიდერული მუშაობის გამო. ლიდერს კი, შესაძლოა, სულ არ გააჩნდეს ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, მაგრამ თავისი ხედვით ახერხებდეს ადამიანების გაერთიანებას.

მენეჯმენტი, როგორც წესი, შედგება ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც თავიანთ სფეროში საკმაოდ გამოცდილები არიან და წლების მანძილზე მუშაობდნენ ორგანიზაციაში. მათ იციან, თუ როგორ მუშაობს ორგანიზაციული სისტემის თითოეული ელემენტი და კარგი ტექნიკური ცოდნით არიან აღჭურვილნი. ლიდერი კი შესაძლოა იყოს სრულიად ახალი პირი ორგანიზაციაში, გააჩნდეს ბრწყინვალე ახალი იდეები, მაგრამ არ ჰქონდეს გამოცდილება და სიბრძნე.

ლიდერობა არის რთული პროცესი, რომლის მეშვეობით პიროვნება ახდენს სხვებზე გავლენას მისიის, მიზნის, ან ამოცანის მისაღწევად და მიმართავს ორგანიზაციას ისეთნაირად, რომ ის უფრო შეკრული და ჰარმონიული იყოს. პიროვნება წარმართავს ამ პროცესს მისი ლიდერული თვისებების გამოყენებით (რწმენა, ფასეულობები, ეთიკა, ხასიათი, ცოდნა და უნარები). თუმცა მენეჯერის, ზედამხედველის ან უფროსის თანამდებობა იძლევა ორგანიზაციაში გარკვეული ამოცანების შესრულებისათვის საჭირო ძალაუფლებას, ეს ძალაუფლება არ აქცევს ადამიანს ლიდერად. ლიდერობა ადამიანებს მიზნებისა და ამოცანების შესრულების სურვილს უჩენს მაშინ, როდესაც ხელმძღვანელები უბრალოდ

მიუთითებენ ადამიანებს ამ მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართვა და ლიდერობა არის ადამიანთა ორგანიზების ორი განსხვავებული გზა. მენეჯერი იყენებს ფორმალურ და რაციონალურ მეთოდს, მაშინ როდესაც ლიდერი აღძრავს გრძნობებსა და ემოციებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fielder F.E. A Theory of Leadership. McGraw-Hill, 1967.

2. Stogdill R.M. Handbook of Leadership. Free Press, 1974.

3. კ. კოპალიანი. ლიდერობის როლური დიფერენციაციის პიროვნებათაშორისი დეტერმინანტები მოზარდ ფეხბურთელთა გუნდებში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბილისი 2015

4. К.Копалиани. Ролевая диференциация лидерство в юнашескихспортивних командах. КАВКАЗОВАДЕНИ7Е №3. 2003.

5. K. Kopaliani. Peculiarities of the Motivation of Achievement in Adolescents. BULLETIN OF THE GEORGIAN AKADEMY OF SCIENCES. 168, №3,Tbilisi 2003.

6. ი. დიხამინჯია., ცვლილებათა ლიდერები., სსუ II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბილისი., 2017 წლის 3-4 მაისი.

7. ი. დიხამინჯია., ლიდერობა, როგორც ეფექტიანი მენეჯმენტის ინსტრუმენტი., თსუ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 2012 წ. 6-7 აპრილი.

ზნეობა და ეკონომიკა

ეკონომიკა კაცობრიობის არსებობის თანმდევი პროცესია, ვინაიდან ერთი მეორის გარეშე ვერ იარსებებს. სიტყვა „ეკონომიკა“ ბიბლიაში არ გვხვდება, იგი მერენდელია და ძველ ბერძენ მოაზროვნეს, სოკრატეს მოსწავლე ქსენოფონტეს ეკუთვნის, რომელმაც სამეურნეო საქმიანობის შესახებ დაწერილ თავის წიგნს „ეკონომიკოსი“ უწოდა. შემდგომში ეს ტერმინი „სახლმშენებლობად“ ითარგმნა და მასში მონათმფლობელური (თვითონ ქსენოფონტე მდიდარი არისტოკრატი მონათმფობელი ყოფილა), საოჯახო მეურნეობის გაძღოლის ხელოვნება იგულისხმება. კერძოდ, როგორ მოპყრობოდნენ მონებს, ქონებას, ცოლებს, კვების პროდუქტების წარმოებას, შემოსავლის განაწილებას და ა.შ.

რამაზ ნამიჭეიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი
სამეცნიერო საზოგადოება
„ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი

პრაქტიკული ასპექტით ეკონომიკა სამეურნეო საქმიანობაა, ურთიერთობების წესებია საოჯახო მეურნეობის, წარმოების სხვა ორგანიზაციული ფორმების სუბიექტებს შორის განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. ამდენად ეკონომიკა ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის, მისი გამრავლების საშუალებაა — მას მატერიალური სამყაროს ობიექტური კანონები კი არ ამოძრავებს, ღმერთის მიერ ნაკარნახებ წესებს ემყარება, რომელიც მოცემულია ბიბლიაში.

დაბადებაში დაწერილია, რომ ღმერთმა ადამიანს გაჩენამდე ყველა პირობა შეუქმნა, მიწა, წყალი, ცა, ხეხილი ხმელეთზე, ცაში ფრინველი და თევზი ზღვაში. ჭკუაც უბოძა და დავალება მისცა, არა მარტო მოეხმარა, არამედ მოევლო ყველაფერი იმისთვის, რაც საარსებოდ შეუქმნა. **„ყოველი იძვრისი, რაც კი ცოცხლობს, საჭმელად გქონდეთ; როგორც მწვანე ბალახს, ისე გაძლევთ ყველაფერს. ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, მოეფინეთ ქვეყანას და გამრავლდით მასზე“** (დაბადება. 9:3,7).

ღმერთმა ადამიანს ქცევის წესებიც დაუმკვიდრა. კერძოდ: **არ გაიჩინოს სხვა ღმერთები, არ გაიკეთოს კერპები, წმინდა ჰყოს მეშვიდე დღე, პატივი სცეს მამასა და დედას, არ კაც ჰკლას, არ იმრუშოს, არ იქურდოს, არ გამოვიდეს ცრუ მოწმედ თვისტომის წინააღმდეგ, არ ინდომოს თვისტომის სახლი, თვისტომის ცოლი, არც მისი ყმა, არც მისი მხევალი, არც მისი ხარი, არც მისი სახედარი, არც არაფერი მისი ქონებიდან** (გამოსვლა. 20).

ცხოვრებისა და მიწის მოვლის წესებიც უკარნახა ღმერთმა მოსეს. ნუ მოატყუებთ ერთმანეთს და გეშინოდეს შენი ღვთისა, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი. მოგცემთ მიწა თვის ნაყოფს, მაძღრად შეჭამთ და მშვიდად იცხოვრებთ ქვეყანაში. მიწა სამუდამოდ არ უნდა გაიყიდოს, რადგან ჩემია მიწა, ხოლო თქვენ მდგურები და ხიზნები ხართ ჩემთან. თუ შენი მოძმე გაღარიბდება და შენს თვალწინ გაჭირვებაში ჩავარდება, შეეშველე მას, მდგმური იქნება თუ ხიზანი, და იცხოვროს შენთან. ნუ აიღებ მისგან სარგებელს და ვახშს-ღვთისა გეშინოდეს! — და იცხოვროს შენმა მოძმემ შენთან. ვერცხლს სავახშოდ ნუ გასცემ და სარგებლისთვის ნუ გასცემ შენს საჭმელს. როცა შენი მოძმე გაღარიბდება შენს თვალწინ, და შენ მოგეყიდება, მონურად ნუ ამუშავებ. ნუ იბატონებ მასზე ძალმომრეობით და შენი ღმერთის გეშინოდეს (ლევიანნი. 25).

ეს ამონარიდები იმისთვის მოვიტანე, რომ მეჩვენებინა ქსენოფონტე ეკონომიკური მეცნიერების სათავესთან კი არ დგას. იგი პირველია, რომელიც ეკონომიკას სამეცნიერო საფუძველს კი არ აძლევს, ღვთიური მმართველობის სივრციდან გამოყავს და არისტოკრატიის საკუთრებად ხდის.

ქსენოფონტეს მონა ადამიანად არ მიაჩნდა, მონათმფლობელობას სამართლებრივად სწორად თვლიდა, ფიზიკური შრომა — მონის საქმე ყოფილა, ხოლო მათზე ზედამხედველობისა და მართვის ფუნქციები მონათმფლობელების ხვედრი. აქედან დაიწყო ათვლა უმცირესობის უმავლესობაზე ბატონობის წერილობითმა ისტორიამ, რომელმაც კლასიკურ ფორმას კაპიტალიზმში მიაღწია. ჩამოყალიბდა მწარმოებელთა (კაპიტალისტთა) კლასი და უქონელთა მთელი არმია, რომელსაც მარქსმა პროლეტარიატი უწოდა და გაამხნევა, რომ იგი კაპიტალისტების მესაფლავე იქნებოდა და ჯერ რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში, ხოლო შემდეგ მთელ დედამიწაზე პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდებოდა.

განა შეიძლება უმუშევართა არმიამ წაართვას ხელისუფლება მას, ვისაც წარმოება ეკუთვნის, ვისიც

დაქირავებული იგი არის, ვისაც ძალაუფლება აქვს? ან და როგორ გაუძღვები წარმოებას, რომლის საკადრისი ცოდნა არ გაგაჩნია. ან და ვის მოუდის ასეთი აზრი წარმოებაში: მუშას თუ მოსამსახურეს? მარქსი გენიოსი იყო, კაპიტალიზმის კრიტიკოსი, მაგრამ როგორ უნდა აპატიო ის, რომ კაპიტალიზმის ნგრევის ენერგია პროლეტარიატს შეუნთო და ისიც შეაპარა, რომ შენ წინ შეგნებული კლასი-პარტია გაგიძღვებაო. როდის იყო ხალხის სიღატაკის გამო ისე შეწუხებულიყოს მდიდრების კლანი, რომ რევოლუციის გამო თავი სხვის სამსხვერპლოზე მიეტანოს-ხალხი უნდა ვიხსნაო. ვინ იგულისხმებოდა მუშათა კლასის ლიდერებად?

ძვირფასო მკითხველო, ჩემს ადრინდელ შრომებში გახმაურებულ აზრებს გავიხსენებ. მარქსი ფინანსისტების სოციალურ დაკვეთას ასრულებდა, თორემ, ჯერ ერთი, გაუგებარია, რას ნიშნავს პროლეტარიატის შეგნებული მოწინავე ნაწილი, ანდა იყო კი იმპერიული რუსეთის ოქტომბრის რევულუციის ავანგარდში მუშათა ინტერესების გამომხატველი ინტელექტუალური ნაწილი? რომელი, მაგალითად, ლენინი თუ ტროცკი, სვერდლოვი თუ ძერჟინსკი?

როგორც უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი ეკონომიკური ლიტერატურიდან ჩანს, ლენინს, ტროცკის და მათ ეშელონებს სულ ფეხებზე ეკიდათ იმპერიული რუსეთის მომავალი და მისი ხალხების კეთილდღეობა. აქ მთავარი მსოფლიო რევოლუციის ხანძრის ასაბრიალებლად რუსეთის იმპერიის ხალხების ასაფეთქებელ წამლად გამოყენება იყო.

ტროცკი რუსეთის შესახებ წერდა: „ჩვენ უნდა გარდავქმნათ იგი თეთრი ზანგების უდაბნოდ, სადაც ისეთ ტირანიას შევქმნით, რომელიც არასდროს დასიზმრებია აღმოსავლეთის ყველაზე საშიშ დესპოტებსაც კი. სხვაობა იმაშია, რომ ეს ტირანია იქნება არა მარჯვნიდან, არამედ მარცხნიდან, და არა თეთრი, არამედ წითელი. სიტყვა წითელის პირდაპირი გაგებით, ვინაიდან ჩვენ დავღვრით სისხლის ისეთ ნაკადებს, რომელთანაც შედარებით მორცხვი და უფერული აღმოჩნდება კაპიტალისტური ომების ყველა ადამიანური დანაკარგი.

ოკეანის გაღმელ უმსხვილეს ბანკებს ჩვენთან უმჭიდროესი კავშირი ექნება. თუ ჩვენ მოვიგებთ რევოლუციას და დავცემთ რუსეთს, მაშინ მის ნანგრევებზე განვამტკიცებთ სიონიზმის ხელისუფლებას და ისეთ ძალად ვიქცევით, რომლის წინაშე მუხლს მოიდრეკს მთელი მსოფლიო. ჩვენ ვაჩვენებთ რას ნიშნავს ნამდვილი ხელისუფლება. ტერორის, სისხლიანი აბანოების გზით რუსულ ინტელიგენციას დავიყვანთ სრულ გამოტვინებამდე, იდიოტიზმამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე.

ახლა ჩვენს ტყავისქურთუკიან ახალგაზრდებს-საათის ოსტატების შვილებს ოდესიდან, ორშადან, გომელიდან და ვინიციდან შეუძლია ეზიზღებოდეთ ყველაფერი რუსული!

რა სიამოვნებით გაანადგურებენ ისინი ფიზიკურად რუსულ ინტელიგენციას — ოფიცრებს, აკადემიკოსებს, მწერლებს“.

და მართლაც: რამდენიც დასცალდათ, რუსეთში სისხლის გუბეები არ მოწყენია ტროცკის და ლენინს. რას ემყარებოდა ტროცკი, როცა ასე გაბედულად წერდა რუსი და სხვა ერების სისხლიან ტერორზე, ხალხების ამოწყვეტაზე?

ფული უყვარდა, სხვების ხარჯზე ცხოვრება სურდა. რევოლუცია დაუკვეთეს რუსეთში, ტროცკიმ ამერიკის პრეზიდენტ ვურდო ვილსონისგან, თანამედროვე კურსით, 200 ათას დოლარზე მეტი მიიღო. ბელადი ლენინიც ფულის და იოლი ცხოვრების მოტრფიალე გახლდათ. მის უკან **ალექსანდრე პარვუსი**, იგივე **იზრაელ გელფანდი** იდგა და რევოლუციის კვალზე აგეშებდა მას.

რევოლუცია, რომელიც ჩაფიქრებული იყო, მოხდა. უცხოელმა ბანკირებმა დანახარჯი ასმაგად და მეტად აინაზღაურეს, რუსეთის სიმდიდრეები ხელში ჩაიგდეს, მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოხოცეს, გააღარიბეს, ლუმპენებად აქციეს. რუსეთის იმპერიას, როგორც რესურსებით მდიდარ ქვეყანას, მთელი დასავლეთი სამყარო უტევდა, მაგრამ ღმერთს არ სურდა მისი დაღუპვა. მეფის რუსეთის იმპერიის ადგილზე ახალი ინტეგრაციული სახელმწიფო წარმოიქმნა საბჭოთა კავშირის სახით, რომელმაც მოგებისადმი კაპიტალისტური

ეკონომიკის ზღვარდაუდებელ მისწრაფებას ხალხთა თანამშრომლობის პრინციპები დაუპირისპირა და ქვეყანა სახალხო მეურნეობის დარგების მთლიანობის ნაციონალურ სახელმწიფოდ იქცა, რომელმაც სწრაფად დაიწყო განვითარების ტემპების მატება.

უზნეო კაპიტალისტურ სისტემას ხილის სხვისი ხელით მოკრეფის მეთოდი მოაგონდა და კეხი შეაბრუნა – გერმანიაში პატივმოყვარე აგრესორი ჰიტლერი შეამჩნია, პირი საბჭოთა კავშირისაკენ უქნეს და დააყარეს ფინანსები ინგლისიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, თვით გერმანიაშიც გაიღეს ხელი მრეწველებმა და ბანკირებმა.

გაჩნდა მსოფლიო მოძრაობა — ყველა ერთის წინააღმდეგ. ერთმა სძლია ყველას და მსოფლიო ხალხებს დაანახა, რა შეუძლია სახალხო სახელმწიფოს, რომელსაც ღმერთის რჩეული მართავს. მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდი საბჭოთა ეკონომიკისა და მისი ინტელექტუალური აღმავლობის მსოფლიო ახალი პრეცედენტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აშშ მეორე მსოფლიო ომით ყველაზე მეტი ხეირი ნახა, საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ზრდის მასშტაბები იმით აწუხებდა, რომ მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან სსრ კავშირი წინ გადაუსწრებდა და მსოფლიოს პირველი ქვეყნის ადგილს დატოვება მოუწევდა. რაკი გარედან საბჭოთა სოციალიზმი ვერ შელახეს, ძველ ანდაზას მიეკედლენ: ციხე შიგნიდან ტყდება სხვისი ხელებით და შენი ფულით. მაცხოვარიც ხომ მისმა მოწაფემ გაყიდა 30 ვერცხლად. ცდუნება ფაქტია და მაცდუნებელი ყოველთვის ჩრდილშია, ხელები სულ დაბანილი რჩება, რაც თავის გასამართლებად იოლია, რატომ შეცდა მერე, ეთქვა უარი და დაისვენებდა. ესეც ფარისევლობაა. ვიღაცა ყოველთვის სცოდავს, რაღაც აკლია, უღმერთოა, ხარბი და გაუმაძღარი!

მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან კაპიტალიზმი კიდევ უფრო გასცდა ზნეობას და უტიფრად სასტიკი შეიქმნა. იგი დაშორდა ქვეყნის ნაციონალობის დაცვის ინტერესებს და სული ფულს მიყიდა, ახლა მისთვის უმთავრესი წარმოება კი არა, ფული შეიქმნა და მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდა, ვინაიდან ფულს სუნი არა აქვს. ეს არ გამორჩენია სტალინს ყურადღებიდან და აღნიშნა კიდეც თავის სიტყვაში 1952 წლის 14 ოქტომბერს. გააფრთხილა სხდომის მონაწილე კომუნისტური და მუშათა სახალხო დემოკრატიული პარტიები ხელში აეღოთ თავიანთი ქვეყნების მართვის პასუხისმგებლობა და ყოფილიყვნენ პატრიოტები.

სატანური აზრი სხვას ფიქრობდა. სულ არ აინტერესებდა ხალხი და მისი კეთილდღეობა. ფინანსური იმპერიის უზნეობამ თავისი გაიტანა და ჯერ ხელისუფლება შეცვალა სსრ კავშირში, შემდეგ ეკონომიკა დააქცია და ბოლოს საფუძველი მოურღვია სოციალიზმს მსოფლიო მასშტაბით. უზნეობა ზენიტში ავიდა. ფინანსური კლანები მოსახლეობის უმრავლესობას ლუკმა პურს აცლიან პირიდან, სიღატაკის სივრცეს უფაროებენ, ექსპერიმენტებად იყენებენ. დრო მიდის და უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის სულ უფრო ღრმავდება. **„უთანასწორობა ტანჯავს ყველას. ჩვენ ყველა ვცხოვრობთ იმ სამყაროში, სადაც არ არის თანსწორობა“** — განაცხადა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა **ჯიმ იმ კიმმა**. განსაკუთრებით გამწვავდა უთანასაწორობა სოციალისტური ბანაკის მოშლის შემდეგ. **რუსეთში მოსახლეობის მდიდრების 10%-ის შემოსავლები 26 ჯერ აღემატება ღარიბების 10%-ის შემოსავლებს. მძიმე მდგომარეობაა აშშ-შიც. თანამედროვე ამერიკელის საშუალო ფენის ხელფასი გასული საუკუნის 70-იანი წლების დონეზე ჩამოქვეითდა. დაფრთხა თამამი უზნეობა. უკან ნაბიჯის გადადგმა იკადრა. ზ. ბზჟინსკიმ კაპიტალიზმის სიცოცხლის გახანგრძლივება სოციალიზმის არსებობას დაუკავშირა, თუმცა არ უთქვამს კაპიტალიზმის რა ავადმყოფობას გულისხმობდა, რომელსაც სოციალიზმი წამლად გამოადგა. რისი შიში ჰქონდა, რა უნდა ყოფილიყო მისი დაღუპვის მიზეზი, არ უთქვამს.**

როგორც ჩანს, სოციალიზმი კაპიტალიზმის საპირწონე იყო. პარადოქსულია,— წერს უნგრელი ფილოსოფოსი **გაშპარ ტამაში**,— მაგრამ დღეს რაც ლიბერალურ დემოკრატიას აკლია, არის სოციალიზმი. დღესდღეისობით, არ არსებობს მაკომპენსირებელი ძალა, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიას დემოკრატიულობას შეუნარჩუნებს. დღევანდელი მმართველი კლასები უსაფრთხოდ არიან სისტემის შიგნით. ამგვარად, მათ შეუძლიათ გააკეთონ ის, რასაც თვით ფაშისტებიც ვერ გაბედავდნენ. ისინი ამცირებენ რეალურ ხელფასებს, პენსიებს, კეთილდღეობის სისტემებს, საჯარო სკოლებს, უფასო ჯანდაცვას, იაფ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობას და ა.შ. ვინ გააჩერებს მათ?

- ჩვენ — განაგრძობს იგი — გვჭირდება დღეს არსებული კაპიტალიზმის საპირწონე ძალა უბრალოდ იმისთვის, რომ კაცობრიობა გადარჩეს.

იმედგაცრუებას ვერ მალავს 96 წლის მსოფლიო დიპლომატი: “**კაპიტალიზმის იდეამ ვერ გაამართლა. ამ მიზნისკენ საკუთარმა შვილიშვილებმა მიბიძგეს. თანამედროვე ადამიანებს ყველაფერი აქვთ და ამავე დროს-არაფერი. ჩვენ არაფერი არ გვახარებს, ჩვენ ჭეშმარიტად ბედნიერები არ ვართ. საბჭოთა ადამიანს შეეძლო გულწრფელად გახარებულიყო ისეთი უბრალო ნივთებით, როგორიცაა ჯინსები, ტუალეტის ქაღალდი ან შებოლილი ძეხვი და ამიტომ სრულფასოვნად ცხოვრობდა, მთელი მკერდით სუნთქავდა. ჩვენ ის გავათახსირეთ, კარი გავუღეთ იმ სამყაროში, სადაც სიუხვის ბრჭყვიალა სატყუარას უკან კაპიტალიზმის ველური კანონები იმალებოდა!**

ჩვენ მხოლოდ სექსი გვქონდა, მათ სიყვარული ჰქონდათ. ჩვენ მხოლოდ ფული გვქონდა, ხოლო მათ-გულწრფელი ადამიანური მადლიერება. და ასე ყველაფერში. ძნელია მიწოდოთ მე სოციალიზმის მიმდევარი, მე დასავლურად მოაზროვნე დასავლელი კაცი ვარ, მაგრამ ვთვლი, რომ საბჭოთა კავშირში ნამდვილად იზრდებოდა ახალი ადამიანი, შეიძლება ითქვას-homo soveticus. ეს ადამიანი ჩვენზე ერთი საფეხურით მაღლა იდგა და მე ვწუხვარ, რომ დავანგრიეთ ეს ნაკრძალი. შესაძლოა, ეს ჩვენი უდიდესი დანაშაულია“.

მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს სულიერმა მოძღვარმა გულში ვერ შეინახა ის, რასაც ზნეობა არ ანებებს ასეთ ადამიანს საიდუმლოდ ჰქონდეს!

სულიერება მატერიალურზე მაღალია, ვინაიდან მისგან იქმნება, აკი პირველადი იყო და ახლაც არის, სიტყვა. მეორეა, როცა ადამიანს გაჭირვებაზე უფრო სოციალური უთანაბრობის ასიმეტრია ტანჯავს; მონურ ყოფაში მხეცად იქცევა ან საბრალო უმწეო ხდება. ამის ფონზე გავიხსენოთ როგორ თუ იქცევიან ქართველი ლიბერალები! ჭამაში ღორს სჯობნიან, ვინაიდან გაუმაძღრები არიან. არც მორალი აწუხებთ, არც პასუხისმგებლობა იციან. მადლიერება, რის შესახებ წერს აღიარებული დიპლომატი, მხოლოდ მაღალგანვითარებული ზნეობრივი ადამიანის შინაგანი კულტურაა. ლიბერალებს, მით უფრო, ნეოლიბერალებს, საერთოდ არა აქვთ არანაირი ადამიანური გრძნობა, სიბრალული, სამშობლო და ქვეყანა მათვის იდენტური ცნებებია. **„აი, ასე თუ გავარჩევთ პუნქტებად, სრულიად ცხადი გახდება: საბჭოთა სისტემა დაიქცა არა შიდა სისუსტის ძალით. ეს სისულელეა, იგი სიცოცხლისუნარიანი იყო, მას შეეძლო მუდმივად ყოფილიყო. ეს იყო დასავლეთის გრანდიოზული დივერსიული ოპერაცია. მე ვამტკიცებ და ვიცავ ამას. ამ დივერსიულ ოპერაციას 20 წელიწადი ვსწავლობდი, ვიცი ტექნიკა – როგორ კეთდება ყოველივე ეს. ამ დივერსიის დამამთავრებელი ოპერაცია იყო გორბაჩოვის გაყვანა გენმდივნის პოსტზე. ეს იყო დივერსია. იგი არა მხოლოდ აირჩიეს, არამედ გაიყვანეს, და გორბაჩოვის მთელი შემოქმედება, ხოლო შემდეგ ელცინისა, გამყიდველების შემოქმედება იყო. მათ დაანგრიეს პარტიული აპარატი, დაშალეს პარტია, დაშალეს სახელნწიფო აპარატი“.**

ალ. ზინოვიევი ცნობილია არა მხოლოდ, როგორც რუსი აკადემიკოსი ფილოსოფოსი, არამედ ერთი სამთაგანი მსოფლიოს საუკეთესო ლოგიკოსებიდან. ახალგაზრდობაში სტალინის მოკვლას ცდილობდა, ვერ იტანდა, მისი ტერორისტი იყო. ბედის წყლობით გადაურჩა დახვრეტას, **მერე ანტისოციალისტი გახდა, რის გამოც საბჭოთა კავშირიდან გაასახლეს. საზღვარგარეთ ლექციებს კითხულობდა გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, აშშ, იაპონიაში. მერე როცა ყველაფერი თავისი თვალით ნახა, რუსეთში დაბრუნდა საცხოვრებლად და საჯაროდ განაცხადა, რომ საბჭოთა სოციალიზმი ხალხის ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო პერიოდი იყო, რომლის მსგავსი კაცობრიობას არ მოსწრებია, ხოლო მისი კონსტრუქტორი განუმეორებელი პიროვნება არის კაცობრიობის ისტორიაში.**

ახლა ყველა ობივატელს და ტელევიზიებით განათლებულს, დასავლეთის ხმას აყოლილს, უკან მოხედვა არ უნდა, ციდან ჩამოფრენილივით ხელს იქეთ იშვერს, საიდანაც ჩამოვარდა. **შეიძლება არ მოგწონს ესა თუ ის პარტია, ქვეყნის მოწყობის ეკონომიკური სტრუქტურა, მაგრამ რა უფლება გაქვს დაანგრიო იგი, მითუმეტეს, შენი ქვეყნის მტრების ხელშეწყობით და მშიერი დატოვო მილიონობით ადამიანი, რომელსაც გუშინ სამსახური ჰქონდა? დანგრევა მაშინ არის გამართლებული, როცა მის ადგილზე უკეთესი აშენდება, როცა ხალხის ცხოვრება გაუმჯობესდება. დავანგრიეთ, ხელებიც დაგვიბანიაო — აი, უზნეობისა და ჭკუასუსტობის ერთერთი ნიშანი.**

მამაპაპათა სისხლითა და სიცოცხლით დაცულ მიწაზე უმადურები ორგიებს აწყობენ და იცინიან, რისთვის იკლავდნენ თავს წინაპრებიო. ისევ წამოიზარდა პარაზიტი უმცირესობა და ფულიანთა კლანები შექმნეს. რაც ხალხმა მძიმე ჟამს ისევ ხალხისთვის შექმნა, დასავლეთიდან დაგეშილებმა ჩაიჯიბეს და გუშინდელი საქმიანი მასა ქუჩაში გამოყარეს!

უზნეობა ყვავის საქართველოში: ძარცვავენ, ყიდიან, მიწასთან ასწორებენ ქვეყანას. ფულის სიხარბე ყველაფერს კადრულობს. ერთმანეთს ეცილებიან სამშობლოს ძარცვაში. საქართველო ღარიბია ახლა ყველა ეკონომიკური მაჩვენებლით, მაგრამ ნახეთ როგორ ებრძვიან ერთმანეთს არჩევნებში პარტიები და ასოციაციები, გაერთიანებები თუ რაღაც კავშირები ხელისუფლებაში მოსასვლელად?! ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საშუალებად მხოლოდ ხელისუფლებაში მოხვედრა

მიაჩნიათ. ქვეყანას მილიარდერი ვერ იხსნის, ეს თურმე ამა თუ იმ პარტიას შეუძლია, რომელსაც აქამდე დამოუკიდებლად არაფერი შეუქმნია და დიდ საქმეებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ წამოიწყებს! ეს ისეთი ფარისევლობაა, როგორც დიდი ფულიანის განცხადება: **თუ მხარს დამიჭერთ არჩევნებში, ბევრი ფული მაქვს და აგაშენებთო**. ფულის შოვნის უნარს წინ მონადირის ინტერესი უსწრებს, როცა ფულის მოხვეჭის სურვილი არ ცხრება და ვერც საზღვარს ხედავს, რომლის იქით უნდა დამთავრდეს ფულზე გამოდევნება.

ბილ გეითსი 86 მლრდ. დოლ. პატრონია. 18 წელიწადი უდგას სათავეში მსოფლიოს მილიარდელთა. სიას. ახლაც არ ცხრება და თვითონაც არ იცის, სადამდე გასწევს მისი ინტერესების ზღვარი. მაგრამ მან კარგად იცის თავისი საქმიანობის სივრცე, მხოლოდ ბიზნესი, ქველმოქმედება და არა პოლიტიკაა, არ შეუძლია იყოს ორი ბატონის მსახური.

საქართველოში საქმე უმძიმესია. ყველა ფულს გაეკიდა და ეს უნარის გამოვლენა კი არ არის, მხოლოდ ქურდობა, თვალთმაქცობა, მითვისება, ხალხის ძარცვაა ყველა მეთოდით, სულის მიყიდვა მსოფლიოს ფარულ ორგანიზაციებზე, გარყვნილებისა და ეროვნული დეგრადაციის სადღეღამისო პროპაგანდა მასმედიის ყველა საშუალებით. სრული დატვირთვით მოქმედებს, როგორც აბრამ ხომსკიმ შეამჩნია ადამიანთა მანიპულირების ათი მეთოდი.

ყურადღების გადატანა არსებითიდან მეორეხარისხოვანზე, მაგალითად, ფაროსანასთან ბრძოლოს ნაცვლად ყურადღების აქცენტირება კანაფის კულტივირებაზე, სახელმწიფოს ეკონომიკის მართვაში მონაწილეობის ფუნქციების მინიმუმამდე დაყვანის საზოგადოებრივი აზრის გამომუშავება, მაგალითად, სატარიფო განაკვეთების ცვლილებების მონოპოლიური უფლებების უგულებელყოფა, აღსრულების გადავადება, გადასახადების შემცირება, მსმენელის შეცდომაში შეყვანა, საარსებო მინიმუმი საქართველოში, მეტი აქცენტირება ემოციაზე, ვიდრე განსაჯაზე, რომელიღაც ცნობილი თუ გახმაურებული პროგნოზირების ცენტრის წინასწარი მონაცემები, ვინ გაიმარჯვებს არჩევნებში, მდაბიო განათლების კულტივირება, უძველესი ქართული კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებებიდან საზეპირო ადგილების მოსაწავლეთათვის არასავალდებულოდ გამოცხადება, წაქეზება გაუნათლებლობისკენ, უხამსი, მდაბიო ლიტერატურული ნაწარმოებების პროპაგანდა, საკუთარი დანაშაულის გრძობის გაძლიერება „ღარიბი იმიტომ ხარ, რომ არ მუშაობ“, ადამიანებზე იმაზე მეტი ცოდნის მოპოვება, ვიდრე თვითო იციან საკუთარ თავზე. დიდი ტყუილის მაღალი ტრიბუნიდან გამოცხადება ხშირ-შირად ადამიანის გონებაში ჭეშმარიტებად იბეჭდება.

რა თქმა უნდა, ზნეობა მარტო მოვლებისა და ადამიანებისადმი დამოკიდებულება არ არის, კაცის ყოველდღიური ფიქრი და აზრია იგი. რა მიგნებულად წერს **დარიო სალასი** თავის წიგნში **„მორალის ფიზიკა“**. აზროვნება გამოსხივებაა, რომელიც ზეცაში ადის და ადამიანებს უბრუნდება ზეციურ ბედნიერებად ან უმძიმეს კატაკლიზმებად დამოკიდებულებით იმისგან, თუ რამდენად ზნეობრივია ცისქვეშეთის ბინადართა ყოველდღიური ფიქრი, აზროვნება და მოქმედება.

უზნეობის გამო არის ის, რაც დღეს სჭირს კაცობრიობას და ისიც, რომ უფსკრულისაკენ მიექანება. რამდენიმე ათეული წლის წინათ, ბიბლიური კატასტროფები, წარღვნა და სოდომ-გომორი ცოტა გაზვიადებული მონათხრობი მეგონა. ახლა როცა ყველაფერი ჩემს თვალწინ ხდება, თუ როგორ კარგავს ადამიანი ყველაფერ იმას, რაც მას ამაღლებულს ქმნიდა, რომ შვილებს ამგვარი ადამიანების მაგალითზე ზრდიდნენ მშობლები, მცხეთობა მემართება და არ ვიცი სამშობლოს რამდენად ვვარგივარ. ახლაც ყურში ჩამესმის დაწყებით კლასში მირონცხებული მასწავლებლის მიერ წაკითხული **ზოია რუხაძის** ლექსი დედას რომ გამოუგზავნა გესტაპოს ჯურღმულებიდან. სიცოცხლე, თუ ის ღვთიური არ არის, სულის ტაჯვაა, სხეულის სიმძიმეა, „სიკვდილს ჰგავს და უარესია“.

ტყუილი, სისტემატური, თანაც უტიფარი ამძიმებს ხასიათს, აჩლუნგებს ადამიანის აზროვნებას და შემოქმედებას. რამდენიმე დღის წინ მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა ტელევიზიით, და როგორც მოსალოდნელი იყო, იმას მოჰყვა მისი თანაპარტიელების ქება-დიდება

და სისხლიანი მოწინააღმდეგების ლანღვა-გინების კორიანტელი. ბუნებრივია, არცერთი არ არის ზნეობრივი და ქვეყნისთვის სასიკეთო. უბრალოდ, ადამიანურად მიუღებელია.

აი, ნახავთ, ყველაფერი ერთ წელიწადში გამოსწორდება!

როგორ, გამოსწორდება ერთ წელიწადში ხალხის მდგომარეობა, თუ სამართლიანობა დამკვიდრდება, ლარის კურსს დაარეგულირებს თუ ტარიფებს შეამცირებს?! შეიძლება რაღაც რეზერვები გამოიძებნოს, პენსიების და შეღავათების მცირეოდენ გასაზრდელად, მაგრამ ეს მოსახლეობის ცხოვრების მნიშვნელოვან წინსვლას არ გამოიწვევს, თუ მას საფუძვლად ნაციონალური პროდუქციის პროტექციონისტული პოლიტიკა, შრომის სტიმულირება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა არ ექნება! ამის შესახებ პარტიის ლიდერს არაფერი უთქვამს. უფრო უარესი: საერთოდ არ გახსენებია გრუნტქვეშა სასმელი წყლის უზარმაზარი საექსპორტო შესაძლებლობები, რომელიც ქვეყანას, როგორც ამას დიდი ხანია აცხადებენ პროექტის ავტორები, მძიმე მდგომარეობიდან სწრაფად გამოიყვანს.

უფრო შორს წავიდეთ: ვინ იმალება კანაფის კულტივირების პარლამენტში წარდგენილი პროექტის უკან?

„ოცნების“ ლიდერის დაქირავებულმა პიარტექნოლოგმა კარგად შეაფასა საქართველოში შექმნილი სიტუაცია და ბავშვური მიამიტური გულუბრყვილო საუბრის პიარში შეფუთვით თავის დამქირავებელს გაუნათლებელი მასობრივი მომხმარებელი შესძინა. **რას ვეძებთ ჩვენ: თბილ ადგილს სიამოვნებისთვის ქვეყანაში თუ ურთულეს და უმძიმეს ადგილს სამშობლოს სამსახურისთვის?!**თბილისის უნივერსიტეტის შექმნის სათავეში მდგომმა სულმნათმა **ივანე ჯავახიშვილმა** რექტორობა თავისთვის კი არა, ოდესიდან მოწვეული **პეტრე მელიქიშვილისთვის** ისურვა, საქმისთვის ასე სჯობს. ძალიან ჩამოვრჩით, ჩვენზე უკეთესს კი არ ვეძებთ სახელმწიფო სამსახურისთვის, თვით იმ სამსახურის მიტაცება გვინდა საკუთარი თავისთვის. არ გამოვა აქედან ხეირი. მეორედ უნდა დავიბადოთ ახალი თაობის სახით!

600 ათასი გაჭირვებულის საბანკო ვალების გასტუმრება ნამდვილი კეთილშობილი საქმეა, მაგრამ ეს არ არის ჩვენი ქვეყნის განვითარების ეკონომიკური მიმართულება. ეს ის საქმეა, რომელსაც კეთილი მდიდარი აკეთებს ღარიბი და უღარიბესი მოსახლეობისთვის. **ეს მისი მორალური სახეა, სინამდვილე ის არის, რომ მისი ადგილი ადგილი არ არის ხელისუფლებაში. ეს მან თვითონაც კარგად იცის, მაგრამ იგი მილიარდერთა საზოგადოების წევრია და იმ საზოგადოების წინააღმდეგ ვერ წავა. ვერც ქვეყნის წინააღმდეგ გამოუვა წასვლა, მას მხოლოდ დროებით შეუძლია ხალხის აყოლიება, რომ საქართველო ხელში ჩაუგდოს ფინანსურ იმპერიას. მაშინ ეს ის წერტილი იქნება, რომელიც საბოლოოდ დაესმება საქართველოს ეროვნულობას. ახლა ორცეცხლში იწვის და თუ საქართველოს ჰყავს ღირსეული შვილები, უნდა შეეშველონ გეენიაში ჩავარდნილ თავის მილიარდერს და ხელმძღვანელობის მისთვის აუტანელი მძიმე ტვირთი ჩამოაშორონ!**

ისიც ითქვა, რომ ჩვენისთანა ღარიბ ქვეყანაში დემოკრატია ძნელად რეალიზებადია. რა თქმა უნდა, ტელევიზიებიდან ხალხის მართვა ძნელია და არაეფექტიანი. დემოკრატიას ჩვენ ვუწოდებთ ქვეყნის მართვას ხალხის მეშვეობით. აქ სამი კითხვა ჩნდება: **ვინ მართავს, რისთვის მართავს და რას ელოდება, რა იქნება რეზულტატი.**

დღეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში დგანან დასავლეთიდან შემოგზავნილი ქართულგვარიანი ფულზე დახარბებული ვასალები. ისინი საქართველოს სასარგებლოდ ვერაფერს გააკეთებენ, არა აქვთ ასეთი მიზანი. დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, როგორი ბოღმა და აგრესია აქვს „ნაცების“ საარჩევნო კანდიდატებს, თუნდაც გრიგოლ ვაშაძეს. ეს თანდათან შიშვლდება ხალხის თვალწინ, რომელიც მას ზურგს შეაქცევს რანაირი ხელგაწვდილი არ უნდა იყოს მის უკან მდგარი თითქოს ცალკეულ პარტიებად დანაწევრებული, მაგრამ მაინც მთლიანი „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ქვეყნის გარეთა პატრონების დავალებით ყველაფერს იკადრებს ისედაც დაულეგებელ ქვეყანაში არეულობის ახალი ნაკადის ასაზვირთებლად!

გამოდის, რომ მმართველი პარტია და მისგან მოგონილი ოპოზიცია „ნაციონალური მოძრაობის“ სახით ორივე სუსტია და ხალხს მობეზრებული ჰყავს!

ჩვენ ყოველთვის თვალი უცხოეთისაკენ გაგვირბის, თორემ ქართული დემოკრატია ისტორიული რეალობა არ არის? რამდენი მეფე ეცხადებოდა უბრალო ხალხს გლეხური ტანსაცმლით, რომ ჩუმად, ყველას შეუმჩნევლად თავისი თვალით ენახა, როგორ ცხოვრობდა და რას ფიქრობდა ხალხი, რომლის პატრონიც თვითონ იყო?!

აკაკი წერეთელი ხომ გლეხის ოჯახში მიაბარეს აღსაზრდელად, წერეთლებს შვილები არ უყვარდათ თუ ბავშვის მომვლელს ვერ იშოვნიდნენ საწერეთლოში. მომავალ ბატონს უნდა სცოდნოდა, რა ხდებოდა ქვეყნის საფუძვლებში-ოჯახებში, როგორი იყო ხალხის ცხოვრება, რომ მერე ქვეყნის მართვა შესძლებოდა. **„ჩვენი“ სახელისუფლო კანდიდატები ისე გაუუცხოვდნენ თავიანთ ხალხს, რომ მასთან საუბარი არ შეუძლიათ.**

წმინდა პიარის ნაწილია განცხადება, რომ საკადრო პოლიტიკა გატარდება და პროფესიონალებს დააწინაურებენ. დეკლარაცია მისაღებია, მაგრამ მორალურ-ზნეობრივი პროფესიონალური კადრების დაწინაურების პრეცედენტები რიცხვობრივად იმაზე ნაკლებია, ვიდრე თითები ცალ ხელზე. მეორეს მხრივ, განა სპეკულაციურ ეკონომიკას მაღალპროფესიული კადრები სჭირდება? ძველის მხოლოდ ახალი სახეებით ჩანაცვლება საკადრო პოლიტიკად ვერ ჩაითვლება!

განათლება და მეცნიერება სპეკულაციურ ეკონომიკას არ სჭირდება. ამიტომ, სრულად გასაგებია, თუ რატომ არ მოხვდა იგი „ოცნების“ ლიდერის სატელევიზიო სპექტაკლში. **ნიჭიერი ახალგაზრდები განვითარებული ქვეყნების იოლი ნადავლი ხდება, სამშობლოს ინტელექტუალური არმიის შევსების წყაროები თანდათან კლებულობს.** ქვეყნის 50-ზე მეტი უნივერსიტეტი სახელმწიფო შეკვეთების გარეშეა. შეიძლება რაიმე წინსვლის იმედი გქონდეს ინოვაციური ეკონომიკის

გარეშე? პრიმიტიულად აზროვნებენ, ვინაიდან პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკაში იმყოფებიან. აქ გაკეთება არავის სჭირდება, დასწრების, შეგროვების უნარი საკმარისია. ხვეტავენ და ითვისებენ მას, რაც წინა თაობებმა შექმნა მომავლი თაობების საკეთილდღეოდ. ამათ შეგროვებას ვინ დაანებებდა, მაგრამ კარებთან დაბმული უცხო ჯიშის ძაღლები ჯაჭვს აიწყვეტენ, როცა გავააქტიურდებით და ჩვენი აქტიურობის შემხედავები გაბრაზდებიან.

საქართველოში აშშ სახელისუფლო ორპარტიული სისტემის დანერგვა სურთ, რაც დამღუპველი იქნება ჩვენთვის, რადგან, ვითომცდა ერთმანეთისგან განსხვავებული ორი, ხოლო სინამდვილეში ერთმანეთის იდენტური პარტიები ერთიანი ფინანსური იმპერიის ინტერესების ორთავიანი ერთსხეულები ახალი ზღაპრის ვითომ გმირები არიან.

ქვეყნის ბიუჯეტიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსების პრაქტიკა უნდა მოიშალოს, რასაც საკმაოდ დიდი მოცულობის თანხების გამოთავისუფლება მოყვება, თანაც ათასი ჯურის ბედის მაძიებელთა ლაგამაშვებული ჯირითი პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციაზე, შემცირდება.

ქართველ ერს აქვს თავისი არსებობის გრძელი ისტორიის მანძილზე აკუმულირებული მკვებავი ეროვნული ენერგია, დავანებული მისი ისტორიის ანალებში. ეს არის უხუცეთა დარბაზი, ინტელექტუალურ ჭაღაროსანთა სათათბირო, ბრძენი აზროვნების მრჩეველთა ინსტიტუტი ხელისუფლების პირადი ამბიციების ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სივრცეში მოსაქცევად. რატომ გვიკანკალებს ხელები დავარისხოთ ზარები და ვუხმოთ ბრძენთა სათათბიროს, დავსხდეთ ნამუხარ პაპებთან და მამებთან, ვუსმინოთ დაღვინებულ აზრებს. ვინ გვირჩია განცალკევება? უხუცესთა დარბაზი (შინაარსია მხედველობაში) ჰქონდა არა მხოლოდ მეფეებს, სოფელსაც უხუცესები პატრონობდნენ. მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში და რუსეთის სხვა ქალაქებში დღესაც მოქმედებს უხუცესთა საბჭოები, მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთში, დაღესტანში, ყუბანში და ა.შ. ასე რომ ქართული უხუცესთა დარბაზს თავის მეზობლებთან საერთო ენის მონახვა არ გაუჭირდება!

შეუძლებელია ქვეყნის მართვა მისი ხალხის ზნეობრივი მემკვიდრეობის ცნობიერების გარეშე. ერს თავის გამორჩეულობის გევრდით, ნაკლოვანებების ნიშნებთან ერთად უარყოფითი თვისებები ახასიათებს, რასაც თავისი გამოვლენის ფორმები და ფაქტორები გააჩნია. მართვა სჭირდება ნაკლოვანებებსაც. დავით აღმაშენებელმა იცოდა, რომ „უძველესი დროიდანვე ქართველები უფროსთა ორგულნი არიან ბუნებით, რამეთუ როდესაც განდიდდებიან, გასუქდებიან, დიდებას და განსვენებას იპოვნიან, იწყებენ ფიქრს ბოროტისათვის!

ერი ზნეობით შესალტული თუ არ არის მთლიანობად, თავისუფალი ვერ იქნება ავადმყოფურ ნაწილებად განიბნევა. ხელისუფლება ქვეყნის მსახურების ნაცვლად მისი სამშობლოს დამაქცევართა სამსახურშია, ბევრი საზღვარგარეთ გაქცევით შველის თავს, ბევრი სამზადისშია, აქეთ დარჩენილები ერთმანეთს ეჯიბრებიან ძარცვა-ყვლეფაში. წონაში გატყუებენ, საბანკო სესხებით ტყავს გაძრობენ, ტარიფებს ზრდიან, ახალგაზრდებს რყვნიან, ფულიან მუსულმანებს და არაბ შეიხებს ქართველი ხარჭები რიგებს უქმნიან, გაუნათლებლები ლექციებს კითხულობენ, მასწავლებლები თავიანთ მოსწავლეებს თავიანთ ქართაში მიერეკებიან-ნამდვილი სწავლა ასე შეიძლებაო. წამლების ნაცვლად საწამლავს გვთავაზობენ, საღი პროდუქტების მაგიერ გენმოდიფიცირებულს ან ვადაგასულს და უვარგისს ყიდიან, ბინების ნაცვლად სასახლეებს იშენებენ, მშივრები ქუჩაში ყრიან, უმუშევრები შესამჩნევ ადგილებში გუნდებად დგანან, იქმენ ვინმეს გაუღიმოს ბედმა!

2018 წელი დიდი ნიკო ნიკოლაძის, მამულის სიყვარულისა და მსახურების მასწავლებლის და სამშობლოს თავდადებული მოღვაწის დაბადებიდან 175-ეა. რა უნდა უწოდო ხელისუფლებას, რომელმაც ნიკო ნიკოლაძის 175 წლისთავის იუბილისთვის ვერ მოიცალა?

მიმაჩნია, რომ ხელისუფლების სახელმწიფო ინტერესების სივრცეში მოძრაობის მარეგულირებელი, მაკორექტირებელი ინსტიტუტის როლი შეუძლია შეასრულოს უხუცესთა დარბაზმა, თუ საბჭომ, რომელიც ახლა ქვეყნის ინტელექტუალური ძალების მოთხოვნა უნდა იყოს. მართალია მას სათათბირო ფუნქციები ექნება, მაგრამ მისი სახალხო ავტორიტეტის ძალა შეზღუდავს ხელისუფლების ანტინაციონალურ, არაეროვნულ გამოვლინებებს და სამშობლოს ინტერესების სივრცეში მოაქცევს.

ქვეყანას სიბრძნე წინ უნდა უძღოდეს, უკან მიმყოლი სიბრძნე ისტორიის კუთვნილებაა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კანონმდებლობის პრეცედენტები თანამედროვე მსოფლიოში

პაატა კოღუაშვილი,
პროფესორი

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამავე დროს არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი" (შეზღუდული) (VerfGEG21, 73). რესურსი. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან, გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ Landesgegesetzblatt Nr. 88/1994).

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE 21, 37 [82]) განმარტა: **„იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში"**

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ, თავის სხვა გადაწყვეტილებაში (BVerfGE 21, 73), მოსარჩლის მოსაზრება **რომ „სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ბრუნვა ისეთივე თავისუფალია, როგორც ეს სხვა „კაპიტალის შემთხვევაშია,"** არ გაითვალისწინა იმის გამო, რომ **„ის გარემოება, რომ მიწა შეუცვლელია და ამასთან ერთად არ ექვემდებარება გამრავლებას, კრძალავს, რომ იგი სრულად მინდობილი და დათმობილი იქნეს თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება".**

იმ ევროპული ქვეყნების კონსტიტუციები, რომლებიც მიწის საკუთრების საკითხს არა ცალკე, არამედ ზოგადად – საკუთრების უფლების საერთო კონტექსტში აწესრიგებს (მაგ.: ჩეხეთის, უნგრეთის, ლატვიის, ესტონეთის და სხვ. კონსტიტუციები), აუცილებლად ხაზს უსვამს საკუთრების, როგორც არა მხოლოდ უფლებრივ, არამედ ამ უფლებასთან იმთავითვე განუყოფლად დაკავშირებულ, საზოგადოების წინაშე ვალდებულებით ხასიათს. ამ თვალსაზრისით სამაგალითოა გერმანიის კონსტიტუცია (მიღებულია 1949 წელს, არსებითი ცვლილებები და დამატებები შეტანილია 1994 წელს), რომლის მე-14 სტატიის 1-ელი პუნქტი, აღიარებს რა საკუთრების უფლებას და განსაზღვრავს, რომ მისი შინაარსი და ფარგლები კანონით დგინდება, იქვე, მე-2 პუნქტში ხაზგასმით მიუთითებს ამ უფლების საზოგადოების წინაშე ვალდებულებებისგან განუყოფლობას: **„საკუთრება ავალდებულებს. მისი გამოყენება იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ სიკეთეს."**

ამგვარი შინაარსის ჩანაწერი, სხვადასხვა ფორმულირებით, დამახასიათებელია თითქმის ყველა **„უახლოესი ტალღის" ევროპული კონსტიტუციისათვის. მსგავსი ჩანაწერი უნდა იყოს მოქმედ საქართველოს კონსტიტუ-**

ციის 21 მუხლში. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის 116-ე მუხლი ამბობს, რომ „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“.

აქვე გთავაზობთ სხვადასხვა ქვეყნების მიწის კანონმდებლობის მაგალითებს.

ავსტრია

ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. მაგალითად, ერთ–ერთი მიწის (ბურგერლანდის) "კანონით უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ" უცხოელი უძრავი ქონების შეძენისათვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებული იქნეს, თუ „სახელმწიფოებრივ–პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ საამისოდ არსებობს მიწის (ბურგერლანდის) ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ინტერესი:

- უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება.

თუ უცხოელს (და მათ შორის არ მოიაზრებიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოთა მოქალაქეები) ნაყოფიერი, სასოფლო–სამეურნეო მიწის შეძენა სურს, ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ (Grundverkehrskommission) (§8).

დაახლოებით იგივე რეგულირებაა ავსტრიის სხვა მიწების კანონმდებლობებითაც, როგორიცაა: მაგალითად, ობეროსტერრეიხის კანონმდებლობა. ის ითვალისწინებს, რომ უცხოელის მიერ ყოველგვარი ქონების შეძენა (ყიდვით, ჩუქებით ან გაცვლით) არ საჭიროებს ნებართვას. მაგრამ უცხოელის მიერ სასოფლო–სამეურნეო მიწის (1 ჰექტარზე მეტის) არა თუ შეძენა, არამედ იჯარით აღებაც კი საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

უძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენის ნებართვა იმ შემთხვევაში შეუძლია უცხოელმა მიიღოს, თუ:

- **ის აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელსაც საკუთრების შეძენისას ქვეყნის მოქალაქეც უნდა აკმაყოფილებდეს,**
- **თუ არ იქნება შელახული ავსტრიის კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და საჯარო ინტერესი ან უშიშროება,**
- **სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები არ იქნება შელახული.**

უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ ავსტრიის ყველა ფედერაციულ ერთეულში ვხვდებით მსგავს რეგულირებას.

დანია

დანიის კანონმდებლობის შესაბამისად, მიუხედავად მისი გარეგნული ლიბერალური ხასიათისა, ქონების შეძენა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. ქონების შეძენა განსაკუთრებით რთულია არარეზიდენტებისათვის. მათ დანიაში არ შეუძლიათ შეიძინონ ქონება გარდა შემთხვევებისა, როდესაც:

- **ისინი არიან ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები და იურიდიული პირები და მუშაობენ ან საქმიანობენ დანიაში;**
- **ისინი არიან არაევროკავშირის რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეები და უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დარეგისტრირებულნი არიან დანიაში, როგორც მუდმივი რეზიდენტები;**
- **აქვთ მოპოვებული შესაბამისი ნებართვა დანიის იუსტიციის სამინისტროსგან.**

მაგალითად, თუ დანიაში ჩასულია სხვა ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირი და მას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია არა აქვს, დანიის იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის გარეშე ის მიწას ვერ შეიძენს. თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო ნებართვას არ გასცემს, მაშინ საერთოდაც ვერ შეიძენს.

დანიის კანონმდებლობა განსაკუთრებით მკაცრია საზაფხულო დასასვენებელი სახლების შეძენასთან

დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია პოპულარულ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზღვის სანაპიროზე, სადაც მოქმედი სპეციალური შემზღუდავი წესები „ანტიგერმანულ წესებადაა“ ცნობილი. ალბათ, მარტივი გასაგებია, რომ ეს რეგულაციები შემუშავებულია გერმანელების მიერ სანაპირო ზოლში საკუთრების შეძენის შესაზღუდავად.

შვეიცარია

უცხოელების მიერ შვეიცარიაში მიწის შეძენა დაშვებულია, თუმცა მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: ***„უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“.*** **ამ კანონით შეზღუდვები ძირითადად იმ პირებზე წესდება, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ, და არა იმ უცხოელებზე, რომლებიც შვეიცარიაში კანონიერად ცხოვრობენ.**

საინტერესოა, რომ კანონის მე-5 მუხლის “c” პუნქტით გამოყოფილნი არიან უცხოეთში მცხოვრები ის პირები, რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყანაში „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობა აქვთ. მე-6 მუხლი კი იქვე განმარტავს, თუ რა მოიაზრება „განსაკუთრებით კარგ“ მდგომარეობაში. ამ განმარტების თანახმად, აქ იგულისხმებიან ფინანსურად განსაკუთრებით კარგი მდგომარეობის უცხოელები ან რომელიმე ქვეყანაში საარჩევნო ხმათა უმრავლესობის მფლობელნი, ან კიდევ რაიმე სხვა განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი ადამიანები. კანონით მათზე ნებართვის გაცემა შესაძლებელია. მაგრამ კანონი ამ ადამიანებს განსაკუთრებულ კატეგორიად განიხილავს.

ლატვია

ლატვიის მიწის პრივატიზების კანონმდებლობის შესაბამისად ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს მიწა და ტყე არ შეუძლიათ შეიძინონ.

ლიტვა

ლიტვის კონსტიტუციის 47-ე სტატიის (აპრილი, 2010წ.) ჩანაწერი:

„მიწა, შიდა წყლები. ტყეები, პარკები საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეთ მხოლოდ ლიტვის მოქალაქეებს და სახელმწიფოს. თვითმმართველობებს, სხვა ეროვნულ სუბიექტებს, აგრეთვე ლიტვაში სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელ უცხოელ სუბიექტებს, ლიტვის რესპუბლიკის მიერ არჩეული ევროპული და ტრანსატლანტური ინტეგრაციის შესაბამისად და კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეიძლება ნება დაერთოთ შეიძინონ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც აუცილებელია უშუალო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისთვის. ასეთი ნაკვეთების საკუთრებაში შეძენის წესი, პირობები და შეზღუდვები განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით. კანონით დადგენილი წესით, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება შეიძლება გააჩნდეს უცხო სახელმწიფოს – მისი დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების დასაფუძნებლად. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება მიწის წიაღი, აგრეთვე შიდა წყლები, ტყეები, პარკები, გზები, ისტორიის, არქეოლოგიისა და კულტურის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტები. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება აგრეთვე ლიტვის ტერიტორიის თავზე საჰაერო სივრცე, კონტინენტური შელფი და ბალტიის ზღვის ეკონომიკური ზონა”.

როგორც ვხედავთ, ლიტვის კონსტიტუცია უკიდურესად ზღუდავს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში – საერთოდაც კრძალავს უცხო სუბიექტებზე მიწის გასხვისებას.

თურქეთი

თურქეთის კანონმდებლობით, უცხოელზე გაყიდული თურქეთის მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 2.5 ჰექტარს. (გაზრდა, გამონაკლის შემთხვევებში, მაქსიმუმ 30 ჰექტრამდე არის შესაძლებელი). მემკვიდრეობით მიღებულ მიწაზე არ არსებობს შეზღუდვა.

არგენტინა

ახალი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, არგენტინაში განსაზღვრულია ნაყოფიერი მიწის ტერიტორიის ის ოდენობა, რომელიც შესაძლებელია, რომ შეიძინონ უცხოელებმა და იმ იურიდიულმა პირებმა, რომელთა 51 % არის უცხოელთა ხელში (მხოლოდ 1000 ჰექტარი). უცხოელთა საკუთრებაში შეიძლება იყოს არგენტინის მთლიანი ტერიტორიის მაქსიმუმ 20%. არგენტინის პრეზიდენტი **ქრისტინა ფერნანდეს დე ქირხნერი** თავისი კანონპროექტით მიწის უცხოელთა საკუთრებაში გადაცემის შემოფარგვლის აუცილებლობას შემდეგნაირად ასაბუთებდა: **„არგენტინა არაა პირველი ქვეყანა, რომელიც მსგავს რეგულირებას აწესებს. ასეთივე რეგულირებები აქვთ ბრაზილიას, კანადას, აშშ-ს და საფრანგეთს. შეზღუდვა დაწესებული აქვთ ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებს". სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში განვითარებული ეს ტენდენცია ძირითადად იმაზეა დაფუძნებული, რომ მიწის რესურსი ამოწურვადია და მისი უცხოელების ხელში გადასვლა სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე უარყოფითად მოქმედებს.**

გერმანია

გერმანიის კანონმდებლობით, უცხოელებს მიწის საკუთრებაში შეძენასთან დაკავშირებით იგივე შეზღუდვები აქვთ, როგორიც გერმანიის მოქალაქეებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისთვის აუცილებელია განცხადების წარდგენა, რომელშიც აღწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის განვითარების გეგმა, და ასევე ის წინაპირობა, რომ ფიზიკური პირი, რომელიც საკუთრებაში იძენს მიწის ნაკვეთს, უნდა იყოს 18 წლის, მიუხედავად იმისა, იქნება ის უცხოელი თუ გერმანიის მოქალაქე. გერმანიაში საკმაოდ ფრთხილია მიდგომა სასოფლო სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით ნებისმიერის – მოქალაქის თუ არამოქალაქის – მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

რუმინეთი

მოქალაქეობის არმქონე პირებს, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს რუმინეთში მიწის შეძენა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, აუცილებლად ნაცვალგების პრინციპით შეუძლიათ.

ეს ნიშნავს, რომ რუმინეთშიც უცხოელის მიერ მიწის, მათ შორის – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შესაძლებელია ქვეყნებს შორის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით, თუ მეორე ქვეყანაც რუმინეთის მოქალაქეებს ანალოგიურ უფლებას მისცემს.

დღევანდელი მდგომარეობით რუმინეთში ევროკავშირის სახელმწიფოთა მოქალაქეებს, რომლებსაც თავიანთი საცხოვრებელი ადგილი აქვთ რუმინეთში, ამასთან, იურიდიულ პირებს, რომლებიც რუმინეთში არიან რეგისტრირებულნი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაძენად აქვთ იგივე უფლებები, რაც რუმინეთის მოქალაქეებს. იმ „ევროკავშირის უცხოელებს" კი, რომლებიც რუმინეთში არ ცხოვრობენ, რუმინეთში მიწის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ ნებართვის მიღების შემთხვევაში.

ევროკავშირის ქვეყნების გარდა, სხვა უცხოელებისთვის რეგულირება არ შეცვლილა. მათ ისევე, როგორც 2007 წლამდე (რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებამდე), არა აქვთ უფლება შეიძინონ რუმინეთში მიწის ნაკვეთი.

რუსეთი

რუსეთში სულ არის დაახლოებით 400 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. აქედან 129 მილიონი კერძო საკუთრებაშია, დანარჩენი კი სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება. 2006 წლამდე რუსეთში არსებობდა აკრძალვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვაზე უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ. ვინაიდან რუსეთში ძალიან დიდი გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშ-

ნულების მიწაა, 2006 წელს გაუქმდა მსგავსი აკრძალვა უცხოელებზე. თეორიულად უცხოელს შეუძლია იყიდოს რუსეთში სასოფლო სამეურნეო მიწა იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ასევე ქვეყნის მოქალაქეზე ვრცელდება. მაგალითად, ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციაა, დაადგინონ მაქსიმუმი იმ მიწისა, რომელიც შეუძლია საკუთრებაში შეიძინოს ერთმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.

როგორც ჩანს, ზოგადი შეზღუდვა სასოფლო სამეურნეო მიწის უცხოელთა მიერ საკუთრებაში შეძენისა რუსეთის კანონმდებლობით არ არსებობს, გარდა ერთი გამონაკლისისა: აკრძალულია რუსეთის სასაზღვრო ტერიტორიასთან არსებული სასოფლო სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისება. ასეთი ტერიტორიების ზუსტი დასახელება რამდენიმე წელი უცნობი იყო. მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის 2011 წლის 9 იანვრის ბრძანებით განისაზღვრა ის ტერიტორიები, რომელიც ექცეოდა უცხოელებისთვის შესასყიდად აკრძალულ ტერიტორიების ნუსხაში. საკმაოდ გრძელ სიაში აღმოჩნდა რუსეთის 380 რეგიონალური ქვედანაყოფი. მათ შორისაა შორეული აღმოსავლეთის და ციმბირის ტერიტორიული საზღვრები, ასევე ქალაქი კალინინგრადი და მის ახლოს მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწები და არასასოფლო-სამეურნეო მიწები. უცხოელებს ეკრძალებათ ასევე უკრაინასთან მოსაზღვრე ქალაქ ბელგოროდის მიმდებარე ტერიტორიებისა და, რა თქმა უნდა, ქალაქი სოჭისა და აზოვის ზღვასთან მოსაზღვრე ტერიტორიების მიმდებარე მიწების შეძენა. გრძელ ჩამონათვალში გვხდება ასევე აკრძალვა კრასნოდარის და მთლიანი კავკასიის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო სამეურნეო მიწებზე.

უკრაინა

უცხოელი ინვესტორებისთვის საინტერესოა უკრაინის ნაყოფიერი მიწები. უკრაინაში 32 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ზოგიერთი ნაწილი რადიაციულად დასხივებული იყო, უკრაინული მიწები მაინც ძალიან ნაყოფიერად ითვლება. ამიტომაც ბუნებრივია უცხოელთა ინტერესი ამ მიწების შეძენაზე. სწორედ ამან გამოიწვია უკრაინაში მიწის მორატორიუმის შემოღება, რომელიც 2012 წლის ბოლომდე კრძალავდა მიწის გაყიდვას. უკრაინაში არ არის დაშვებული უცხო ქვეყნის ფიზიკური პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა, თუმცა აქაც მოქმედებს იურიდიული პირის დარეგისტრირების გზით მიწის შესყიდვის სქემები. შესაძლებელია 50 წლიანი იჯარის გაფორმებაც. უკრაინელ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს მიწა აქვთ იჯარით (50 წ-მდე). ასევე იჯარით აქვთ უკრაინული მიწის 17 მილიონი ჰექტარი უცხოურ ფირმებს.

მოლდოვა

მოლდოვას რესპუბლიკის შემთხვევაშიც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შეუძლია ნებისმიერ პირს - მოქალაქეს, არამოქალაქეს, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწას, აქ გამონაკლისია დაშვებული მოქალაქეობის არმქონე პირებსა და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებზე. მოლდოვის კანონმდებლობის შესაბამისად, ამ უკანასკნელთ არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვის უფლება.

ბულგარეთი

ბულგარეთის შემთხვევა ჩვენთვის საინტერესოა, რადგან ეს ქვეყანა ბუნებრივი და ინფრასტრუქტურული პირობებით ჩვენი მსგავსია. აქ უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბულგარეთში დაარეგისტრირებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას. ეს რეგულაცია უცხოელ (არამოქალაქე) ფიზიკურ პირებს მიწის პირდაპირ შეძენას უზღუდავს, თუმცა იურიდიული პირის დაფუძნების შემდგომ ეს საკმაოდ მარტივი ხდება.

აღნიშნული რეგულირება ძალიან წააგავს საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არსებულ ვითარებას.

მოქალაქეობის არმქონე პირებს, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბულგარეთში მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ: თუ ისინი იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთანაც ბულგარეთს 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება აქვს დადებული; თუ ქონებას მიიღებს მემკვიდრეობით; თუ არის ევროკავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი ბულგარეთში; თუ არის ევროკავშირის თვითდასაქმებული ფერმერი და მიწას ბულგარეთში დასასახლებლად და სამუშაოდ ყიდულობს.

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ქვეყნებისთვის

არსებობს ლიბერალური და „შინაურული“ რეგულირება, ხოლო არაწევრი ქვეყნებისათვის ცალსახად მოქმედებს ზემოთ მოცემული შეზღუდვები და მათ თავისი სახელით ფაქტობრივად არ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა.

უნგრეთი

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწის უცხოელთა საკუთრებაში ქონის შესახებ სულ 4 გადაწყვეტილება მიიღო. თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მან განმარტა მიწის საკუთრების ფუნქციები, რათა დაესაბუთებინა ის შეზღუდვები, რომლებიც მიწის შეძენასთან დაკავშირებით არსებობდა.

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო მიწას ხედავს, როგორც საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტს, და, შესაბამისად, მასთან განსაკუთრებული სამართლებრივი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. ის განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ მცირე რესურსი არსებობს და ის სხვა ღირებულებებით შეუცვლელია. ამიტომ მიწის საკუთრების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი არის საჯარო ინტერესი. სასამართლოს აზრით, ტყეები და ნაყოფიერი მიწები ისტორიულად ერთობლივად, კოლექტიურად გამოიყენებოდა. ამიტომაც, მისი აზრით, ისტორიიდან მოყოლებული, ნაყოფიერ მიწებზე, ისევე როგორც ტყეზე, საჯარო ინტერესი დღესაც არსებობს. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ უცხოელებისადმი მიმართული შეზღუდვა მიწის საკუთრებაში შეძენისა ლეგიტიმურად ჩათვალა.

ბულგარეთისა და უკრაინის მსგავსი მორატორიუმი მოქმედებდა უნგრეთშიც.

ზოგადად ევროკავშირი, აშშ და სხვ.

ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს. დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს აგრარული განათლება. ამასთან, უცხოელს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია უნდა გააჩნდეს, რომელსაც დანიის იუსტიციის სამინისტრო გასცემს. შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი ესპანეთში, მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ უცხოელი მიწის ბაზარზე ვერ შევა. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75% მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მუშაკად ჩაითვალოს. აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი. მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონომიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების მიერ მიწის შეძენას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდებების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, ლამის უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე (ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.). ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან[1].

1 ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ განვითარებული ქვეყნების მიწის კანონმდებლობა, რომლის მოკლე მიმოხილვაც წარმოდგენილია წინამდებარე „დანართში“, ეხება ამ ქვეყნების ნორმალურ მშვიდობიან ვითარებას, რომელიც (ეს ვითარება), იგულისხმება, ამ კანონმდებლობით ძალაში იქნება საუკუნეთა მანძილზე. საქართველოს მიწის კანონმდებლობა კი უნდა გაითვალოს ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ მოკლე ტრაგიკული პერიოდისათვის, როცა მიწის ბაზარზე ჩვენი ქვეყნის არც ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე არ არსებობს!

რატომ ცხოვრობს ქართველი ღარიბულად

რამაზ ნამიჭეიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი
სამეცნიერო საზოგადოება
„ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი

ცნება „ღარიბის“ ზუსტი განმარტება ეკონომიკურ ლიტერატურაში არ გვხვდება. ზოგიერთის აზრით ღარიბია ის, რომელიც არასრულფასოვნად იკვებება, არა აქვს ნორმალური ცხოვრების პირობები. თუმცა, გაუგებარია რას გულისხმობს არასრულფასოვანი კვება და რა იგულისხმება ცხოვრების ნორმალურ პირობებში, რა არის მისი კრიტერიუმი და სტატისტიკური მაჩვენებლები.

ამ მდგომარეობას განაპირობებს ის, რომ სიღარიბეს ჩვენ ხშირად წარმოვიდგენთ, როგორც ობიექტურად წარმოქმნილ მოვლენას მსოფლიო მასშტაბით, როცა იგი უამრავ გლობალურ მოვლენასა და შიდა სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, სუბიექტური შეფასებების პროდუქტია.

ამიტომ არის, რომ ქვეყნების შედარება სიღარიბის მიხედვით ძნელია თუნდაც ეროვნული ხასიათებიდან და ჩვევებიდან გამომდინარე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ღარიბია ადამიანი, რომლის დღიური ხარჯი $2 ნაკლებია. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, ნორვეგიაში, ღარიბი არ არსებობს, აშშ-ში ღარიბად ითვლება ოთხსულიანი ოჯახი, რომლის წლიური შემოსავალი $24 ათას ნაკლებია იმ ანგარიშიდან გამომდინარე, რომ მშობლები მუშაობენ და თითოეული მათგანი თვეში $1000-ს ღებულობს. ევროკავშირის ქვეყნებში სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია საშუალო შემოსავლის 60%. გერმანიაში ღარიბია მოქალაქე, რომლის თვიური შემოსავალი 900 ევროზე-ზე ნაკლებია. ლუქსემბურგის მაცხოვრებელი ღარიბთა რიცხვს მიეკუთვნება თუ მისი თვიური შემოსავალი 1500 ევროს არ აღემატენა, დანიისა-1200, შვეციისა-1000-ს (Уровень бедности в США. economicportal.ru/poliatiya-alt/).

თუ ამერიკელი ყოველთვიურად $700-ს მაინც არ ღებულობს, მას უქონელთა ყველაზე დაბალ კაეგორიას აკუთვნებენ, თუმცა ღარიბი და უქონელი ამერიკელების 90%-ს აქვს საცხოვრებელი სახლი ან ბინა, თითქმის ყველა მათგანს აქვს მანქანა, ხშირად რამდენიმე, მართალია, არა ახალი, მაგრამ სრულიად ვარგისი გადაადგილებისთვის. პრაქტიკულად ყველას აქვს მობილური კავშირი, კომპიუტერი და სარგებლობს ინტერნეტით. ღარიბთა ნახევარს აქვს სამედიცინო დაზღვევა. ღარიბი ოჯახების 90%-ი სწავლობს სკოლაში, აქვს უფასო კვება, საშუალება თანაკლასელებთან ერთად წავიდეს ექსკურსიებზე, ნახოს მუზეუმები, გამოფენები, ისარგებლოს ბიბლიოთეკით. პენსიონერთა შორის ღარიბად ითვლება მხოლოდ 6%. ამერიკელი პენსიონერები არ იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადებით. სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათებით, სახლმწიფოსგან ფინანსური დახმარებებით და სხვა შეღავათებით. ღარიბებისთვის აშშ ფართოდ გამოიყენება ახალი პროფესიების ათვისების უფასო პროგრამები.

ევროპაში სიღარიბე განისაზღვრება მატერიალური კეთილდღეობით. ევროპის სტატისტიკური სააგენტო გამოყოფს 9 სახის მატერიალურ კეთილდღეობას: როგორც მინიმუმი დღეგამოშვებით იკვებება ხორცით (ქათმის, თევზის), აქვს ავტომობილი, სარეცხი მანქანა, ტელევიზორი, ტელეფონი, თუნდაც ერთკვირიანი შვებულების შესაძლებლობა მშობლიური სახლიდან მოშორებთ, გაუთვალისწინებელი ხარჯების (ანუ დანაზოგების) განაღდებისუნარიანობა, თავის საცხოვრებელში აუცილებელი ტემპერატურის შენარჩუნება და ა.შ. ამ მატერიალური კეთილდღეობიდან შეუსრულებელი რჩება თუნდაც სამი, ოჯახი რარიბად ითვლება.

ღარიბი ევროპელები დახმარებას ღებულობენ სახელმწიფოსგან. გერმანიაში, მაგალითად, არასრულწლოვანი ორბავშვიანი უმუშევარი ოჯახი არა მარტო დახმარებას ღებულობს (1,1 ათასი ევრო თვეში), არამედ ბინას 90 კვმ-მდე, უფასო კომუნალურ მომსახურებას, უფასო მგზავრობის უფლებას მოსწავლეებისთვის კლასით და სხვა შეღავათებს.

სკანდინავიის ქვყნებში (ფინეთი, შვეცია, ნორვეგია, დანია) არსებობს საზოგადოების მოწყობის ისეთი სოციალური მოდელი, რომ ღარიბები ნამდვილი მარგინალები ხდებიან (მაგალითად, ნარკომანები). ამ ქვეყნებში მოქმედებს „სოციალური მოლაპარაკება“ – მდიდრები ღარიბების გამო იხდიან (დანიაში, მაგალითად, მშპ 2/3 გადანაწილდება საგადასახადო სისტემის მეშვეობით). ამ ქვეყნების ყოველი მეხუთე სოციალური დახმარების ხარჯზე ცხოვრობს (უმუშევრობის შრომისუუნარობის გამო და სხვა). ცნება „გრძელვადიანი სიღარიბე“ საერთოდ არატიპიურია სკანდინაველებისთვის. **ევროპელები კვებაზე იმდენს ხარჯავენ, რამდენსაც ამერიკელები, მაგალითად, საფრანგეთში ეს 14%, დიდ ბრიტანეთში – 11%. ევროპელ ღარიბებს ყოფნით სახსრები არა მხოლოდ ხანგრძლივი სარგებლობის საქონელზე (საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ახალი ავტომობილიც კი), არამედ დანაზოგებისთვისაც, დაზღვევის ყიდვა, განათლება და სამედიცინო მომსახურება** (Что такое бедность в США и Европе? ru.exrus.eu/Chto-takoye-bednost).

გაეროს 1995 წლის სამიტზე კოპენჰაგენში, განსაზღვღული იქნა აბსოლუტური სიღარიბის ცნება, რომლის თანახმად სასმელი წყალი უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ ნორმებს, და არ უნდა მდებარეობდეს საცხოვრებლიდან 15 წუთზე მეტ სავალზე, არა მხოლოდ

მდინარის წყალი იყოს; სანკვანძი – სახლში ან სახლიდან ახლოს უნდა იყოს; მედიცინა – სამედიცინო სამსახური ფეხმძიმე ქალებისა მძიმე ავადმყოფებისთვის; საცხოვრებელი-მაქსიმუმ ოთხი სული ოთახში; იატაკი დახურული, მიწის იატაკი დაუშვებელია; განათლება-კითხვის ცოდნა; ინფორმაციისადმი ხელმისწვდომობა-ადამიანს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ტელევიზიაზე, რადიოსა და ინტერნეტზე; მომსახურება – კონკრეტული სახეები არ მიეთითება. თუ აქ ჩამთვლილიდან ოჯახი ვერ აკმაყოფილებს ორი პუნქტს, იგი აბსოლუტურ ღარიბად ითვლება.

რუსეთში სიღარიბე განისაზღვრება საცხოვრებელი მინიმუმით, რომლის მიხედვით დადგენილია კვების პროდუქტების (სურსათის), სამრეწველო საქონლის და საყოფაცხოვრებო კომუნალური მომსახურების, ჯანდაცვისა და განათლების ნორმები, აგრეთვე აუცილებელი გადასახადები და მოსაკრებლები.

საცხოვრებელი მინიმუმის სამრეწველო საქონლის ჯგუფგის შინაარსში იგულისხება: ზედა თბილი ტანსაცმელი; ზედა საზაფხულო ტანსაცმელი; წინდეული; თავსაბურავი და გალანტერია; ფეხსაცმელი; სასკოლო ნივთები; საძილე თეთრეული; სამეურნეო საქონელი; საქონელი ჰიგიენისა და წამლებისთვის. საგადასახადო მომსახურების ჯგუფში შედის: საცხოვრებელი; გათბობა; ცხელი/ცივი წყალი და კანალიზაცია; გაზი; ელექტრობა; ტრანსპორტი; კულტურული ღონისძიებები.

რუსეთში ყოველკვარტალურად განისაზღვრება სურსათის სამომხმარებლო კალათა, ხოლო დანარჩენი ორი ჯგუფი 50-50%. სამივე მათგანის ჯამი ქმნის საცხოვრებელი მინიმუმის სიდიდეს. ჩვენს ქვეყანაში საცხოვრებელი მინიმუმის დასადგენად (2003 წელს საქართველოში საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისას მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები ხელისუფლებამ ხელოვნურად შეკვეცა, რათა დაეფარა სურსათის ნორმატიულ მოთხოვნასა და რეალურ მოხმარებას შორის მოსალოდნელი განსხვავებები. წარსული ხელისუფლების ამ შეგნებული დანაშაულით მომდევნო ხელისუფლება აქამდე არ დაინტერესებულა („გზა ცივილიზებული სახელმწიფოსაკენ“ (ჩვენი ხედვა). „ივერიონი“. გვ.110. თბ, 2018) რუსეთის საცხოვრებელი მინიმუმის ზემოაღნიშნული ცხრილის მოხმარების მოცულობები შევაფასე სექტემბრის თვეში ქუთაისში არსებული საბაზრო ფასებით. რა თქმა უნდა, ასე განსაზღვრული სასურსათო კალათის მოცულობა პირობითია ჩვენი ქვეყნის მიმართ, ვინაიდან მასში არ შედის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოხმარების ტრადიციული განსაკუთრებულობები, მაგალითად, ფხალი, ყველი, ღვინო, მჭადი, სულგუნი და სხვა.

ჩემი ანგარიშით გამოდის, რომ წელიწადში ზრდასრულ ადამიანს მინიმალური სასურსათო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 328 ლარი სჭირდება, ამის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ სასურსათო და არასასურსათო საქონლის 50:50% თანაფარდობის პირობებში საცხოვრებელი მინიმუმი 656 ლარი უნდა იყოს. ეს დაახლოებით იგივეა, რასაც ცნობილი მეცნიერი და სპეციალისტი შოთა ჩხეიძე გვთავაზობს ზემოთდასახელებული წიგნის სტატიაში: **„საქართველოს მოსახლეობითვის დადგენილი არაადეკვატური საარსებო მინიმუმის შესახებ“** (ჩხეიძე შოთა, საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი NATO-ში (1999-2005წწ.), საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი, ექსპერტი სასურსათო უსაფრთხოების საკითხებში, „ქართული ეროვნული დარბაზის“ წევრი“.).

საქართველოში, თუ გახმაურებულ სტატისტიკას ვენდობით, 700 ათასზე მეტი პენსიონერია, რომელიც ყოველთვიურად 180 ლარს ელოდება, რაიც თურმე ტრიბუნებიდან უნამუსოების ბეჯითი განცხადებით, საცხოვრებელ მინიმუმზე 13 ლარით მეტი ყოფილა, მაშინ როცა იგი რეალურად საცხოვრებელი მინიმუმის

მესამედსაც არ წარმოადგენს და ფასების ცვლილების პირობებში არანაირად არ კორექტირდება. სხვა ანგარიშით, საცხოვრებელი მინიმუმი საშუალო ხელფასისი 60%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში საშუალო ხელფასი 564 ლარის ტოლია ანუ საცხოვრებელი მინიმუმი 338 ლარი უნდა იყოს. სინამდვილეში ქართველი ხალხის უმრავლესობა ღარიბ-ღატაკია. ასეთია პრაქტიკულად პენსიონერთა მთელი არმია (აშშ პენსიონერთა მხოლოდ 6% ღარიბი). თუ ამას მივუმატებთ სოციალურად დაუცველ მასას და ე.წ. ყოველდღიურად სამუშაოს მაძიებლებს, მაშინ საქართველოს ყოველი მესამე მაცხოვრებელი ღარიბ-რატაკია. ეს პრაქტიკულად დაკვირვებული თვალითაც იოლი შესამჩნევია. უნებლიედ ჩნდება კითხვა: რა განაპირობებს სიღარიბეს, რატომ არის საქართველოში სიღარიბე?

ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება ასეთი თვალისმომჭრელი ფრაზები: **მდიდარი ქვეყანა და უზრუნველყოფილი ხალხი – აშშ; ღარიბი ქვეყანა და უზრუნველყოფილი ხალხი – იაპონია; მდიდარი ქვეყანა და ღარიბი ხალხი – რუსეთი.**

როცა მას ბუნებრივი რესურსების და წიაღისეულის სიმდიდრით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. მის წილად მოდის ნავთობის მსოფლიო მარაგების 10%, გაზის 1/3, სასარგებლო წიაღისეულის 25%, სათესი მიწების 9%, ტყის რესურსების 20%. სულ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე 400 მლრდ-ზე მეტია. რუსეთში ცხოვრობს 500 მლნ. ამ დროს საცხოვრებელი მინიმუმი 2018 წლის მონაცემებით, 9909 რუბლს შეადგენდა, რაც რუსი ექსპერტების აზრით ნახევრადმშიერ ცხოვრებას ნიშნავს. „ამჟამად, მაგალითად, მინიმალური ხელფასი, როგორც საცხოვრებელი მინიმუმის ინდიკატორი ჩვენს ქვეყანაში, დაბალია ლუქსემბურგთან შედარებით - 17-ჯერ, საფრანგეთთან - 14-ჯერ, ინგლისთან - 10-ჯერ, ესტონეთთან - 4-ჯერ. სიღარიბის განსაკუთრებით მაღალი დონეა სოფლად, რომელიც მისი მოსახლეების 45%-ს მოიცავს. ასეტი მდგომარეობა ძირითადად ორი მიზეზით აიხსნება. პირველი, უნუშევრობის მაღალი დონით. **არ არის სამუშაო, არ არის ხელფასი.** მეორე, ხელფასის დაბალი დონით. მომუშავეთა მესამედისთვის შრომის ანაზღაურების მინიმალურ სიდიდეზე ნაკლებია, 53%-ისთვის საცხოვრებელ მინიმუმზე დაბალია“ (Почему Россия-еакая бедная страна? dal.by/news/109/103-11-17-9 копия). ანალოგიური სიტუაციაა საქართველოში. ქვეყანა ფლობს 277 მლრდ. დოლ. წყალქვეშა გრუნტი წყლების მარაგს ანუ სასმელი წყლის მსოფლიო უზარმაზარ რეზერვებს. ამერიკული კომპანია „ფრონტერას“ განცხადებით საქართველო ბუნებრივი გაზის მარაგით წინ უსწრებს მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებს, მის წიაღში ბუდობს 800 მლრდ. დოლ. ბუნებრივი აირი (Арно Хидирбегишвили: о главном богатстве Грузии-ИА REX. iarex.ru/52303.html лопия).

მრავალრიცხვოვან ექსპერტთა აზრები გასაგებია, რომ აუცილებელია სახელმწიფო პროგრამის შემუშავება სიღარიბის დასაძლევად, რომ საჭიროა პროგრესული დაბეგვრის შემოღება, როგორც ეს არის აშშ, შვეიცარიაში და საფრანგეთში. ასე, აუცილებელია, თურმე, შრომის მინიმალური ანაზღაურების გაზრდა, რომ ამას უნდა აკეთებდეს ხელისუფლება, მაგრამ...ხალხის ცხოვრების დონე უცვლელი კი არ რჩება, ნელნელა იკლებს წლითი წლობით, სამაგიეროდ მდიდრდება ხელისუფლება და ისეთი თავხედი ხდება, რომ ტელევიზიებიდან 180 ლარს აყვედრიან მოსახლეობას-საცხოვრებელ მინიმუმზე მეტიაო. სხვა ქვეყნებში უარესი მდგომარეობაა, იმათი ვალუტა უფრო მეტად გაუფასურდაო. ნერვების შეკავება მიჭირს, ვცდილობ ლიტერატურისთვის მიუღებელი სიტყვა არ წამომცდეს. ეს და მისი ჭკუის ძალიან ბევრი პარლამენტარი ნაძირალაა, სინდისგარეცხილია. 1000 დოლარის და 180 ლარის ინფლაცია ერთი და იგივეა? რა უნდა ამნაირ უბირს პარლამენტში. როგორ უნდა აკადროთ ეს მშიერ ხალხს, როცა თვითონ არაფერი გყოფნით. ლენინის ერთი ნათქვამისა არ იყოს, ამათ კი არაფერი უნდა თხოვო, ესენი ყველა ერთად უნდა გამოყარო პარლამენტიდან და მთავრობიდან, ჩამოართვა ხალხის ზურგიდან ატყვებული ქონება და 180 ლარის პენსია დაუნიშნო. ამნაირები რომ ხელისუფლებაში გვყავს, ეს

ქვეყნის ინტელეტუალური ნაწილის სიმხდალესა და ზნედაცემულობაზე მეტყველებს. ქვეყანა, სადაც, როგორც „ბრძენ ილიას“ უთქვამს, ჩიტის რძეც კი მოიპოვება, უბირ და გარეწარ მასას უპყრია ხელში და სისხლს წოვს ვამპირივით. ნუთუ მართლა ასე დაძაბუნდა ქართველი ხალხი, რომ ენის ამოღება არ შეუძლია, ნუთუ ასე გაუგებარია ან არაფერი ენაღვლება ახლა მილიარდერ, მაგრამ ოდესღაც გაჭირვებული ოჯახის შვილს, ბიძინა ივანიშვილს, რომ ამის მთქმელ პარლამენტარს ვირის აბანოს არ მოანატრებს.

რაც შეეხება საცხოვრებელ მინიმუმს. 2003 წელს, მაშინდელმა ხელისუფლებამ საცხოვრებელი მინიმუმის ანგარიშის დროს, ბიუჯეტზე ხელი რომ „მოეთბო“, ძვირადღირებული პროდუქტების დღიური მოხმარების ფიზიოლოგიური ნორმები, მაგალითად, ხორცისა, თავის სურვილით შეამცირა 200 გრ-დან 80 გრ-მდე(!), რძისა და რძის პროდუქტებისა-950 გრ-დან 215 გრ-მდე, შაქრისა-100გრ-დან 50 გრ-მდე. ხოლო დაბალფასიანი პტოდუქტებისა, მაგალითად, პურისა, გაზარდა 200 გრ-დან 400 გრ-მდე. ასე გახდა საცხოვრებელი მინიმუმი 167 ლარი (ჩხეიძე შოთა. იხ. ზემოთ დასახელ. შრომა. გვ. 109-110), რომელსაც ცალტვინა პარლამენტარი დღემდე ამადლის მოსახლეობას საქვეყნო ტრიბუნიდან-პენსია საცხოვრებელ მინიმუმზე მეტიაო. თურმე 1,18 ლარი მოხმარების დღიური ნორმა ყოფილა. ამნაირი ჭკუის კაც-ქალი თუ ქალ-კაცი რომ პარლამენტში გეყოლება, იმისი მაჩვენებელია, რომ ქვეყანა მართლა ტვინგამორეცხილია.

უდიდესი სიბრძნეა: არ შეიძლება ორი ბატონის მსახური იყო. არ გამოდის, როცა მილიარდებს აგროვებ და თან გინდა სახელმწიფო მართო. ძნელია ახლა ხალხის გულის კიდევ ერთხელ მოგება. გულიდან ნდობის ფურცლებს ვერ ამოხევ, მითუმეტეს, ცრემლით და სისხლით დაწერილს. ხალხის გულში ჩასახლება მხოლოდ სიყვარულით შეიძლება, რაც მხოლოდ ქვეყნის სამსახურზე გადაგებულს თუ შეუძლია. ფეხდაფეხ დავსდევ ყველა სიტყვას ქვეყნის პრეზიდენტობაზე დაცდენილს. მასაში ემოცია სჭარბობს, ტყვიისფერ ღრუბელს ჰგავს, აგრესია მატულობს. უბრალო ხალხისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს ვინ გაიმარჯვებს, მთავარია ვიღაც დაისაჯოს, რომ დაგროვილი ენერგია განიმუხტოს. მდგომარეობის განმუხტვა შეიძლება. ჩემი აზრი უკვე ვთქვი, ბევრს უკეთესი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ არ მჯერა ივანიშვილი ამას გაიგებს. ტელევიზიით კი არა, რკინის ქალამნებით უნდა მიადგეს პატრიარქს, ქვეყნის რჩეულებს, რაც ღვთის წყალობით არ გვაკლია. მხოლოდ მათთან ერთად გამოიძებნება ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოსავალი.

ახლა ჩვენი აზროვნება ძალიან დაბალია, თანამედროვებას ჩამორჩენილია. საქართველოს ხელისუფლებას წყევლა-კრულვა არ აკლია, მართალია, მაგრამ არ ვიცით, რომ ქვეყნას საზოგადოებრივი ელიტა უნდა ჰყავდეს, აკონტროლებდეს, აწესრიგებდეს. კაი ხანია ბნელეთში ვცხოვრობთ. არ გაინტერესებს, ვინ მართავს დასავლეთს?...დემოკრატია? ლიბერალობა? ხელისუფლება?

რამხელა ტვირთია ქვეყნის მართვა და რა მძიმეა მის გამო პასუხისმგებლობა. აგერ მთელს ავტობუსს რომ შეავსებს, იმდენი კაცი და ქალი იხევს ჩოხას-ამირჩიეთ ქვეყნის პრეზიდენტად, მე ვიხსნი ქვეყანასო. კურიოზია ცხოვრება, ოჯახში ჭკუას არავინ გეკითხება და ქვეყნის პრეზიდენტის არჩევა შენზეა დამოკიდებული. უფრო უარესი: არც თვითინიციივიატიან საპრეზიდენტოს ეკითხებიან ჭკუას მის ოჯახში, მაგრამ ხალხს ქვეყნის პრეზიდენტად უნდა. ქვეყნის ხსნის ნებართვა არ უთხოვია ბიძინა ჩოლოყაშვილს, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებს. ხალხის გული სიყვარულით იპოვება და არა დაპირებებით და ანგარების გამო სამადლოდ გაწვდილი ხელებით. გვეყოფა, მკითხველო, ჯავრის ამოფრქვევა. ფაქტია: ხელისუფლება არ გვყავს, თუმცა ჩვენ იგი არც აგვირჩევია.

მიმაჩნია, რომ დღევანდელ არსებულ პირობებში, არჩევნების გზით, ხელისუფლებაში პატრიოტი და სახელმწიფო აზროვნების კაცი ვერ მოხვდება. ამას გარედანაც არ დაუშვებენ „ჩვენი დასავლელი პარტნიორები“. ხომ არ აჯობებდა შეგვექმნა, დაგვეფუძნებინა უხუცესთა ეროვნული დარბაზი, ალბათ, სხვა უკეთესი სახელიც მოიძებნება, რომელიც ხელისუფლების მიმართ სათათაბიროსა და რეკომენდატორის როლს შეასრულებდა. იქნებოდა სამშობლოსა და ხალხის ინტერესების დამცავი ფარი და მახვილი.

დამფუძნებელი შეიძლება იყოს: რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, „ქართული ერთობის დარბაზი“, „მეცნიერთა კონგრესი-ეროვნული თანხმობისთვის“, ნიკო ნიკოლაძის საზოგადოება, მეცნიერებათა აკადემია, თუნდაც რომელიმე საქველმოქმედო

ფონდი, მართლმადიდებლური ეკლესია...ღმერთის წყალობით, ტალანტები და ბრძენი ხალხი არ გვაკლია. ასეთ სათათბიროს დაღვინებული, 70 წელს მიღწეული მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების აღიარებული ადამიანები, გამოჩენილი სპეციალისტები უნდა ქმნიდნენ. ისინი სანთლით უნდა დავძებნონ და მოვიწვიოთ... ბატონი კონსტანტინე ბრძანებდა: მწერალთა კავშირი ისეთივე შეუვალი უნდა იყოს, როგორიც მეცნიერებათა აკადემიაა. ასეთი შეუვალი უნდა იყოს უხუცესთა ეროვნული დარბაზი. იგი სტრუქტურულად უნდა გავრცელდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სოფლის უხუცესთა საბჭოს თუ სათათბიროს სახით არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით იმ პრიორიტეტების გათვალისწინებლით, რომელიც ქალაქებსა და სოფლებს აქვთ. მაგალითად, ქუთაისს ჯერ გვერდი უნდა აუაროთ, ვინაიდან აუცილებლად დაანაგვიანებენ ძმა-ბიჭებით. მერე როცა ხალხი იგრძობს ამ დარბაზის სიკეთეს და ეროვნულობას, თვითონ გამოიჩენენ აქტივობას და ხალხის ერთიანობა იქნება.

ამას მხოლოდ საკითხის დასმის წესით ვწერ. სხვა საკითხებს ამიტომ არ ვიხილავ. ძალიან ცუდად რომ არის საქმე, იმის შეგნება არ მასვენებს. ერთი რამ ვიცი: ჩვენ ახლა სინამდვილის სხვა სიბრტყეში უნდა გადავინაცვლოთ. ჩვენი შეხედულებები, საზოგადოებაზე, საერთაშორისო თანამშრომლობაზე მოძველებულია. მაგალითად, ჩვენ გვგონია, რომ ხელისუფლებას ვქმნით არჩევნებით, სინამდვილეში ვიქცევით ისე, როგორც მსოფლიო ბანკოკრატიას სურს. ამისთვის იგი იყენებს, როგორც განათლების სისტემას, ასევე მას-მედიის ყველა საშუალებას, არაეროვნული, არაპროფესიული, ხარბი, ზერელე განათლების ადამიანებს. სწორია ცნობილი ისტორიკოსი ა.ფურსოვი, რომელიც თავის ერთერთ ვიდეო მასალაში აცხადებს: რომ არა მსოფლიოს ფარული ორგანიზაციების მასობრივი შეტევა ეროვნულ სახელმწიფოებზე, 50 წლის წინათ წარმოუდგენელი იქნებოდა ისეთი პირების დაწინაურება საფრანგეთისა და გერმანიის უმაღლეს თანამდებობეზე, როგორებიც არიან სარკოზი და მერკელიო.

იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი ქვეყნის მიმართ. განა ყოველი ჩვენთაგანი ვერ ხედავს, რომ დასავლეთი საქართველოში იმას არ აკეთებს, რაც თვითონ უნდა? რაკი ჯერ კიდევ ძლიერია ეროვნული შეგნება და ვეწინააღმდეგებით ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და კანაფიზაციას, დემოკრატია არ გივარგათო-გვაყვედრიან (ნახეთ, როგორ ლანძღავენ ჩრილოეთ კორეელებს, დემოკრატია არა აქვთო, დიქტატორული ქვეყანაა, შიშმშილობენ, ცუდად ცხოვრობენო. განა კორეელების ცხოვრება თვითონ მათი საქმე არ არის?). გვაკლია იმისი ცოდნა, შეგნება, რომ ხელისუფლება თვითონ უნდა ავირჩიოთ და გადავირჩიოთ, როცა საჭირო იქნება. მაგრამ სამშობლოს არ ჰყავს მისი საზოგადოებრივი ელიტა-ინტელიგენცია, რომელიც ხელისუფლებას კონტროლს გაუწევდა.

ცოტა ზემოთ აღვნიშნე, რომ საქართველო მდიდარი ქვეყანა არის და ამდენად ბედნიერი, მაგრამ სიმდიდრის მეორე მხარე უბედურებაა, განა სიმდიდრისთვის არ გვებრძოდნენ ათასეული წლები და საუკუნეები გადამთიელები? ახლა უარესია-გვიტევენ ყოველი მხრიდან:

დაგვინგრიეს განათლება, აგვყარეს ფუძიდან, გვირღვევენ ოჯახს, გვიგრევენ ეკლესიებს, გვილანძღავენ სარწმუნოებას, გვიტყუებენ ნიჭიერ გოგო-ბიჭებს, გვისახლებენ გადამთიელებს, და ეს ყველაფერი ფულზე გაყიდული ძველნაშიერი, არაეროვნული ხარბი და თავისი ხალხის სისხლისმსმელი ქართველების ხელით ხდება. ნაქართველებიც საკმაოდ გვირევია.

ჩვენც იგივე გვემართება, რაც სხვა ბევრ ქვეყანას დაემართა-გვატყვილებენ, გვტაცებენ, ჩალის ფასად გვართმევენ ყველაფერ იმას, ღმერთმა რომ მოგვცა: შესანიშნავი ადგილმდებარეობა, კლიმატი, ბუნებრივი რესურსები, ნიჭი და უნარი; მაგრამ ერთპირობა გვაკლია, არა და ძალა ერთობაშია. ჭკუას ვერ მოუხმეთ ვერსადროს. მხედველობაში მაქვს ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორია. ისეთ ქვეყანას ვეძებთ თავშესაფრად, სადაც ვითომ უფრო უკეთესად ვიცხოვრებთ, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში. ამ ექსპერიმენტებმა ასწლეულები შეიწირა და ზღვა სისხლისა დაილია. მაინც ისევ იქა ვართ, სადაც ვიდექით და ისევ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. ჩვენ თვითონ უნდა ვიხსნათ საკუთარი თავი არა ძლიერი ქვეყანა-პარტნიორის თუ პატრონის ძიებაში, არამედ მსოფლიო ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობათა მასივებში. ამერიკასა და რუსეთის ინტერესებს შორის ჩადგომა რომელიმე მათგანის, სულერთია, რომლის სასარგებლოდ, ქვეყანას სასიკეთოს არაფერს მოუტანს, უბედურების გარდა. დიდი ხანია შეგნებულად იმალებოდა მეცნიერული გამოცდილება ქვეყნის განვითარების ისეთი ეფექტიანი პოლიტიკის

შესახებ, როგორიცაა პროტექციონიზმი, რომელმაც თავის შემოწმება ჯერ ინგლისში, მერე ჰოლანდიაში გაიარა, ხოლო აშშ კლასიკურ ფორმას მიაღწია. ახლახან ერიკ რაინერტმა თავის გახმაურებულ ბესტსელერში „როგორ გახდნენ მდიდარი ქვეყნები მდიდრებად და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად“ აჩვენა, რომ ეკონომიკურ თანამშრომლობაში ეფექტიანობის ორმხრივ სარგებლიანობას მხოლოდ განვითარებული ქვეყნები ნახულობენ. განვითარებადი ქვეყნები განვითარებულებთან თანამშრომლობაში არა მარტო წაგებული რჩებიან, არამედ კიდევ უფრო ღარიბდებიან მაღალინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის ზიარი ჭურჭლების მასობრივ სისტემაში მიტყუებისა თუ იძულებითი ჩართულობის გამო, როცა განვითარებული ქვეყნების რაოდენობრივი და ხარისხობრივი უპირატესობები სრულყოფილად ვლინდება. ჰო, ზიარ ჭურჭელში წყალი ერთ დონეზე კი დგება, მაგრამ ზიარ ჭურჭელში უპირატესობა ბრტყელძირიან, დიდი მოცულობის ჭურჭელს აქვს (გადადინების ეფექტი).

ბოლო 20 წლიანი პერიოდის არჩევნებმა საქართველოში გულგრილობის, ინდიფერენტულობის მენტალიტეტი შექმნა. ამომრჩეველთა მენტალიტეტი ასე იკითხება: რა მნიშვნელობა აქვს საარჩევნო პროცესებში მონაწილეობას, ხალხის სასიკეთოდ მაინც არაფერი გაკეთდება. ასარჩევი კანდიდატების მენტალიტეტი საპირისპიროა: თუ გინდა გამდიდრდე, კარგად იცხოვრო, ხელისუფლებაში უნდა მოხვდე. ოცი წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამ მენტალობას ყავლი გასვლოდა. ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებზე უმრავლესობა არ გამოცხადდა და ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ერთმანეთის მოსისხლე პოლიტიკური დაჯგუფება და ქვეყანას ისევ არეულობის საფრთხე შეექმნა. მათ თავიანთი კანდიდატების პრეზიდენტად ფორმალური აღიარებისთვის ხალხის მხარდაჭერა სჭირდებათ. მაგრამ ამ პოლიტიკური პარტიების დაძახებაზე ხალხი ყურს არ შეიბერტყავს. ასპარეზი გაეხსნა საქართველოს ინტელექტუალურ არმიას-ჩაუდგეს ხალხს სათავეში და ხელისუფლება მართვადი, კონტროლირებადი გახადოს. მოკლე ტრადიციად ქცეულ ნაცქოცურ მეტოქეობას ქვეყნის ხელისუფლებისთვის ძალა გამოეცალა. მთავარია ინტელექტუალები ინტელიგენციად, სამშობლოს მსახურების ორგანიზაციად იქცეს. ახლა ყველაზე შესაფერი დროა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეიქმნას უხუცესთა დარბაზი, როგორც უძველესი, ნაცადი ქართული სახელმწიფოებრივი მართვის ეფექტიანი ინსტიტუტი. საქართველოს პრეზიდენტის არჩევა უკვე არ არის დამოკიდებული კოალიციებსა და პოლიტიკურ პარტიებზე, ხალხს არჩევანის შესაძლებლობა გაუჩნდა, მან ეს ძალა უნდა იგრძნოს. არა და, ამ მოკლე დროში ძნელია ამ აზრის ხალხამდე მიტანა. რკინის ქალამნები უნდა მოვირგოთ, სხვა გზა არ არის.

სიღარიბე ინტეგრალური სიდიდეა, იგი ქვეყნის ექსტერნალური და ინტერნალური ფაქტორების ერთობლივი მოქმედების სინერგიული რეზულტატია. ერთი ასეთი ფაქტორი და თანაც ძირითადი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესია, რომელიც თავის მხრივ განათლების ინტეგრალური პროდუქტია. განათლებას დასავლური ნეოლიბერალიზმი და ბანკოკრატია თავის გავლენაში აქცევს და თავს ახვევს ვასალურ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, რომელიც დღემდე ანგრევს და ფსევდო ხასიათს აძლევს განათლების სისტემას. რამდენი ხანია იშტამპება ეკონომისტებისა და იურისტების უმაღლესი შემადგენლობის პროფესიული ეშელონები, სახალხომეურეობრივ მოთხოვნაზე გაცილებით მეტი

და იმ უნარების კომპლექსით, რომელიც ვარგისია ნეოლიბერალური აზროვნების სივრცისთვის და მათი დიდი ნაწილი სამშობლოს ინტერესების ფარგლებს გარეთ რჩება ან უმუშევართა არმიას ავსებს, ან უნუშევართა არმის ავსებს, ან ქვეყნის შიგნით, ან მის ფარგლებს გარეთ. ძალზე შეზღუდულია უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება მეწარმეობრივი სფეროს სხვადასხვა დარგებისთვის, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის შემოქმედებითი პოტენციალუნარიანობის ამაღლება, ხალხის დასაქმების გაზრდა და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესება. გამოდის, რომ ჩვენ სიღარიბის ზრდას ხელს ვუწყობთ ისეთი აზროვნების გავრცელებით, რომელიც ყველა საქმიან მოძრაობას საფუძვლად უდებს მხოლოდ მოგების მიღებას. ამისი უშუალო გამოხატულებაა კანაფის გაშენების საპარლამეტო პროექტი მაღალი შემოსავლიანობის თვალსაზრისიდან გამომდინარე. ჯერ ერთი, კანაფი როგორც ნარკოტიკი, შემოსავლიანი არა ქვეყნისთვის საერთოდ, არამედ კანაფის მომყვანი და დამამზადებელი მსოფლიო მონოპოლიისთვის. მეორე, კანაფის მოყვანა და რეალიზაცია არაკვალიფიციური ან დაბალი კვალიფიკაციის მუშახელს საჭიროებს, რომელიც მნიშვნელოვან შემოსავალს არ იძლევა.

რა დონის გონებაშეზღუდულობა უნდა ჰქონდეს კაცს, რომელიც ვაზისა ღვინის ქვეყანაში კანაფის წარმოების დაკანონებაზე იხევდეს ტანსაცმელს. რამდენიმე ქვეყნისთვის სავალალო შემთხვევას შევესწარი. ერთ სავაჭრო პუნქტში მწეველმა სიგარეტი ითხოვა, რადგან ვიტრინის თაროებზე ვერ შეამჩნია. ნაცნობი ყოფილა გამყიდველის, რომელმაც გაუღიმა-გვაქვსო, ფარდა გადასწია, აირო სიგარეტები, შეუფუთა და თხოვნა გაატანა: სანამ მაღაზიას არ გაშორდები, არ გახსნა, არავი დაგინახოს, სიგარეტის გამოფენას გვიკრძალავენო. არაფორმალური კანაფიზაცია მიდის, მეპატრონეებიც გამოჩნდნენ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში. კანაფს რგავენ ეზოებში, სახლებში ფანჯრის რაფაზე, გარაჟებში, ბოსტანში, ყანაში, ყველგან, სადაც მიწა მოიძებნება. ეწევა ყველა დიდი და პატარა, მამა და დედა, ბებია და ბაბუა. ეწევიან ყველგან: ეზოში, ბაღში, სახლში, სკოლაში, ტუალეტში, დღისით, საღამოთი, ღამით. ეწევიან უზმოზე, აყოლებენ ღვინოზე...ჯანსაღი თაობა იღუპება, სიღარიბეში იძირება. იზრდება ავადმყოფების რიცხვი, შენდება საავადმყოფოები, თანხების მოთხოვნა სწრაფად მატულობს თვითდაავადმოფებულებზე. ზნედაცემული ქართველი ჯიბეს ისქელებს.

სიზარმაცე სიღარიბის ერთი ნიშანია. იგი პირობითი ცნებაა. აბორიგენი ინდიელები ამერიკაში, თანამედროვე გაგებით, ღარიბად ცხოვრობდნენ, არ ჰქონდათ რთული ტექნიკური იარაღები, არც აწარმოებდნენ, არც სჭირდებოდათ, ვინაიდან ცხოვრებისთვის უცილებელი კვების პროდუქტები თავსაყრელად ჰქონდათ. ევროპელმა კოლონიზატორებმა განვითარებული აზროვნებისა და იარაღის ძალით ყველაფერი წაართვეს და მონებად აქციეს. ამჟამად აშშ აბორიგენი მოსახლეობა 5 მლნ. ცოტა მეტია. სახელწოდება ინდიელი უკავშირდება ქრისტეფორე კოლუმბის შეცდომას, რომელსაც მისი აღმოჩენილი ამერიკა ინდოეთი ეგონა. ინდიელები, ანუ ისტორიულად მკვიდრი მოსახლეობა ახლა წარმოდგენილია პუებლოს, ნავახის, იროკეზების, გურონების, ჩერიკების და სხვათა სახით, რომელთა ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენს. ცხოვრობენ ჯგუფებად. დაკარგული აქვთ თავიანთი ენა და მხოლოდ ერთმანეთს შორის სასაუბროდ თუ იყენებენ. საქართველოს სიღარიბე ქვეყნის გარე და შიდა ნეოლიბერალებმა გამოიგონეს ხალხის თვალის ასახვევად და შექმნეს უიმედობის, რწმენის დაქვეითების საეთერო სივრცე, რომელშიც ვცხოვრობთ. მშვიდად ძინავს საფლავში ვარლამ არავიძეს, „მონანიების გმირს“, ვინაიდან ახლა მის დაკრულზე ცეკვავენ, საქართველოს ტორტის ნაჭრებივით ინაწილებენ-თქვენ მაინც არაფრად გჭირდებათ, ზარმაცები ხართო. ქართველი არასდროს ყოფილა ზარმაცი. განა შეიძლება ზარმაცი უწოდო ერს, რომელმაც მსოფლიოს მისცა ცივილიზაცია, ასწავლა ძაფის წარმოება, ფოლადის გამოდნობა, ოქროს მიღება, შექმნა პურის ჯიშები, საკუთარი დამწერლობა, გამოიყვანა და ამრავლა ვაზი, ისწავლა მიწასთან საუბარი, აამეტყველა ქვა, აამღერა თიხა, გაბერა და შიგ ჩაასხა ქრისტესისხლა ღვინო, ფეხის ცერებით შემოუარა მსოფლიოს, სიმღერით ახადა ჭერი და კოსმოსს მიწვდა, ვინაიდან თავის თავი სულ ახლდა და ამიტომ არ იყო ღარიბი (რუსთაველის პერეფრაზირება).

ისტორიულად ველური ტომები მდიდარ ერებს და ქართველებსაც ომებით აღარიბებდნენ-ძარცვავდნენ, მიჰქონდათ ყველაფერი, რასაც სიმდიდრე ერქვა: ოქრო, ვერცხლი, განძეულობა; მიერეკებოდნენ საქონელს, ლამაზ გოგონებსა და ბიჭებს, მაგრამ ღვთის სიყვარული ძალას აძლევდა მტრისაგან დარჩენილებს, გადამალულებს, ისევ გუთანს ჩაჭიდებოდა, ეხვნა, ეთესა, ეხარებინა ვაზი და ხეხილი, დაენთო კერია, გაეთბო სახლი და ემრავლებინა შვილები. დაბრძენდა მტერი ჩვენი და ახლა მშობლებისა და ახლობლების უზნესო მაგალითზე გაზრდილ, ფულზე დახარბებულ კიკუებს საქართველოს სისხლისმსმელი თურქი, არაბი თუ ირანელი და კიდევ რამდენი გადამთლიელი ფულს თავაზობს, ნებით გაიხადონ და თვითოთ ჩაუგორდენენ ლოგინში. რამდენ ლენჩს ჰგონია, რომ მისი ცოლი თურქეთში მუშაობს. აგერ სულ რაღაც 2კმ მდებარე რესტორანში იპლაკება თურქებთან და ბოზობით ნაშოვ დოლარებს ოჯახს აპურებს. ამის შემხედვარე „გირჩები“ შარვლებს იხდიან და წაკუზულები უკანალს რუსებს უშვენენ, ჩვენ კიკუზე ნაკლები რითი ვართო. უმცირესობას შერჩენილი ქართული სისხლი იმღვრევა. ამ წმინდა მიწაზე ცხოვრება მხოლოდ მის ისტორიულად მკვიდრ მოსახლეობას შეუძლია.

საქართველო ფულზე დახარბებულების და ნიფხავჩახდილების საკადრისი საცხოვრისი ვერ იქნება, ვინაიდან არასდროს ყოფილა. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გავედით. სიცოცხლემ უნდა გაიმარჯვოს, რანაირი მძიმე არ უნდა იყოს მსხვერპლი. ოცდამეერთეში მეორედ დაბადებული მეჩვიდმეტე საუკუნის დიდი ღამე უნდა გათენდეს.

ჩვენ ახლა გვაქვს ერის ხსნის ყველაზე კარგი შანსი. თუ კიდევ ერთმანეთს ისევ გავებღინძებით და განცალკევებულ ეროვნულ ძალებს არ გავაერთიანებთ, არ გავერთიანდებით ქვეყნის სიყვარულით, ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, და ტრაგედია ერისა!

რატომ ჩაგრავს „მეგრული თხილი“ „დარჩელის თხილს“ და რატომ ეწინააღმდეგება საკუთარ თავს სამინისტრო?!

პაატა კოღუაშვილი,
პროფესორი, სსმმა აკადემიკოსი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში, 2015 წელს გაიხსნა კოოპერაციული ტიპის თხილის გადამმუშავებელი საწარმო, რომლის დაფინანსება განხორციელდა სახელმწიფო სახსრებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეუწყების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების სააგენტოს მიერ**. ეს საწარმო გადაეცა კოოპერატივ „დარჩელის თხილს“ 5 წლიანი გამოსყიდვის უფლებით. კოოპერატივ **„დარჩელის თხილში“** გაერთიანებულია დარჩელის თითქმის მთელი მოსახლეობა და ამ ეტაპზე მისი წევრების რაოდენობა 500-ზე მეტია.

მიმდინარე წელს იგივე სოფელ დარჩელში, შპს **„მეგრულმა თხილმა“** გახსნა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი თხილის საშრობი და შემნახველი საწარმო, სადაც წლიურად 1000 ტონა თხილის გარჩევა, გაშრობა და დასაწყობებაა შესაძლებელი. **ეს კომპანია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეუწყების, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ბენეფიციარია**. საწარმოში ჯამურად განხორციელდა 862,440 ლარის ინვესტიცია, აქედან 344,976 ლარი გრანტია, ხოლო 116,528 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. კომპანიამ ასევე მიიღო AgriGeorgia/Ferrero-სა და USAID- ის „საქართველოს თხილის სექტორის განვითარების პროექტის“ (G-HIP) ფინანსური მხარდაჭერა. დაგეგმილია, რომ ეს შპს „მეგრული თხილიც“, კოოპერატივი „დარჩელის თხილის“ ანალოგიურად, ყოველწლიურად მიიღებს და გადაამუშავებს დაახლოებით 500 ფერმერის მიერ წარმოებულ თხილს.

ფაქტიურად, სახელმწიფოს და კონკრეტულად გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ერთი და იგივე სოფელში მოხდა ორი საკმაოდ მაღალი სიმძლავრის საწარმოს დაფინანსება და რაც მთავარია, ორივე საწარმო ორიენტირებულია თხილის მიღებაზე არანაკლებ 500 პირიდან, ანუ ორივემ ცალ-ცალკე უნდა მოიცვას დარჩელის მთელი მოსახლეობა და მიმდებარე სოფლებიც. თუ შპს **„მეგრული თხილი“** არ ჩაიბარებს თხილს დარჩელის მოსახლეობიდან, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია და თხილის შესყიდვას გეგმავს სხვა სოფლებიდან, მაშინ, რატომ გახდა აუცილებელი ამ საწარმოს დაარსება დარჩელში და არა რომელიმე სხვა სოფელში?

ფაქტიურად სახელმწიფომ თავისივე დაფინანსებულ კოოპერატივ „დარჩელის თხილს“ იმავე სოფელში გაუჩინა ისეთი სიმძლავრის კონკურენტი, რომლის წარმატებული საქმიანობის შემთხვევაში, კოოპერატივი „დარჩელის თხილი“ აუცილებლად დადგება სამეურნეო საქმიანობის პარალიზების და საბოლოო ჯამში გარდაუვალი კრახის წინაშე.

აღსანიშნავია ისიც, რომ კოოპერატივ **„დარჩელს თხილს“** თხილის გადამმუშავებელი საწარმო გადაეცა არა გრანტის სახით, არამედ შემდგომი გამოსყიდვის უფლებით, რაც იმას ნიშნავს, რომ კოოპერატივის წარუმატებელი საქმიანობის შემთხვევაში იგი ვერ შეძლებს საწარმოს გამოსყიდვას და სახელმწიფოს მიადგება სერიოზული მატერიალური ზარალი.

ამის მიზეზი იქნება მხოლოდ და მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაუაზრებელი ან მიზანმიმართული დანაშაულებრივი ქმედებების შედეგი. აღსანიშნავია ისიც, რომ შპს **„მეგრული თხილის“** დაფინანსებაში, კოოპერატივი **„დარჩელის თხილისგან“** განსხვავებით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გრანტ-ელემენტს და მის კონკურენტუნარიანობას ასევე მნიშვნელოვნად ზრდის პროექტში ძლიერი ბრენდის AgriGeorgia/Ferrero-ს მონაწილეობა.

ლოგიკურად იბადება კითხვა: **რა მოსაზრებით მიიღო გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საბიუჯეტო სახსრებით, ერთი და იგივე ლოკაციის სანედლეულო ბაზაზე, ორი ერთმანეთის კონკურენტი საწარმოს დაფინანსებაზე ყოვლად გაუმართლებელი და აბსურდული გადაწყვეტილება?!**

გარდა ამისა, საკითხი ეხება კიდევ ერთ არანაკლებ მნიშვნელოვან გარემოებას, რაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი, კოოპერაციული პროცესის მიმართ აშკარად არაადექვატურ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

საქმე იმაშია, რომ კოოპერატივი **„დარჩელის თხილის“** საწარმოს შექმნამ იმედი გაუჩინა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამოსყიდვის შემდეგ ისინი მიიღებდნენ შემოსავლებს არა თხილის ჩაბარებით შუამავალი პირების და შპს-ების ნაკარნახევი დაბალი ფასებით, არამედ შეძლებდნენ თხილის გადამუშავებას საკუთარ კოოპერაციულ საწარმოში და გაცილებით მაღალი შემოსავლის მიღებას, რადგან გარჩეული და გადამუშავებული თხილი გაიყიდებოდა მაშინ, როდესაც მასზე გაზრდილი მოთხოვნის გამო გასაყიდი ფასი იქნებოდა გაცილებით მაღალი.

სწორედ ამ მიდგომების საფუძველზე შეიქმნა კოოპერატივი **„დარჩელის თხილის“** კოოპერაციული საწარმო, სადაც სახელმწიფო სახსრების განთავსება განხორციელდა მიზანმიმართულად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობის სწორად გააზრებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ამის შემდეგ იმავე სოფელში შპს-ს ტიპის საწარმოში საბიუჯეტო სახსრების განთავსება და ამით კოოპერაციული საწარმოს არსებობის მაღალი რისკის ქვეშ დაყენება, ამ სამინისტროს არსებული ხელმძღვანელობის ყოვლად გაუმართლებელი და არაადექვატური ხედვების შედეგია.

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ რა თქმა უნდა შპს-ს, როგორც ორგანიზაციულ ფორმას თავისი ადგილი გააჩნია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, სწორედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი წარმოადგენს ქართული სოფლის მოსახლეობის ინკლუზიური სამეწარმეო განვითარების ეფექტურ მექანიზმს და შესაბამისად, ამ პროცესის მიმართ არაადექვატური დამოკიდებულება და ამ კუთხით მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების იგნორირება აუცილებლად შექმნის სერიოზულ პრობლემებს რაც ნეგატიურად აისახება საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი ეკონომიკური განვითარების მასშტაბური ღონისძიებების შედეგებზე.

კომუნიკაციური კავშირები და გადაწყვეტილება საქართველოს საჯარო სექტორში

რეზიუმე

საჯარო ორგანიზაციების წარმატება დამოკიდებულია მართვის ხარისხზე, ამ პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია მართვის ყველა ფუნქციის როლი, მათ შორის, ხელმძღვანელის მიერ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპერატიულობა და სიზუსტე, სწორად შერჩეული დრო და სივრცე. მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს მართვის დამაკავშირებელი ფუნქცია-კომუნიკაციური პროცესი, რომელიც საჯარო ორგანიზაციებში ნელი და მოუქნელია, საჯარო მოხელეთა მხრიდან სუბორდინაციის დაცვის ვალდებულება აფერხებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ მონაწილეობას.

სტატიის მიზანია, ყურადღება გაამახვილოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში კომუნიკაციური კავშირების როლზე, შეისწავლოს და გაანალიზოს ამ მიმართულებით არსებული პრობლემები და შეიმუშაოს მათი ეფექტურად მოგვარების გზები.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაცია, მენეჯერი, კომუნიკაცია, გადაწყვეტილება.

COMMUNICATIONS CONNECTIONS AND DECISION IN THE GEORGIAN PUBLIC SECTOR

Keso Sumbadze
Tsu doctorant

RESUME

Success of the public entities depends on a quality of management. In this process, all managerial functions, including the efficiency and accuracy of the leader's executive decisions, and correctly chosen time and space, are equally important. Effectiveness of the adopted decisions is influenced by the management connecting function – communicative process which is slow and inflexible in the public entities, while The obligation to protect subordination by the public servants, hinders their participation in the decision-making process.

The Article is aimed at paying attention to the role of communicative contacts in the decision-making process, research and analyze the roblems existinmg in thos field and develop the wauys of their effective resolving

Key words: Entity; Manager; Communication; Decision

ქართულ რეალობაში მენეჯერის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობა ძალიან დიდია. იგი, ვალდებულია დაიცვას კანონით განსაზღვრული ყველა პროცედურა, უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა და თანამშრომელთა ჩართულობა. გარდა ამისა, არეგულიროს სამუშაო პროცესი და თანამშრომელთა მოტივაცია, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვროს ძირითადი ამოცანები და დასახოს მისი განხორციელების გზები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოიცავს პრობლემის არსებობას, რომელიც მოითხოვს დეტალურ იდენტიფიკაციას. (Cornescu, V., Marinescu, P., Curteanu, D., Toma, S. 2004) გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა მოძებნოს ყველა შესაძლებლობა მის მოსაგვარებლად, ყურადღება გაამახვილოს ეფექტზე და არა მიზეზზე. (Adair., J. 2007) გადაწყვეტილების მიღებამდე, მენეჯერმა უნდა გაიაროს სხვადასხვა ეტაპი, მათ შორის: - **1. პრობლემის განსაზღვრა (აღიარება); 2. ალტერნატიული გადაწყვეტილების შეფასება; 3. სასურველი ორიენტაციის (კურსის) არჩევა; 4. შესაბამისი ქმედებების განხორციელება და 5. შედეგების შეფასება.**

გადაწყვეტილება ეფექტიანია, თუ ის დადებითი შედეგების მომტანია. გადაწყვეტილების შედეგიანობას განაპირობებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგრიცაა: - **კომუნიკაცია, ინფორმაცია, მენეჯერთა და**

თანამშრომელთა კვალიფიკაცია, სწორად შერჩეული ალტერნატივები და სწრაფი მოქმედება. გადაწყვეტილებამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: - ორგანიზაციას მოუტანოს სასურველი შედეგი, გამოიწვიოს თანამშრომელთა კმაყოფილება და მოითხოვოს მინიმალური დანახარჯი.

საჯარო სექტორში, კომუნიკაციური პროცესები ხშირად კონფლიქტის წარმოშობის მიზეზია, რაც თავის მხრივ, ხელს უშლის ორგანიზაციების ეფექტიან ფუნქციონირებას. ეფექტური გადაწყვეტილების მიღებისთვის კომუნიკაცია გადამწყვეტია. (Schermerhorn, R. J.. et. al 2002) მენეჯერმა კომუნიკაციური პროცესები შესაძლოა გამოიყენოს, როგორც სისტემური მეთოდი ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლისთვის, ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესებისა და (Gulua., E&Kharadze., N. 2018) დროის დაზოგისთვის. (Robbins S. P., &Coulter., M. 2012) კომუნიკაციის შეუფერხებლად წარმართვისთვის სასურველია, დაცულ იქნეს მოქმედებათა შემდეგი თანმიმდევრობა: - **1) იდეის ჩასახვა; 2) იდეის კოდირება; 3) გადასაცემი არხის შერჩევა და ინფორმაციის გადაცემა და 4) მიღებული ინფორმაციის დეკოდირება.**

კომუნიკაციის პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით აუცილებელია მენეჯერთან ერთად თანამშრომლებმაც იგრძნონ პასუხისმგებლობა და მაქსიმალური მონდომებით მოახდინონ პროცესში ჩართვა. **საჭიროა გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებდეს საკითხის შესახებ ინფორმაციის მოსმენა, დისკუსია და საერთო ინტერესების გამოკვეთა, რომელიც თანხვედრაში იქნება ორგანიზაციის მიზანთან.** ეფექტიანი და ადექვატური გადაწყვეტილებები თანამშრომელთა მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია

(TenBrook., K.&Gregorio,G. 2010) მრავალი ორგანიზაცია უკვე წარმატებით იყენებს ერთობლივ გადაწყვეტილებებს, რომელშიც მთავარი როლი კომუნიკაციას უკავია, პროცესში ჩართული ადამიანები ერთმანეთთან დაბრკოლებების გარეშე ურთიერთობენ. ერთობლივი გადაწყვეტილებები პოზიტიურად აისახება თანამშრომელთა ურთიერთობასა და კომუნიკაციაზე. თანამშრომლებს ხელი მიუწვდებათ ნებისმიერ ინფორმაციაზე, შეუფერხებლად უკავშირდებიან ერთმანეთს და საკითხებს ერთობლივად განიხილავენ.

იმისთვის, რომ გაგვეგო თუ რა ვითარებაა ჩვენი ქვეყნის საჯარო სივრცეში, კომუნიკაციური პროცესების განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების კუთხით ჩავატარეთ კვლევა საქართველოში მოქმედ ყველა სამინისტროში. კვლევა ჩატარდა აღწერით–ანალიტიკური მეთოდოლოგიით, გამოიკითხა 365 მენეჯერი, მათ შორის - 225 ქვედა, 136 - საშუალო და 2 - ზედა რგოლის მენეჯერი. კვლევაში მონაწილე მენეჯერთა 58% შეადგენს მამაკაცებს, ხოლო დარჩენილი 42% ქალებს. გამოკითხულ მენეჯერთა ასაკობრივი სტრუქტურა კი ასე გამოიყურება (იხ.გრაფ.N1).

რაც შეეხება მენეჯერთა სამუშაო გამოცდილებას, მონაცემები ასე ნაწილდება (იხ.გრაფ.N2).

როგორც გრაფიკიდან ჩანს, კვლევაში მონაწილეობა მენეჯერთა ყველაზე დიდ რაოდენობას 35% აქვს ხუთიდან ათ წლამდე მუშაობის გამოცდილება ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობას 1% –ს 25 წელზე მეტი.



გრაფიკი N1



გრაფიკი N2

ანკეტური და ელექტრონული გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დამუშავდა spss-ის პროგრამაში. ჩატარდა: სიხშირული, აღწერითი, კროსტაბულაციური, დისპერსიული (ANOVA), ფაქტორული, რეგრესიული და კორელაციური ანალიზი, ასევე გამოითვალა კორელაციის კოეფიციენტი და კრონბახის ალფა, გაანალიზდა t-ტესტები. კვლევის ძირითადი დასკვნები გაკეთდა სწორედ სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე.

კვლევის შედეგად კომუნიკაციური პროცესებისადმი გამოვლინდა მკვეთრად განსხვავებული დამოკიდებულებები, სქესის, ასაკის, სამუშაო გამოცდილების და მენეჯერული დონეების მიხედვით.

კვლევის შედეგად, კომუნიკაციური პროცესების მიმართ, გამოვლინდა სქესთა შორის განსხვავება. **ქალ მენეჯერთა დამოკიდებულება ბევრად დადებითია, ვიდრე - მამაკაცთა. ინფორმაციის გაცვლის პროცესში ღია კომუნიკაციურ კავშირებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ქალთა 97% მაშინ, როცა მამაკაცთა მხოლოდ 86% აქვს იგივე დამოკიდებულება. გამოკითხულ ქალთა 81% მიიჩნევს, რომ კომუნიკაციური პროცესების სიხშირეს და მრავალფეროვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციის ეფექტიანობისთვის, ამ მოსაზრებას ეთანხმება მამაკაცთა შედარებით ნაკლები რაოდენობა - 72%.**

განსხვავებული დამოკიდებულება ფიქსირდება ორგანიზაციაში შეცდომების დაშვების მიზეზთა ძებნაშიც - **ქალ მენეჯერთა 85% აცხადებს, რომ თანამშრომლებთან თავისუფალი კომუნიკაციური ურთიერთობები აადვილებს ყოველდღიური ამოცანების შესრულებას, ამცირებს ორგანიზაციაში შეცდომის დაშვებისა და არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკს, აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმება გამოკითხულ მამაკაცთა 75%, არ ეთანხმება 15%, ხოლო კითხვაზე პასუხი არ აქვს 10%–ს. რაც შეეხება სამუშაო შეხვედრებს და**

ჯგუფურ დისკუსიებს, ამ საკითხებთან მიმართებაში სქესთა შორის განსხვავება თითქმის არ ფიქსირდება და ორივე სქესის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სამუშაო შეხვედრები ხელს უწყობს შემოქმედებით აზროვნებას, ინფორმაციის გაცვლას და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას.

გაირკვა, რომ სამუშაო გამოცდილების მიხედვით, მენეჯერთა შეხედულებები და მოქმედებაც განსხვავებულია. კითხვებზე ადექვატური პასუხის გაცემა გაუჭირდათ იმ მენეჯერებს, რომელთაც აქვთ ათ წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება. მენეჯერთა 34%-ს პროფესიული განუვითარებლობის პრობლემა აქვს, უჭირს სხარტად აზროვნება და კითხვებზე პასუხის გაცემა. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თანამშრომელთა კომუნიკაციურ ჩართულობას მხარს უჭერს მენეჯერთა ის ჯგუფი, რომელსაც აქვს ერთიდან ხუთ წლამდე მუშაობის გამოცდილება, ხოლო ყველაზე ცუდ, უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს მენეჯერთა ის კატეგორია, რომელსაც აქვს ხუთიდან ათ წლამდე მუშაობის გამოცდილება.

კვლევის მნიშვნელოვან აღმოჩენად შეგვიძლია ჩავთვალოთ ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, სამუშაო გამოცდილების ზრდასთან ერთად მენეჯერის მოტივაცია სუსტდება, ხელი შეუწყოს თანამშრომელთა შორის კომუნიკაციური პროცესების განვითარებას და პირიქით, ცდილობს შეამციროს თანამშრომელთა კომუნიკაციური ჩართულობის დონე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ კატეგორიის მენეჯერთა 27% ფიქრობს, რომ კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები ხელს უშლის გადაწყვეტილების დეცენტრალიზაციას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კომუნიკაციის საშუალებები, კომუნიკაციის მეთოდები, მენეჯერისა და თანამშრომლის კომუნიკაციური უნარები და კომუნიკაციური კავშირები მჭიდრო კავშირშია გადაწყვეტილებასთან.

კომუნიკაციის საშუალებებს აქვს უდიდესი გავლენა წარმატებული კომუნიკაციური კავშირების ჩამოყალიბებისა და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებისთვის. მენეჯერები კომუნიკაციისას იყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა სატელეფონო საუბრები, წერილები, ინტერნეტი, იმეილი, ინტრანეტი, კომუნიკატორი, სკაიპი, ვაიბერი და სხვ. კომუნიკაციის ეფექტურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინტერნეტ კომუნიკაციის სიხშირე და მრავალფეროვნება, თუმცა სამინისტროებში არსებული კომუნიკაციური ტექნოლოგიები არაეფექტიანია.

კვლევის შედეგად გამოვლინდა დაგვიანებული გადაწყვეტილებების პრობლემა. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ქვედა დონის მენეჯერს უფლება არ აქვს დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პრობლემა და ამყარებს იერარქიულ კომუნიკაციას. რიგითი თანამშრომელი პრობლემის შესახებ ინფორმაციას აწვდის ქვედა დონის მენეჯერს, ქვედა დონის მენეჯერი საშუალო დონის მენეჯერს, ხოლო ეს უკანასკნელი ზედა დონის მენეჯერს, არცერთი მათგანი ზედა დონის მენეჯერის გარდა დამოუკიდებელი არ გახლავთ გადაწყვეტილებებში, შესაბამისად, პროცესის ესკალაცია საკმაოდ დიდ დროს საჭიროებს და ხშირ შემთხვევაში რეაგირება დაგვიანებულია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ხარვეზი წლების განმავლობაში საფუძვლიანად დამკვიდრებული პრაქტიკაა, ამას ემატება მენეჯერის დამოუკიდებლად მოქმედების შიშიც. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვანია ნებისმიერ საჯარო მოხელეს საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში გააჩნდეს მოქმედების და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ჩაკეტილი კომუნიკაციური პროცესები. იგი ხელს უშლის თანამშრომელთა შორის დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, იზრდება ემოციური სტრესის დონე და მცირდება მოტივაცია. არაეფექტური კომუნიკაცია ზრდის შეცდომების დაშვების და არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკს. კომუნიკაციურ პროცესს აფერხებს მენეჯერთა და თანამშრომელთა კომუნიკაციური უნარების დეფიციტი. ხშირია უსარგებლო შეხვედრები, სადაც მონაწილეებს ერთმანეთის არ ესმით შესაბამისად, გაურკვეველია კომუნიკაციის მიზანი და შედეგიც არაეფექტიანია. მენეჯერები მიიჩნევენ, რომ თანამშრომელებს არ შესწევთ ძალა, რათა სწორად შეარჩიონ დრო კომუნიკაციისთვის, ასევე მოისმინონ, გაიზარონ და გაითვალისწინონ ხელმძღვანელის მითითებები.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამშრომელთა კომუნიკაციური ჩართულობის დონე დაბალია. თანამშრომლები ვერ ბედავენ უშუალოდ ხელმძღვანელთან შეკამათებას, საკუთარი იდეის პრინციპულად დაცვას, გაურკვევლობის არსებობისას, კითხვების დასმას და დეტალებში გარკვევას. კონფლიქტები და გაზრდილი ემოციური სტრესი ხელს უშლის კომუნიკაციური კავშირების გაძლიერებას, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს გადაწყვეტილების ეფექტიანობას. ასეთ ვითარებაში, თანამშრომლებთან დისკუსიის ნაცვლად მენეჯერთა გარკვეული ნაწილი, პრობლემის მოსაგვარებლად, შეხვედრებს მართავს საშუალო და ქვედა დონის მენეჯერებთან, სადაც განიხილავს სხვადასხვა მოსაზრებებს და ისე იღებს გადაწყვეტილებებს.

კონფლიქტური სიტუაციების არსებობისას, მენეჯერი ვერ ახერხებს მის მოგვარებას და ზედმეტი განხილვების გარეშე, იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს. ასეთმა ქმედებამ, შესაძლოა, სიტუაცია მკვეთრად გაართულოს, რადგან აუცილებელია, კონფლიქტის მიზეზში გარკვევა, მხარეთა შეხედულებების და მოსაზრებების მოსმენა, ჯგუფური დისკუსიისა და ინდივიდუალური საუბრების ფონზე პრობლემის მოგვარება.

მნიშვნელოვანია მენეჯერთა მხრიდან შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

❖ **ორგანიზაციაში შეიქმნას ეფექტიანი კორპორატიული გარემო, სადაც თანამშრომლები თავისუფლად შეძლებენ იდეების გენერატორებად გადაქცევას. თანაბარ პირობებში მიეცეს ყველას შესაძლებლობა - გამოიყენოს საინფორმაციო რესურსები, მათ შორის, ელ-ფოსტა, ინტერნეტი და სხვა სპეციალური პროგრამები. კომუნიკაციის საშუალებების თავისუფლად გამოყენება გაზრდის თანამშრომელთა შორის კომუ-**



ნიკაციური კავშირების ეფექტიანობას, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება გადაწყვეტილებებზე.

❖ რთულ სიტუაციებში ხელმძღვანელმა პირმა ხელი შეუწყოს პირდაპირი შეხვედრების ორგანიზებას. აღნიშნული მეთოდი თანამშრომლებს მისცემს დამატებით შესაძლებლობას ერთმანეთში გაცვალონ ინფორმაცია, მიიღონ უკუკავშირი და ერთობლივი გადაწყვეტილებები.

❖ გაიზარდოს მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის განხორციელებულ ურთიერთობებში ნდობის ხარისხი. თანამშრომლები რაც უფრო მეტად ენდობიან მას, მით უფრო ადვილად გვარდება პრობლემები. მნიშვნელოვანია მენეჯერმა თანამშრომლებს შორის ჩამოაყალიბოს ერთსულოვნება, ასევე ყურადღება უნდა გაამახვილოს არავერბალურ ელემენტებზე, სამუშაო დროზე და სხვა ფაქტორებზე რომლებიც გავლენას ახდენენ შეტყობინების ელემენტებზე.

❖ მენეჯერმა ხელი შეუწყოს დაღმავალი კომუნიკაციის გაუმჯობესებას, ნდობის და ერთგულების ამაღლებას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საჯარო სექტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, აქტიური რეფორმების პარალელურად გარემო ცვალებადია, გაზრდილია რისკთა რაოდენობა, შესაბამისად, წარმატებისთვის მენეჯერის ოპერატიული და ზუსტი მოქმედება გადამწყვეტია, რასაც იგი ვერ შეძლებს მოუწესრიგებელი კომუნიკაციური პროცესებით და არაეფექტური გადაწყვეტილებებით. კომუნიკაციური კავშირების გაძლიერების მიზნით აუცილებელია მენეჯმენტმა გაზარდოს კომპეტენტურ თანამშრომელთა კომუნიკაციური ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იზრუნოს როგორც საკუთარი, ისე თანამშრომლების კომუნიკაციური უნარების გაუმჯობესებასა და კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებაზე. მყარი კომუნიკაციური კავშირები უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფალ გაცვლას, პრობლემის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის მოძიებას და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებას.

კესო სუმბაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adair, John (2007) ,,Decision Msking & problem Solving Strategies“, USA, hoganpage limited;.
2. Cornescu, V., Marinescu, P., Curteanu, D., Toma, S. (2004) ,,Management: de la teorie la practică, Editura Universității din București.;
3. Gulua, Ekaterine; Kharadze, Natalia (2018) Organization Culture Management Challenges. European Journal of Interdisciplinar Studies, 67-79.;
4. Kharadze, Natalia; Gulua, Ekaterine; Duglaze, Davit. (2017). Free-Time Management among Master’s Degree Students of Georgia. ICSS XXIII, (pp. 24-33). Vienna.;
5. Nelson, Bob and Economy, Peter (2005) ‘The Management Bible’ Hoboken, New Jersey, USA.;
6. Robbins Stephen P., Coulter Mary (2012) – “Management”; eleventh edition, p. 151.;
7. Schermerhorn, R. John et al (2002) ‘Organizational Behavior (7TH edition)’ USA.;
8. TenBrook, K., De Gregorio, G. (2010) Decision Innovation, Inc. 2010 eBook – Decision.

ფინანსური ბაზარის საკრედიტო ინსტრუმენტების ეფექტური მართვის ამოცანები

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში საბაზრო გარდაქმნების წარმატებით განხორციელების და ეკონომიკაში არსებული გამოწვევების დაძლევის საქმეში მთავარი ინსტრუმენტია ფინანსები, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას და რომელიც დაკავშირებულია ფულადი საშუალებების ფორმირება-განაწილებასა და გამოყენებასთან.

საქართველოში უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებისგან განსხვავებით საფინანსო სისტემა ძირითადად ბანკებზეა დაფუძნებული. საფონდო ბირჟის საქმიანობა მინიმუმამდეა დასული, ხოლო ფასიანი ქაღალდების ბაზარი ვერ ასრულებს ფულადი რესურსის მოზიდვის მექანაზმის ფუნქციას. ძირითად როლს კაპიტალის მოზიდვის საქმეში და შინამეურნეობების დანაზოგების ფორმირებაში ასრულებენ ბანკები.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ბანკების ძირითადი ფუნქცია დაკრედიტების ფონდის ფორმირება და ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის უზნველყოფაა. შესაბამისად ქვეყნის განვითარება ეკონომიკური თვალსაზრისით დამოკიდებულია ინვესტიციების გადიდებაზე. მათ შეწევთ უნარი რესურსების ეფექტური განაწილებით დააჩქარონ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

სა ბანკო სექტორის განვითარებაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად იგი სათანადოდ ვერ პასუხობს საბანკო სისტემის მართვის თანამედროვე გამოწვევებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სტაბილურ განვითარებაზე. ბანკების მოქნილი საკრედიტო პოლიტიკა უნდა პასუხებდეს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის, უმუშევრობის შემცირების და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანებს.

საქართველოში საბანკო სისტემის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მათ ჰქონდათ შეზღუდული ფინანსური რესურსები და ინვესტიციები. ამ პერიოდის განმავლობაში

ეკონომიკა ნელი ტემპებით ვითარდებოდა, ხოლო ნდობა ბანკების მიმართ იყო დაბალი.

საქართველოს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების განვითარებამ, ბანკების კონცენტრაციამ და ფინანსური სექტორის ინტეგრაციამ განაპირობა ბანკების რაოდენიბის შემცირება. 2000 წელს 1994 წელთან შედარებით კომერციული ბანკების რაოდენობა 10 ჯერ, 300 ერთეულიდან 30 - მდე შემცირდა.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სექტორში 16 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა. ამასთან გაიზარდა მოსახლეობის საბანკო მომსახურების სერვისის მოცულობა, რაზეც ნათლად მიუთითებს კომერციული ბანკების ფილიალების და სერვის ცენტრების ზრდა. 2017 წლის ბოლოსათვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა 134 საბანკო ფილიალი და 847 ერთეული-სერვის ცენტრი, 8 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, 75 მიკროსაფინანსო დაწესებულება, ერთი საბანკო ბირჟა, 16 სადაზღვევო კომპანია და 3 საპენსიო სქემა.

ეკონომიკაში და სახელმწიფო მართველობაში გატარებული რეფორმების შედეგად გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ლიბერალიზაციის მიმართულებით. კომერციულ ბანკებში უცხოური ინვესტიციების ნაკადები და აქტივები მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაძლიერდა ბანკების როლი ქვეყნის ეკონომიკაში და ამაღლდა ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლები. მოსახლეობაში გაჩნდა ნდობა ბანკების მიმართ, რაც გამოიხატა ანაბრებისა და დეპოზიტების მნიშვნელოვან ზრდაში. დეპზიტების მოცულობამ 2017 წლის ბოლოს 19.7 მილიარდ ლარს მიაღწია.

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომერციული ბანკების შემოსავლებმა შეადგინა 3580 ათასი ლარი. შემოსავლების სტრუქტურაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საპროცენტო შემოსავლების წილი 2014 წელს 60 პროცენტიდან თითქმის 90 პროცენტამდე 2017 წელს.

ბანკების შემცირებასთან ერთად შეიცვალა მათი ფინანსური სტრუქტურა და საკრედიტო პორთფელი. 2017 წელს საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ლარში გაცემული სესხების მოცულობა 2.6 მილიარდი ლარით (39 პროცენტით), ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 190 მილიონო დოლარით (4 პოცენტით) გაიზარდა.

ლარში გაცემული სესხების ნაზარდიდან 828 მილიონი ლარი სამომხმარებლო სესხებზე მოდის. კომერციული ბანკების მიერ სულ 2018 წლის პირველი იანვრისთვის გაცემული სესხების მოცულობამ (ბანკთაშორისი სესხების გამოკლებით) შეადგინა 21897 ათასი ლარი.

ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობა 2010 – 2016 წლებში 2.5 ჯერ 5,9 მილიარდი ლარიდან 15.2 მილიარდ ლარამდე გაიზარდა. ეკონომიკის დაკრედიტების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდას არ გამოუწვევია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები ქვეყნის ეკონომიკაში არსებული პრობლემების შემსუბუქების, განსაკუთრებით უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირების მიმართულებით.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების სტრუქტურაში ვაჭრობასა და და მრეწველობაზე მოდის სესხების ნახევრზე მეტი.

2016 წელს დაფიქსირებული 2.4 პროცენტიანი რეალური ზრდის შემდეგ, უმსხვილესი დარგის, ვაჭრობის

ცხრილი 1: საკრედიტო პორთფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) სტრუქტურა სეგმენტების მიხედვით

პროდუქტი	დეკ-16		დეკ-17		ცვლილება %
	მლნ.ლარი	წილი %	მლნ.ლარი	წილი %	
კორპორატიული სესხები	6,508	34%	6,934	31%	7%
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	3,992	21%	5,246	23%	31%
საცალო სესხები	8,402	44%	10,370	46%	23%
სულ:	18,902	100%	22,550	100%	19%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის www.nbg.ge

ზრდის ტემპმა 2017 წელს 6.6 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული სექტორის მაღალი ზრდის ტემპი მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისთვის, რამდენადაც ამ დარგში დასაქმებულია კერძო სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი ჯგუფი.

ბოლო პერიოდში ეროვნული ბანკმა გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა, რაც შინამეურნეობებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების ზრდაზე აისახა, ხოლო იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების პროცენტები პრაქტიკულად არ შეცვლილა. კერძოდ, საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა შინამეურნეობების როგორც იპოთეკურ, ასევე სამომხმარებლო სესხებზე: 2017 წლის ბოლოსთვის, საპროცენტო განაკვეთებმა იპოთეკურ სესხებზე წლიურად 2.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სამომხმარებლო სესხებზე - 4.0 პროცენტული პუნქტით მოიმატა

2017 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 22.3 მილიარდ ლარს მიაღწია და გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე მისი წლიური ზრდა 19.2 პროცენტი იყო. დაკრედიტების კუთხით, 2016 წელთან შედარებით, 2017 წელი საბანკო სისტემისთვის გაზრდილი აქტივობით გამოირჩეოდა.

2017 წელს საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობა სეგმენტების ჭრილში მცირედით შეიცვალა, რაც საცალო სეგმენტისა და მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების წილის ზრდით გამოიხატა (იხ. ცხრ N1).

2016 – 2017 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის 31 პროცენტიანი ზრდის მიუხედავად საკრედიტო პორთფელის სტუქტურაში ყველაზე დაბალი წილით წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნესი იგი საცალო სესხების დაფინანსების მოცულობას ორჯერ ჩამორჩება.

2016 2017 წლებში საცალო პროდუქტებში ზრდის მთავარი მამოძრავებელი იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები იყო. მათი წილი საცალო პროდუქტების საკრედიტო პორტფელის 80 პროცენტს აღემატება. (ცხრილი 2).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ბოლო ათწლეულში ჩამოყალიბებული, ჩვენი აზრით არასახარბიელო ტენდენცია, შიდა და გარე ფინანსური რესურსების კონცენტრაცია სამშენებლო, უძრავი ქონების და ვაჭრო-

ცხრილი 2. საცალო პროდუქტების სტრუქტურა და ზრდის დინამიკა 2016 – 2017 წლებში.

პროდუქტი	დეკ - 2016		დეკ - 2017		ცვლილება, %	ცვლილება, მლნ ლარი	ცვლილება, % რეკლასიფიკ.
	მლნ ლარი	წილი, %	მლნ ლარი	წილი, %			
საცალო პროდუქტები	7 770	100%	9 550	100%	23%	1 780	24%
ავტო–სესხები	77	1%	80	1%	3%	2	3%
სამომხმარებლო სესხები	3 320	43%	3 949	41%	19%	629	22%
მომენტალური განვადება	405	5%	591	6%	46%	185	43%
ოვერდრაფტები	62	1%	67	1%	8%	5	8%
საკრედიტო ბარათები	490	6%	578	6%	18%	88	18%
სესხები ბინის რემონტისათვის	317	4%	384	4%	21%	67	21%
იპოთეკური სესხები	3903	40%	3903	41%	26%	803	27%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის www.nbg.ge

ბის სექტორზე. საბანკო კრედიტების კონცენტრაცია სამშენებლო ბიზნესზე და უძრავი ქონებაზე ძირითადად უკავშირდება სამომხმარებლო აქტივებს, მაშინ როდესაც ჩვენი აზრით პრიორიორიტეტული იქნებოდა მნიშვნელოვანი საინვესტიციო აქტივების მიმართვა ეკონომიკის სხვა, უფრო მწარმოებლურ სექტორებზე.

ამასთანავე, ბანკები ახდენენ რა სავაჭრო სექტორის სტიმულირებას, იზრდება სამომხმარებლო სეგმენტის დაკრედიტება, რაც აისახა იმპორტის მოცულობის მკვეთრ ზრდაზე, ეს კი, ხელს უწყობს ინფლაციურ პროცესებს და ქმნის საკრედიტო ვალდებულებების უზრუნველყოფის პრობლემას.

ასეთი საკრედიტო პოლიტიკა ერთის მხრივ პოზიტიურად მოქმედებს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე, მაგრამ მეორე მხრივ, იგი ნაკლებად უკავშირდება მდგრადი ეკონომიკური ზრდის ეკონომიკურ შინაარს და ხელს არ უწყობს ქვეყანაში სოციალური პრობლებლემების შემსუბუქებას, უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებას.

საცალო სეგმენტის მაღალი ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებზე ბანკების მიერ კრედიტის გაცემის პირობების შემსუბუქებამ. თუმცა სესხის მომსახურების ტვირთი თითოეულ მსესხებელზე არ შემცირებულა. მაღალი საპროცენტო განაკვეთები და კრედიტის მოკლე ვადიანობა და მაღალი საგირავნო მოთხოვნები რათქმა უნდა ხელს არ უწყობს ეკონომიკის განვითარებას და მძიმე სოციალური ფონის შემსუბუქებას. . ვადიანობის ზრდა, მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში არაეფექტურია, რადგან ვადიანობის მიუხედავად ყოველთვიურ შენატანში დიდია და არ იცვლება პროცენტის წილი, ხოლო ძირი თანხა უმნიშვნელოდ მცირდება. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების შემცირება სასურველია არა მარტო ეკონომიკური განვითარებისთვის, არამედ აუცილებელი წინაპირობაა ბანკების კაპიტალიზაციის შემდგომი ზრდის მისაღწევად.

საპროცენტო განაკვეთის შემცირების ერთ-ერთ გზად შეიძლება განვიხილოთ ცენტრალური ბანკის, როგორც ეროვნული ვალუტის მიმწოდებელი და მისი ღირებულების უზრუნველმყოფი ინსტიტუტის მიზანმიმართული გამოყენება. საკითხი ეხება რეფინანსირების ვადეებსა და საპროცენტო განაკვეთებს.

მიზანშეწონლად მიგვაჩნია განხილულ იქნას რეფინანსირების სესხის მკაცრად განსაზღვრული პირობებით გაცემის შესაძლებლობა. კერძოდ, უნდა განისაზღვროს ეკონომიკის მწარმოებლურ სექტორზე და მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული კრედიტის ღირებულების ზედა ზღვარი.

კრედიტის მიზნობრიობა უნდა იყოს ეკონომიკის რეალური სექტორის და მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება. კრედიტი უნდა გაიცეს არანაკლებ ერთი წლის ვადით და მხოლოდ მიზნობრივად.

მეორე მნიშნელოვანი საკითხია ფინანსური რესურსების გრძელვადიანობის პრობლემაა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება კომერციულ ბანკებში განთავსებული ანაბრებისა და დეპოზიტების მოკლევადიანობაში, რომელის საშუალოვადიანობის მაჩვენებელი არ აღემატება 1.6 წელს. თავის მხრივ გრძელვადიანი რესურსების დეფიციტი განაპირობებს ბანკების მაღალ რისკდამოკიდებულებას განახორციელონ გრძელვადიანი დაკრედიტება ლარში, პირველ რიგში სამეწარმეო სექტორში. მხოლოდ საბრუნავი საშუალებების დაფინანსება, რომელიც დიდწილად მოკლევადიანია, არ არის საკმარისი ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის.

. ფინანსური რესურსების ვადინობასან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების მიმართულებით მნიშვნელოვანია დაგროვებითი საპენსიო რეფორმა, რომლის განხორციელება გათვალისწინებულია 2019 წლიდან. ეს ერთი მხრივ, გაზრდის სოციალურ დაცულობას მერე მხრივ, ქვეყანაში ბუნებრივად მოხდება დანაზოგების დონის ზრდა და საკრედიტო ბაზრის გრძელვადიანი ლარის რესურსით უზრუნველყოფა. ეს კი გამოიწვევს ვალდებულებების ხარჯების შემცირებას და პირდაპირ გავლენას იქონიებს ქვეყნის რისკის შემცირებაზე, გააუმჯობესებს საკრედიტო რეიტინგებს და ხელს შეუწყობს როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი რესურსის გაიაფებას. იაფიანი საკრედიტო რესურსი ბანკებს საშუალებას მისცემს უზრუნველყონ ეკონომიკის იაფი დაკრედიტების მოცულობა.

ეკონომიკური სისტემის სტაბილური განვითარესის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაღალგანვითარებული საბანკო სექტორი, მაგრამ ეკონომიკაში არსებული გამოწვევების დაძლევისთვის აუცილებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური ბაზრის სხვა საკრედიტო ინსტრუმენტებისა და საფონდო ინდუსტრიის სრულფასოვანი განვითარება.

ზურა ჟღენტი

ANNOTATION

The main supplier of financial resources in the credit market in the country is the commercial banks. Despite significant reforms in banking sector in the last decade, the banking sector is in the process of forming and regulating credit resource and interest rates.

In addition to the fact that credit is hard to take as the interest rates are high compared to the world's advanced developed countries. This does not in turn help the business development of the country.

There are recommendations in the work about the direction of increasing credit availability and decrease of interest rates. It is expedient to consider the credit policy of commercial banks on the Economics manufacturer sector.

საბანკო ყულფი და დასაღუპავად განწირული ქვეყანა!

ნასყიდა დარგუაშვილი
ეკონომიკის დოქტორი

ამტკიცებენ, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა თვითრეგულირებადი სისტემაა. მე პირადად ასე არ მივიჩნევ. თვითრეგულირებადი სისტემა (თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა) ვერ არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსს, როგორიცაა: „სამუშაო ძალა“ ანუ ადამიანის დასაქმებას თავისი სპეციალობისა და პროფესიის მიხედვით. **აღსანიშნავია, რომ სამუშაო ძალა ეს ისეთი რესურსია, რომელიც თუ დღეს არ გამოიყენე, სამუდამოდ იკარგება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ის რაც დღეს შეუძლია ადამიანმა გააკეთოს და არ გააკეთა, დღევანდელი შესაძლებლობა სამუდამოდ იკარგება.**

სახელმწიფოთა უმრავლესობაში, სადაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკაა, **მაღალი დონის უმუშევრობის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს - ამის გამო მცირდება შობადობა, შიმშილისა და უწამლობის გამო იზრდება ეპიდემიები და მასიური სიკვდილიანობა, ხშირია მოსახლეობის ფენებს შორის დაპირისპირება, კონფლიქტები, ომები და ა.შ.**

ამ ყველაფრის გათვალისწინებთ, თუ „თავისუფალი“ საბაზრო ეკონომიკა ყველაფერს თვითონ არეგულირებს. მაშინ ლოგიკურად ისმება კითხვა: **რა სხვაობაა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას და სტიქიას, ან ქაოსს შორის?**

მცირე ერებისთვის, როგორიც ჩვენ ვართ, ასეთი ეკონომიკა დამღუპველია - მეტიც, მოსპობით გვემუქრება!

აქსიომაა, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისგან განსხვავებით, გეგმიური ეკონომიკის დროს ყველა დასაქმებული იყო. ვიცი, ახლა ლიბერალები გამაკრიტიკებენ: **„მაშინ იძულებით ამუშავებდნენ“, „მუშას არაფერს უხდიდნენ“, „ის საბჭოთა რეჟიმი იყო“, „კომუნისტები ფაშისტები იყვნენ“** და ა.შ. მე ამ ყველაფერზე განსხვავებული მოსაზრებები მაქვს. კი ბატონო, ის იყო ძალადობრივი, ფაშისტური რეჟიმი. მაგრამ იმ ძალადობრივი, ფაშისტური რეჟიმის პირობებში, სადაც მუშას თითქმის მინიმალურს უხდიდნენ, ცხოვრებას, არსებობას და გამრავლებას ყველა ახერხებდა - არავის კვებისა და სამედიცინო მომსახურების მიღების პრობლემა არ ჰქონდა - იმ „ფაშისტური რეჟიმის“ პერიოდში საქართველოს მოსახლეობა 3-ჯერ გაიზარდა.

ამ რეჟიმში ადამიანს თავისუფლად შეეძლო განვითარება, ნებისმიერი განათლების, ნებისმიერ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება და ა.შ., რაც ანვითარებდა ადამიანს, ფიზიკურად, კულტურულად და ინტელექტუალურად.

ბუნებრივად ისმება კითხვა: **ამ ყველაფერს, გვაძლევს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა?**

რა თქმა უნდა, არა! **იქ, სადაც ადამიანი უმუშავარია, შემოსავლების გარეშეა დარჩენილი, სისტემა ამას უშვებს და არანაირ სხვა ალტერნატივას ან კომპენსაციას არ სთავაზობს, ყველაფერ დანარჩენზე საუბარი ზედმეტია და უაზრობაა**(ლიბერალებმა ჯერ მოიფიქრონ, როგორ შეიძლება ლიბერალური „ღირებულებების“ პირობებში თვითოეული ადამიანის არსებობა და განვითარება და მერე ვიდაოთ!).

ლიბერალების გასაგონად ვიტყვი: ყველაფერზე დაგეთანხმებით თუ თქვენს მიერ მოფიქრებულ მოდელში, თუ სისტემაში თითოეული ადამიანი თავისუფლად შეძლებს არსებობას, გამრავლებას და განვითარებას. მანამ **„ლიბერალური ეკონომიკა“ამ პრობლემებს არ წყვეტს, ჩემთვის ასეთი ეკონომიკა ვიღაცის ხელში ქვეყნის ნგრევის და მოსახლეობის გაჟლეტვის იარაღია და სხვა არაფერი!**

ლიბერალები თავის დემაგოგიური ფილოსოფიის შესაბამისად გვეტყვიან, რომ ადამიანს თავისუფალი არჩევანი აქვს და თვითონ განსაზღვრავს და აყალიბებს თავის ყოფას და მომავალს.

კი, მაგრამ, როგორ?!

ყველა ადამიანი არაა დაჯილდოებული ბიზნესის კეთების ნიჭით. ამას, ნიჭის გარდა, სპეციალური უნარ-ჩვევები და თავისებური ალღოც ჭირდება. სამუშაო ადგილები კი რამდენჯერმე უფრო ნაკლებია, ვიდრე, სამუშაო ძალა. დიახ, სამუშაო ადგილები რაიმე კანონზომიერებით და ეკონომიკური თეორიით არ იქმნება და არც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, „უხილავი ხელი“, არეგულირებს სამუშაო ადგილების რაოდენობას შრომისუნარიან ადამიანთა რიცხვის მიხედვით.

მასიური უმუშავრეობის პირობებში, უმუშევრად და საარსებო სახსრების გარეშე დარჩენილი ადამიანები თავის გადასარჩენად სპონტანურად, ყოველგვარი გათვლებისაა და საჭირო პირობების გარეშე, იწყებენ

„ბიზნესის“ კეთებას, რომელიც იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ამართლებს. ასეთ ვითარებაში ადამიანი განწირულია და მისი ფიზიკური მოსპობა მხოლოდ დროის ფაქტორია!

რაც ყველაზე მთავარია, აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი მოდელებია თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა, სადაც ყველაფერი დამყარებულია დიდ ფულზე და ამ ფულის მფლობელებზე და დემოკრატია, ანუ ხალხის მმართველობაა. ხალხის ინტერესებშია კარგად იცხოვროს და უკეთესი ცხოვრება მიიღოს. ასეთ გარანტიებს თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა არ იძლევა. ამიტომაცაა შეუთავსებელი დემოკრატია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა.

ამ სტატიის მიზანი არ არის პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელების განხილვა და ერთმანეთთან შედარება. ეს შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ ამ სტატიაში საჩოთირო თემის განხილვის დროს მკითხველმა კარგად დაინახოს, რომ **უმძიმესი პრობლემები, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა იმყოფება, გამოწვეულია არსებული ეკონომიკური მოდელით და ამ მოდელში ჩაურევლობის პრინციპის გამო. დიახ, ხშირად ჩაურევლობა დანაშაულიც კია, თუმცა, ხელისუფალნი ამ ჩაურევლობას და დანაშაულებრივ მძიმე შედეგებს „თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის“ პრინციპებით ხსნიან.**

სტატიაში, არ ვაპირებ საუბარს ეკონომიკურ მოდელებზე და მათ ავკარგიანობაზე. ამ საუბარი მექნება ისეთი უდიდესი მნიშვნელობის ეკონომოკურ ფენომენზე, როგორიცაა **„მოგება“**.სამწუხაროდ ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს პრაქტიკულად არ ექცევა არანაირი ყურადღება. ეკონომიკურ ლიტერატურაში მოგება, როგორც ეკონომიკის განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორი, ცალკე არ განიხილება. ხშირ შემთხვევაში კი, საერთოდ არ განიხილება.

მოგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკაში. სწორედ მოგებაა ის ლოკომოტივი, რაც მთელ ეკონომიკას ეწევა. ეკონომიკური საქმიანობის მთავარი მიზანი კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობაში მოგების მიღებაა.

სოციალისტურ-გეგმიურ ეკონომიკაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს მოგებას. გაფართოებული კვლავწარმოების პროცესი (ეკონომიკის განვითარება) შეუძლებელია მოგების გარეშე. ძირითადში, სწორედ მოგებით ხერხდებოდა სოციალიზმის პირობებში მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტების (უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასოდ საცხოვრებელი ბინების გადაცემა და ა.შ.) დაფინანსება.

რატომ აკოტრებს საზოგადოებას ზემაღალი მოგება?!

მოგება თავისებური „ამორტიზატორია“, რომელიც თავის თავზე იღებს ნებისმიერი სახის ეკონომიკურ რყევებს, იმისდა მიუხედავად, თუ რით არის გამოწვეული ეს რყევები. როდესაც „ეკონომიკური ამორტიზატორი“ - მოგება, რყევებს ვეღარ უძლებს, მთელი ეკონომიკის ჩამოშლა და ნგრევა ხდება. მოგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მიკროეკონომიკურ (წარმოების და კომპანიის), ისე მაკროეკონოიკურ (მთლიანი ეკონომიკის) დონეზე.

მოგების მნიშვნელობაზე და მის დადებით თავისებურებებზე ბევრი შეიძლემა ვისაუბროთ. მოგებას დადებითთან ერთად გააჩნია დიდი უარყოფიი თავისებურებებიც, რაც დამანგრეველად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე, სოციალურ მდგომარეობაზე და საერთოდ ქვეყანაზე. თუ საზოგადოების და ხელისუფლების მხრიდან მოგების უარყოფით თავისებურებებს დროულად არ მიექცა ყურადღება, ქვეყანაში უკიდურესად მძიმე მდგომარეობა იქმნება და ქვეყანა ისეთ ჩიხში შედის, საიდანაც გამოსავლის პოვნა და ქვეყნის ამ ჩიხიდან გამოყვანა, უკიდურესად რთულია.

დიახ, უკონტროლო მოგება მთლიანად ანგრევს ქვეყნის არსებობის საფუძვლებს!

ბევრი ეკონომისტი იფიქრებს, რომ ზედმეტად ვა-



მუქებ ვითარებას და არაფრისგან ტრაგიკულ სურათს ვქმნი, სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. **მაღალი მოგება უფრო დიდ საფრთხეებს უქმნის ქვეყანას, ვიდრე, ნებისმიერი მტრულად განწყობილი ქვეყანა. დიდი მოგებისადმი საზოგადოების და ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობის შედეგად შეიძლება დავკარგოთ მოსახლეობის დიდი ნაწილი, ქეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.**

მაღალი მოგება, ქვეყნის შეძლებულ, მდიდარ მოსახლეობას მუდმივად ამდიდრებს, ღარიბ მოსახლეობას კი მუდმივად აღარიბებს. **მაღალი მოგების პირობებში პრაქტიკულად მიმდინარეობს მოსახლეობის «ძარცვა», რის შედეგადაც მოსახლეობის ერთი მცირე ნაწილი მდიდრდება, სხვათა გაღარიბების ხარჯზე და ამ ძარცვას და მძარცველებს კანონი კი არ სჯის, პირიქით იცავს.**

ადამიანს, რომელსაც ფული აქვს, რა მნიშვნელობა აქვს: ქურდი პარავს, ყაჩაღი დააყაჩააღებს, თუ ამ ფულს გადაიხდის მაღაზიაში - იქ, სადაც 10 ლარი უნდა გადაიხადოს ნომალური ხელისუფლების და კანონის პირობებში, იხდის 30-40 ლარს და მეტსაც. ესაა კანონით დაშვებული ძარცვა, დაყაჩაღება, რაც ვითომ დემოკრატიის და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით მართლდება. სინამდვილეში კი ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის მართვის უუნარობის, ან მიზანმიმართული დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია!

მაღალი მოგება ამცირებს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსაც (მშპ-ს).

თუ მაგალითად ორ ქვეყანაში მშპ 20 მილიარდი დოლარია და ერთ ქვეყანაში საშუალო მოგება 20 %-ია, მეორეში კი 100 %, პირველ ქვეყანაში რეალური მშპ 16 მილიარდი დოლარია, მეორეში მხოლოდ 10 მილიარდი დოლარი. პირველ ქვეყანაში ცხოვრების დონე, ერთნაირი მშპ-ს პირობებში, 1,6-ჯერ მაღალია, ვიდრე მეორე ქვეყანაში იგივე მშპ-ს პირობებში. საქართველოში მოგება 40-50 %-ზე მეტია, ხშირ შემთხვევებში იგი 100 %-ს აღემატება და ჩვენ ქვეყანაში დაფიქსირდა შემთხვევები როდესაც მოგებამ 10 000-ზე მეტი პროცენტი შეადგინა.

კიდევ უფრო ტრაგიკულია ქვეყანაში მდგომარეობა, როცა ქვეყნის ბანკები მუშაობენ ზემაღალ მოგებაზე.

როცა ბანკები ზემაღალ მოგებაზე მუშაობენ, ფული განსაკუთრებით ძვირდება (კრედიტზე ძალიან დიდი პროცენტია). ძვირი ფულით შეუძლებელი ხდება იაფი პროდუქციის წარმოება და მწარმოებლები იძულებულნი ხდებიან გაზარდონ ფასები, რის შედეგადაც ადგილობრივი პროდუქცია არაკონკურენტუნარიანი ხდება, არა მხოლოდ უცხოეთის ბაზრებზე, რის შედეგადაც პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ექსპორტი, არამედ, ადგილობრივი პროდუქციას კონკურენტუნარიანობა დაკარგული აქვს ადგილობრივ, შიდა ბაზარზე და კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ პროდუქციას.

ბანკებში დღეს არსებული ვითარება აბსოლუტურად სპობს ეკონომიკის განვითარების და ადგილობრივი რეალური პროდუქტის შექმნის შესაძლებლობას. ეს ვითარება განაპირობებებს იმას, რომ ადგილობრივი რეალური პროდუქტის შემქმნელი კომპანიები ძალიან მალე კოტრდებიან. ასეთი ვითარება თავის მხრივ განაპირობებს იმას, რომ ბანკები ეკონომიკის რეალურ სექტორს ფულს არ აძლევენ, ან თუ აძლევს მყარი, კაპიტალური ქონების უზრუნველყოფით. საბოლოოდ ბანკების ზემაღალი მოგების გამო მწარმოებელი კომპანიები კოტრდებიან და დამატებითი კაპიტალის მიღების მაგივრად, იმ ქონებასაც კარგავენ, რაც გააჩნდათ და ბანკებში ჩადეს.

როცა ფულის პირდაპირ გაყიდვას (კრედიტში გაცემას) უფრო დიდი მოგება მოაქვს, ვიდრე, ამ ფულით შექმნილი რეალური პროდუქტის წარმოებას, ასეთ შემთხვევაში ფული რეალურ პროდუქციას არ ქმნის და პირდაპირ ფულის სახით იყიდება.ამიტომაც არის, რომ ქვეყანაში სოკოებივითაა გამრავლებული ბანკები და მათი ფილიალები, მიკროსაფინანსო ფირმები და მათი ფილიალები, ლომბარდები, კერძო მევახშეები და ა. შ.

საქართველოში ბანკების და მიკროსაფინანსოების დისკონტირებული მოგება 40-50 პროცენტს აღემატება. ეგრეთწოდებული სწრაფი სესხების შემთხვევაში კი დისკონტირებული მოგება 80-100 პროცენტზე მეტია. ხოლო, ჯარიმებსა და სანქციებს თუ გავითვალისწინებთ, რომელიც საკრედიტო პროცენტზე რამდენჯერმე უფრო მეტია, ბანკების წლიური მოგება ასტრონომიულ ციფრებში იზომება.

ბანკების ზემაღალი მოგების პირობებში ქვეყანაში არსებული მთლიანი ფულის მასა ძალიან სწრაფად ხდება ბანკების საკუთრება. ქვეყანაში ფული არსებობს, მაგრამ ის კომერციული ბანკების საკუთრებაა და არა სახელმწიფო - საზოგადოებისა.

თუ მაგალითად ბანკების ხელში ქვეყნის ფულის მასის 10 პროცენტია და ბანკების წლიური დისკონტირებული მოგება 100 პროცენტს აღემატება, ქვეყნის მთლიანი ფული 3-4 წელიწადში ბანკების კონტროლის ქვეშ ექცევა. ასეთ შემთხვევაში ბანკებმა ან მათმა მესვეურებმა რომ მოინდომონ, ფულის ბრუნვიდან ამოღებით (ამოღებული ფულის ბანკში გაჩერებით) 1 წელიწადში პარალიზებას გაუკეთებენ ქვეყნის მთელ ეკონომიკას და თუ დასჭირდათ, პრაქტიკულად ქვეყნის განადგურება და ფიზიკური მოსპობაც შეუძლიათ. ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი ქვეყნები იძულებულები არიან დააკმაყოფილონ ბანკების პირობები და მოთხოვნები.

როდესაც ქვეყნის მთლიანი ფულის მასა რამდენიმე კომერციული ბანკის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ნებისმიერი სუბიექტის (იურიდიული და ფიზიკური პირის)ხელში არსებული ფული ან პირდაპირ (უშუალოდ ამ პირის მიერ) ან ირიბად (სხვის) ბანკის მიერ გაცემულ კრედიტს წარმოადგენს და მისი, ბანკის კუთვნილებაა. ასეთ ვითარებაში როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები, ბანკების პირდაპირი გავლენის ქვეშ ექცევიან და მათი არსებობა, ცხოვრება და განვითარება მთლიანად ბანკებზე და მათ კრედიტებზეა დამოკიდებული.

როცა მთელი ფული ბანკების ხელშია, პრაქტიკულად ქვეყანაში იქმნება ვითარება: **თუ არსებობა გინდა, იყიდე ბანკისგან ფული (აიღე ბანკის კრედიტი). პრაქტიკულად მოსახლეობას აიძულებენ გაცილებით უფრო ძვირად შეიძინონ ფული და გარკვეული დროით სარგებლობისთვის 2-3-ჯერ მეტი გადაიხადონ აღებულ ფულთან შედარებით. რა თქმა უნდა, ასეთი დროს არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში ყველაფერში, რასაც ადამიანი ყიდულობს ბევრად მეტს იხდის, ვიდრე უნდა გადაიხადოს.**

არსებულ ვითარებაში რომ უკეთ გავერკვეთ მოვიყვანოთ თვალსაჩინო მაგალითი დაუშვათ ვინმე „ავანტურისტი", რაც ქვეყანაში პური გამოდის მთლიანად იძენს, მერე კი ამ პურს ორმაგ და სამმაგ ფასში ყიდის მოსახლეობას. კანონით ეს მოქმედება ბიზნესია და თავისუფალი თვითრეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებით დაშვებულია. მოსახლეობის მდგომარეობა კი ასეთი ავანტურის დროს მნიშვნელოვნად ძვირდება და უარესდება. ზუსტათ იგივეს აკეთებენ ზემაღალ მოგებაზე მომუშავე ბანკები ფულის შემთხვევაში და ამაში ხელისუფლება თავისი ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკით აქტიურად ეხმარება და მხარს უჭერს!

ბანკების ზემაღალი მოგების პირობებში, როცა ქვეყნის მთლიანი ფულის მასა მთლიანად კომერციული ბანკების კონტროლის ქვეშაა, ნებისმიერი ოდენობის ფულის მასის ემისია სწრაფად ექცევა კომერციული ბანკების კონტროლის ქვეშ. კომერციული ბანკების კონტროლის ქვეშ ექცევა ქვეყანაში არსებული უცხოური ვალუტის მთლიანი ან უდიდესი ნაწილი. უძრავი ქონება და ქვეყნის სხვა ეკონომიკური აქტივები.

ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელის პირობებში, ქვეყნის ეკონომიკაზე ზემოქმედება მხოლოდ ფულის მასის რეგულირებით შეიძლება. როდესაც ქვეყანაში არსებულ მთლიან ფულის მასას რამდენიმე კომერციული ბანკი აკონტროლებს, ეკონომიკის მონეტარული განვითარების მოდელის პირობებში ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები მთლიანადაა დამოკიდებული კომერციულ ბანკებზე. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები კი დიდადაა დამოკიდებული კომერციულ ბანკებზე, ამაში სულ მალე დავრწმუნდებით.

ბანკების ზემაღალი მოგება რამდენჯერმე აძვირებს პროდუქციას. დავუშვათ, რომ პროდუქციის დამზადებაში და რეალიზაციაში, ანუ საბოლოო მომხმარებლამდე მიტანაში 4 სუბიექტი მონაწილეობს. დავუშვათ ქვეყანაში კრედიტზე დისკონტირებული მოგება 50%-ს შეადგენს. ისიც დაუშვათ რომ ოთხივე სუბიექტი საქმიანობას აწარმოებს ბანკიდან აღებული კრედიტებით, რეალურად ასეც ხდება. ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობს მომპოვებელი, ანუ ის ვინც ქმნის ან მოიპოვებს ნედლეულს, მწარმოებელი, დისტრიბუტორი და რეალიზატორი. დაუშვათ რომ მომპოვებელს ნედლეულის მოპოვება 10 ლარი დაუჯდა რომელიც ბანკის კრედიტითაა გადახდილი, მაშინ, მომპოვებელს ნედლეულის მოპოვება 15 ლარი დაუჯდება ბანკის პროცენტის გათვალისწინებით, გადასახადებს და მოგებას თუ გავითვალისწინებთ, მომპოვებელს სარეალიზაციო ფასი ბევრად მეტი გამოუვა, მაგრამ მოდით ექსპერიმენტი გავამარტივოთ და შრომის ანაზღაურება, მოგება და გადასახადები სარეალიზაციო ფასში არ ჩავთვალოთ. ამ შემთხვევაში მარტო საბანკო კრედიტების გამო საბოლოო სარეალიზაციო ფასი იქნება 50,63 - (10*1,54) ლარი. სარეალიზაციო ფასი 5-ჯერ მეტია ვიდრე თავდაპირველი საწყისი ფასი. ამ ფასში ნახევარი ბანკის მოგებაა.

იმის გამო, რომ ექსპერიმენტში მიმდინარე პროცესები რთულია და ამავე დროს მნიშვნელოვანი, დაწვრილებით განვიხილოთ ეს ექსპერიმენტი. პირველი სუბიექტი ბანკიდან ვალს იღებს ნედლეულის შესაქმნელად, რაც საქონლის ერთეულზე 10 ლარს შეადგენს, ბანკის პროცენტიც, რომ დავამატოთ საქონლის გსაყიდი ფასი 15 ლარი იქნება. მწარმოებელი ფირმა ნედლეულის შესაძენად ბანკიდან ერთეულ პროდუქტზე 15 ლარს იღებს, საქონლის რეალიზაციას 22,5 ლარად ახდენს მესამე ფირმა 22,5 ლარ კრედიტს იღებს და 33,75 ლარად ყიდის და ბოლოს მეოთხე ფირმა 33,75 ლარს კრედიტს იღებს და ბანკის კრედიტის პროცენტის გათვალისწინებით 50,63 ლარად ყიდის.

როცა ბანკების დისკონტირებული წლიური მოგება 30 პროცენტია, იგივე პროდუქტი, იგივე პირობებით თითქმის 3-ჯერ ძვირდება!

ახლა ვნახოთ რა ეღირებოდა იგივე პროდუქტი, იგივე პირობებით, როცა საბანკო კრედიტის წლიური პროცენტი 5 პროცენტია. ასეთ შემთხვევაში სარეალიზაციო ფასი იქნება 12,16 (10*1,054) ლარი. ამ შემთხვევაში ბანკის პროცენტი უმნიშვნელოდ 1,22 ჯერ აძვირებს პროდუქტს.

როგორც ვხედავთ, ბანკის ზემაღალი მოგება 5-ჯერ და მეტად აძვირებს პროდუქციის ღირებულებას.

რეალურად, პროდუქციის შექმნის ღირებულებას ემატება შრომის ანაზღაურება, მოგება, გადასახადები და ეს ყველაფერი ბანკის კრედიტის ქვეშ ექცევა, ამასთან ერთად საქონლის შექმნაში შეიძლება მონაწილეობდეს არა ოთხი, არამედ, მრავალი ფირმა, ასე რომ, ბანკების ზემაღალი მოგების გამო საქონლის ფასი მრავალჯერ შეიძლება გაიზარდოს!

ანალოგიური მდგომარეობაა საქონლის იმპორტით შემოტანის პირობებში, თუმცა, ამ შემთხვევაში ეკონომიკურ პროცესში მხოლოდ 3 სუბიექტი მონაწილეობს: იმპორტიორი, დისტრიბუტორი და რეალიზატორი. იმპორტის შემთხვევაში ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა მუდმივია და აქედან გამომდინარე, იმპორტული საქონლის გაძვირებაც, ადგილობრივთან შედარებით ზღვრული იქნება.

ეკონომისტებმა კარგად იციან, რომ რამდენჯერაც ბაზარზე საქონელი ძვირდება, ზუსტად იმდენჯერ უარესდება ცხოვრების დონე. ძნელი გასაგები არ არის, რომ ეკონომიკის განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონე მთლიანადაა დამოკიდებული ბანკის კრედიტის სიძვირეზე.

ბანკების ზემაღალი მოგების პირობებში ადგილო-



ბრივი პროდუქცია აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანი ხდება, როგორც უცხოეთის, ისე ადგილობრივ ბაზრებზე. უფრო მეტიც არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში შეუძლებელია ეკონომიკის განვითარება, ქვეყნის განვითარება და საერთოდ რაიმე წარმატება.

არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა სრული კრახით დასრულდება. წარმატებას შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ მათ, ვისაც გარკვეული ფინანსები გააჩნია, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, როცა ქვეყანაში არსებული ფულის მასას მთლიანად ბანკები აკონტროლებენ და ისინი ზემაღალ მოგებაზე მუშაობენ. ასეთ ვითარებაში განვითარებას ახერხებენ მხოლოდ უცხოური ინვისტიციებით შექმნილი კომპანიები ან საქართველოს ის მოქალაქეები, ვინც დიდი ფული უკანონო გზებით ან უცხოეთში იშოვა.

ბანკების სიხარბისა და მათი მესვეურების გამდიდრების დაუოკებელი სურვილის გამო სრულიად კნინდება კრედიტის, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ფაქტორის და დაგროვების, როგორც ფულის უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მნიშვნელობა.

არ დავიწყებ ეკონომიკის განვითარებაში დაგროვების უდიდესი როლის მნიშვნელობაზე საუბარს, ეს მოცემული თემის ფარგლებს სცდება. მხოლოდ ზოგადად შევეხებით კრედიტების, ამ უდიდესი ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობას, ეკონომიკისა და ქვეყნის განვითარებაში.

რა მნიშვნელობა აქვს კრედიტებს ეკონომიკაში და ქვეყნის განვითარებაში?

კრედიტების არარსებობის შემთხვევაში ადამიანმა რომ ბიზნესი დაიწყოს, წლების განმავლობაში ფული უნდა აგროვოს. ბიზნესის დაწყების შემდეგ მის გაფართოებას ასევვე დაჭირდება მრავალი წლის განმავლობაში თანხების დაგროვება. კრედიტის არარსებობის შემთხვევაში ბიზნესის წარმოება შეუძლია მხოლოდ იმათ, ვინც მემკვიდრეობით მიიღო ქონება ან ბიზნესი.

სხვა ვითარებაა კრედიტის არსებობის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში ბიზნესის დაწყება დროის დაკარგვის გარეშე შეიძლება და ბიზნესიდან მიღებული შემოსავლებიდან თანდათან მოხდება კრედიტის ძითითადი თანხის და პროცენტის გასტუმრება.

კრედიტი, ნორმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემთხვევაში, საშუალებას აძლევს ნიჭიერ და ინიციატივიან ადამიანებს, ვისაც საინტერესო პროექტები და იდეები აქვთ და არა აქვთ შესაბამისი თანხები, არ დაკარგონ ხანგრძლივი დრო, აიღონ კრედიტი და განახორციელონ თავიაანთი იდეები და პროექტები. ამ შემთხვევაში თვითოეულ ადამიანს თანაბარი განვითარების და თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება აქვს. სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საშუალებას იძლევა ინიციატივიანი და მცოდნე ადამიანები ჩაერთონ ეკონომიკურ პროცესებში, რაც თავის მხრივ ანვითარებს ქვეყნას.

სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემთხვევაში ბანკების მეშვეობით ხდება თავისუფალი თანხების მობილიზება და მისი ეფექტურად გამოყენება.

კრედიტებს ასევე იყენებენ ფიზიკური პირები ცხოვრების პირობების მოსაწყობად. მაგალითად, ფიზიკურმა პირმა შეიძლება ფული რამდენიმე წელი დააგროვოს და იყიდოს მაცივარი. ფიზიკურ პირს ასევე შეუძლია არ დაელოდოს ფულის დაგროვებას, შეიძინოს მაცივარი, ხოლო შემდგომ შემოსავლებიდან თანდათან გადაიხადოს. სწორი საკრედიტო სისტემა საშუალებას აძლევს ადამიანს მყისიერად მიიღოს მრავალი სიკეთე, მაგალითად, ბინა, იცხოვროს ამ ბინაში და თანდათან იხადოს ბინის ღირებულება.

სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ერთის მხრივ, ზრდის ეკონომიკურ აქტივობას და ხელს უწყობს ახალი ბიზნესების განვითარებას და არსებულის გაფართოებას. ამასთან ერთად, ხელს უწყობს მოსახლეობის გარკვეული ფენების მსყიდველობითი უნარის ზრდას ეს ყველაფერი მხოლოდ დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

სხვა ვითარებაა, როცა ქვეყანაში ტარდება არასწორი, ხშირად დანაშაულებრივი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ასეთ დროს კრედიტები ეკონომიკას კი არ ანვითარებს, პირიქით, ანგრევს და ყველაფერს ანადგურებს!

სახელმწიფოს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო, კრედიტების, ეკონომიკის განვითარების ამ უმ-

ნიშვნელოვანესი ფაქტორის, მიმართ ჩამოყალიბდა საშინელი უარყოფითი დამოკიდებულება. ითვლება, რომ თუ კრედიტს აიღებს ადამიანი, თუ ფირმა ან კომპანია, ღუპავს თავის თავს და ბიზნესსაც!

არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის გამო კრედიტი, როგორც ქვეყნის შენების უძლიერესი ინსტრუმენტი, ქვეყნის ნგრევისთვის გამოიყენება.

ასეთ მძიმე და სახიფათო ვითარებას ქმნიან ბანკები და მაღალი მოგება, რომელიც მათ გააჩნიათ. ზოგადად თუ გავაანალიზებთ შემდეგ სურათს ვღებულობთ: **თუ ქვეყანაში ბანკები 0,5-3,0 პროცენტი წლიური მოგებით მუშაობენ, როგორც ეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია, ბანკების მხრიდან არანაირი საფრთხე არ არსებობს და რეგულირება არ სჭირდება. თუ მოგება 5-7 პროცენტია საფრთხე ექმნება ეკონომიკურ განვითარების ტემპებს. 10-15 პროცენტის დროს ეკონომიკა არ ვითარდება და შეიძლება მუდმივ სტაგნაციურ მდგომარეობაში იყოს. ზემაღალი მოგების დროს კი ეკონომიკა ნადგურდება და საფრთხე ქვეყნის და მისი მოსახლეობის ფიზიკურ არსებობას ექმნება.**

რა როლი მიუძღვის ხელისუფლებას ბანკების მხრიდან ხალხის გაყვლეფაში?!



საქართველოში, მთელი ქვეყანა ბანკების ვალებშია „გახვეული“. ხელისუფლების არასწორი, გაუაზრებელი, აბსოლუტურად გაუთვლელი და წინდაუხედავი ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამო, ქვეყნის მთელი მოსახლეობა ბანკების „ურდოებს“ ქვეშ „გმინავს“. ხელისუფლების დანაშაულებრივი ეკონომიკური პოლიტიკის გამო, ფაქტიურად ბანკებმა დაიპყრეს ქვეყანა და უმოწყალოდ არბევენ და ძარცვავენ მას.

მაღალი საპროცენტო განაკვეთის და დიდი მოგების გამო, საქართველოს მთელი მოსახლეობა კოლოსალურ ხარკს უხდის ბანკებს. ზუსტად ისევე, როგორც მომხდურ მტერს უხდის ქვეყანა დაპყრობის შემდეგ. საქართველოში დღეს არსებული ვითარება კიდევ უფრო უარესია. მომხდური მტერი, თუ სასტიკი არ არის იმდენს მაინც უტოვებს მოსახლეობას, რომ თავისუფლად იარსებოს, კვლავ შექმნას დოვლათი, რომლის ნაწილსაც ხარკის სახით შემდგომში წაიღებს.

დღევანდელი დამპყრობელი გაცილებით უფრო საშიში და სასტიკია, მოსახლეობას ისე ძარცვავს და აყაჩაღებს, რომ არ უტოვებს არანაირი არსებობის საშუალებას, არ ინდობს არავის და არაფერს. ქვეყანა არასწორი (დანაშაულებრივი) ეკონომიკური პოლიტიკის გამო, სწრაფი სიჩქარით მიექანება დიდი კატასტროფისკენ.

ამბობენ: **„ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სულელები კი საკუთარზეც არაო“**, ზუსტად, ასე ხდება ხშირად ჩვენ ქვეყანაში. არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამო უახლოეს წარსულში ჩვენ ერთხელ უკვე განვიცადეთ დიდი ეკონომიკური კატასტროფა, როცა გასული საუკუნის 90-იან წლებში ბანკების კრედიტზე წლიური საპროცენტო განაკვეთი 300-360 პროცენტს აღემატებოდა, ხოლო დისკონტირებული მოგება 400-500 პროცენტზე მეტი იყო. ეს პერიოდი არავის ნორმალურად არ გაუანალიზებია, დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა ხომ საერთოდ არ მომხდარა. პირიქით მაშინდელი დამნაშავეები, დღესაც დიდი „პატივითა და ღირსებით“ სარგებლობენ.

რა მოხდა სინამვილეში მე-20 საუკუნის 90-იან წლებში?!

არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამო ბანკების საპროცენტო განაკვეთმა კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია. გაკოტრდა ყველა ფირმა და კომპანია, ვისაც ბანკების კრედიტები ჰქონდა აღებული. მოსახლეობის ერთი ნაწილი მაღალი სარგებლის გამო უძრავ ქონებას ყიდდა და ბანკებში შეჰქონდა - ეგონათ, რომ ასეთი შემოსავლები უზრუნველყოფდა მათ „ბედნიერ“ ცხოვრებას. მეორე ნაწილი კი დამღუპველ კრედიტებს იღებდა და „ბიზნესს იწყებდა“ - ეგონათ, რომ მალე გამდიდრდებოდნენ. ყველას „სამოთხეში“ ცხოვრება მოუნდა.

ვინ მოიგო და ვინ წააგო?! ანუ, სახელმწიფო რეკეტის როლში!

ჯერ გაკოტრდნენ ისინი, ვისაც ბანკების კრედიტები ჰქონდა აღებული, შემდეგ შემოსავლების გარეშე

დარჩენილი ბანკები და ბოლოს ისინი, ვინც ბანკებში მაღალი სარგებლის მისაღებად ფული შეიტანა. „სამოთხის“ მაგივრად, ყველა ერთად აღმოჩნდა დიდ „ჭაობში“, საიდანაც ქვეყანამ დღემდეს ვერ დააღწია თავი. ყველა წაგებული დარჩა, უამრავმა ადამიანა კი ყველაფერი დაკარგა. წაგებული დარჩა ქვეყანა, შექმნილი უკიდურესად მძიმე, კატასტროფული ეკონომიკური მდგომარეობის გამო ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიები, 1,5 მილიონზე მეტი ადამიანი ქვეყნიდან აიყარა და უცხოეთში წავიდა საკუთარი თავის და ოჯახის გადასარჩენად. ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა კი ფიზიკურად შემცირდა 1,7 მილიონი კაცით. მოგებული დარჩა მხოლოდ თაღლითების მცირე ჯგუფი, რომლებმაც არსებული მდგომარეობით ისარგებლა და დიდი ფული იშოვა. ისინიც მხოლოდ იმიტომ დარჩნენ მოგებულები, რომ კანონი არ კანონობდა და ქვეყანა ქაოსმა მოიცვა!

ანალოგიური და კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა დღეს. მართალია ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავებულია და სწორედ ამიტომ არის უფრო მძიმე, ეკონომიკურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, ისეთივე შეცდომებია, როგორც მაშინ იყო. ეს პოლიტიკა ქვეყანას ანადგურებს და განვითარების არანაირ საშუალებას არ აძლევს.

ჯერჯერობით არსებული ფულად-საკრედტო პოლიტიკის შედეგად ფირმები და კომპანიები კოტრდებიან. ფიზიკური პირები კარგავენ ყველაფერს, თუ კიდევ რამე შერჩენიათ. ასეთი პოლიტიკით მომავალში, მალე ბანკებიც გაკოტრდებიან. ბოლო პერიოდში რამდენჯერმე იყო ბანკების გაკოტრების საფრთხე, მთავრობის დახმარებით და უცხოეთიდან მოზიდული კრედიტებით კრიზისები დროებით დაძლეულ იქნა. უმძიმესი იქნება მომავალი ეკონომიკური კოლაფსის შედეგები ქვეყნისთვის. მოგებულები კი კვლავ თაღლითთა მცირე ჯგუფი აღმოჩნდება, ვინც დღეს მოსახლეობის და ქვეყნის ძარცვა-დაყაჩაღების ხარჯზე მდიდრდება და კოლოსალურ მოგებას ნახულობს.

სწორედ იმიტომ, რომ წარსულის „გაკვეთილებს“ არ ვაანალიზებთ და დამნაშავეებს არ ვსჯით, კვლავ მიმდინარეობს დანაშაულებრივი ეკონომიკური პოლიტიკა და ქვეყნის ძარცვა განადგურება.

კანონი (და დღევანდელი ხელისუფლებაც) მოსახლეობას და ქვეყანას კი არ იცავს ყაჩაღი „ბიზნესმენებისგან“ და ბანკების აბსოლუტურად უკონტროლო თარეშისგან, პირიქით, ბანკებს იცავს ფისკალური მექანიზმებით, დიდ ფულსაც აკეთებინებს მათ და რაც შეუძლია, ხელსაც უწყობს ქვეყნის დანგრევაში.

მკითხველს გავახსენებ შემთხვევას, როდესაც დღევანდელმა მთავრობამ „სოფლის დახმარების“ პროგრამა გააკეთა. ფერმერებს ბანკიდან 16 პროცენტში აღებულ კრედიტის 10 პროცენტს ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო უფარავდა. ბანკები საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) 4 %-ში კრედიტებს იღებდნენ და ფერმერებზე 16 %-ში გასცემდნენ, სახელმწიფო ბიუჯეტი კი ბანკებს 16 პროცენტიდან 10 პროცენტს უფარავდა. დააკვირდით, რა ხდება ფაქტიურად - სახელმწიფო ბანკებს ფულს 4%-ად აძლევდა და მერე

10%-ში ყიდულობდა. ორი წლის შემდეგ კი, ბანკებთან „პირისპირ“ დარჩენილი ფერმერები კოტრდებოდნენ და იმასაც კარგავდნენ, რაც კრედიტის აღებამდე გააჩნდათ. რეალურად ეს დანაშაულია, არსებული კანონმდებლობა და ეკონომიკური პოლიტიკა კი ამის საშუალებას იძლევა. სწორედ ასეთი დაუფიქრებელი პოლიტიკის შედეგად იძარცვება და ნადგურდება ქვეყანა!

ბანკების მიერ გაცემული კრედიტები დღეისათვის 22,00 მილიარდ ლარს აჭარბებს. ნორმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში, საბანკო პროცენტი რომ 2-3 პროცენტი იყოს, ეს არც ისე საშიშია და ბევრად მეტიც შეიძლება იყოს ეს მხოლოდ უკეთესი იქნებოდა ქვეყნისთვის. მაგრამ, თუნდაც 30 პროცენტიანი დისკონტირებული მოგების შემთხვევაში ბანკები 6,6 მილიარდ ლარ დამატებით შემოსავალს ღებულობს, რაც რა თქმა უნდა აისახება ქვეყნის მშპ-ში.

დავაკვირდეთ რა ხდება: ქვეყნის მშპ-ში 6,6 მილია-

რდი, სხვა გათვლებით კი 10 მილიარდზე მეტი, ბანკების ზემაღალი მოგებით იქმნება, ანუ მშპ-ს დიდი ნაწილი არაფრისგან „ჰაერისგან“ იქმნება. ამიტომაც არის, რომ ეკონომიკური ზრდა მოსახლეობაზე არ აისახება!

პრაქტიკულად რა გამოდის? მოსახლეობა მასიურად იღებს ვალებს, (ბევრი მათგანი იძულებულია ეს გააკეთოს, ვინაიდან არსებობის და თავის გადარჩენის სხვა საშუალება არა აქვს) რის შედეგადაც მკვეთრად იზრდება ვალების მოცულობა, ბანკების ზემაღალი მოგება კი მკვეთრად ზრდის ბანკების დამატებით შემოსავლებს და ქვეყნის მშპ-ს. გამოდის, რომ არსებული ეკონომიკური პოლიტიკით ბანკები მდიდრდებიან, ქვეყნის მშპ იზრდება, მოსახლეობა კი ღარიბდება და უფრო მძიმე მდგომარეობაში ვარდება.

ქვეყანაში ჭარბვალიანობის პრობლემა კი არ არის, როგორც „გვიხატავენ“, ზე მაღალი მოგების და არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრობლემაა.

ბანკები არ კმარობენ ზემაღალ პროცენტში თანხების გაცემას და მცირედი დაგვიანების შემთხვევაშიც კი, ჯარიმას ახდევინებენ კლიენტებს. ვადაგადაცილებაზე ჯარიმის პროცენტი რამდენჯერმე აღემატება, ისედაც ძალიან დიდი საპროცენტო განაკვეთს, მისი მოცულობა თვეში 15 პროცენტზე მეტია. ნორმალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში ჯარიმის პროცენტი უმნიშვნელოდ აღემატება ძირითად პროცენტს.

ბანკების მესვეურების სიხარბე და გამდიდრების ავადმყოფური სურვილი არსებულ კანონსაც არაფრად აგდებს. ბანკები და მიკროსაფინანსები კლიენტებს ჯარიმას ახდევინებენ არა დამდგარი ვალდებულების თანხიდან, არამედ, ვალის მთლიანი თანხიდან და მისაღებ ჯარიმის თანხას მრავალჯერ ზრდიან.

ანუ, ადამიანი ჯარიმას იხდის იმ თანხაზე, რისი გადახდის ვალდებულებაც ჯერ არ დამდგარა. მაგალითად, თუ ადამიანს აღებული აქვს 2000 ლარი და მიმდინარე გადასახდელი თანხა შეადგენს 100 ლარს, თვიური ჯარიმა კი 15 პროცენტს შეადგენს. ერთი თვის დაგვიანების შემთხვევაში პროცენტისა და დამდგარი ვალდებულების დაგვიანების ჯარიმის სახით, ჯამში უნდა გადაიხადოს 115 ლარი. ბანკები კი ჯარიმას ახდევინებენ ძირითადი თანხიდან, ანუ 2000 ლარის 15 პროცენტს, პლიუს დამდგარ ვალდებულებას 100 ლარს. ესე, რომ კლიენტი იხდს არა 115 ლარს, არამედ 400 ლარს, ანუ 285 ლარით მეტს.

იმისათვის, რომ მკითხველმა კარგად წარმოიდგინოს რა დონის და მაშტაბის „აფიორასთან“ გვაქვს საქმე, უფრო ხატოვნად და კარგად ავხსნათ ეს ვითარება.

წარმოიდგინეთ, რომ ადამიანს 500 ლარად ბინა აქვს ნაქირავები, რომლის საბაზრო რირებულებაც 100 000 ლარია. ქირის დაგვიანების შემთხვევაში სახლის პატრონმა ჯარიმა, დაუშვათ თვიური 10 პროცენტი დამქირავებელს გადაახდევინა არა 500 ლარიდან, არამედ, ბინის მთლიანი ღირებულებიდან. ასეთ ავანტურულ შემთხვევაში ბინის დამქირავებელი ჯარიმის სახით იხდის არა 50 ლარს, არამედ, 10 000 ლარს - ბინის მთლიანი ღირებულების 10 პროცენტს.

ქართულ რეალობაში ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანი ბანკის შესატანის შეტანის დროს 15 ან 20 თეთრი დარჩენია შესატანი, არ მიუქცევია ყურადღება შემდეგ კი 200-300 ლარი და მეტი ჯარიმა დარიცხვია. საქმე იმაშია რომ ბანკის წინაშე უკვე დამდგარ ვალდებულებას თეთრიც რომ დააკლდეს, მიმდინარე შესატანი დაფარულად არ ითვლება და არსებული კომპიუტერული პროგრამები ჯარიმას მთლიანი თანხიდან ახდევინებს.

როცა ბანკი ჯარიმას იმაზე გახდევინებს, რისი გადახდის ვალდებულებაც არ დამდგარა, ეს არის ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და ფეხქვეშ გათელვა. ხელისუფლება იმის მაგივრად, რომ მოსახლეობა დაიცვას ბანკების წარმოუდგენელი თვითნებობისგან, ხალხს მოუწოდებს კარგად წაიკითხონ ხელშეკრულებაში რა წერია და თუ არ ეთანხმებიან, არ მოუწერონ ხელი, ანუ უარი თქვან კრედიტის მიღებაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხშირად ადამიანები კრედიტს იღებენ იმის გამო, რომ თავის გადარჩენის და არსებობისთვის სხვა საშუალება აღარ აქვს. **ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებაა დამნაშავე - ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქვეყანაში არ ქმნის ადამიანის არსებობის შესაძლებლობებს, ამის უნარი არ გააჩნია და არც ხელისუფლებას თმობს. მეორე, იმიტომ, რომ არ იღებს სწორ კანონებს და არსებული უმაქნისი კანონები ადამიანთა ჩაგვრის უფლებას იძლევა. მესამე, იმიტომ რომ ატარებს დანაშაულებრივ ეკონომიკურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.**

იმისდა მიუხედავად, თუ რა წერია ხელშეკრულებაში და რაზე აწერს ხელს კლიენტი, დანაშაული მაინც არის. ხელშეკრულებაზე მაღლა დგას ქვეყნის კანონი, ქვეყნის კანონზე მაღლა კი ადამიანის უფლებების საერთაშორისო დეკლარაცია, რომლის თანახმად, ადამიანი პასუხს იმ მატერიალური ზარალისთვის აგებს, რაც მან სხვას მიაყენა. ასე რომ ბანკები მასიურად არღვევენ ადამიანის უფლებებს და ამაზე ხელისუფალი დუმს, - არ რეაგირებს ბანკების უკანონობებზე.

მთავრობის არასწორი ფულად-საკრედიტო და ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია ის, რომ მოსახლეობა მიღებულ სიკეთეებში იხდის ბევრად უფრო მეტს, ვიდრე უნდა გადაიხადოს, რაც მკვეთრად ამძიმებს ცხოვრების პირობებს.

მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ და ბანკების უკიდურესად მძიმე საკრედიტო პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაკარგა ქონება, 800 000 მეტი ადამიანი გადახდის უუნაროა. როცა ქვეყნის მთელი მოსახლეობა ვალებშია გახვეული ასეთ ვითარებაში შეუძლებელია ეკონომიკური განვითარება. არსებული ვალების პირობებში ვერ იქმნებიან ოჯახები. ოჯახის შექმნას და არსებობის პირობებს ათასობით ლარი სჭირდება, რისი საშუალებათ იშვიათ ახალგაზრდას გააჩნია, ბანკში კრედიტის აღება კი გადაუჭრელ პრობლემებს უქმნის ახალგაზრდა ოჯახებს. არსებული საბანკო პოლიტიკის შედეგია დამძიმებული კრიმინალური ვითარება.

არსებული საკრედიტო პოლიტიკის გამო უმნიშვნელო პრობლემებიც კი მძიმედ გადასატანი ხდება. მოსახლეობის უმრავლესობას ბანკების გამო არ აქვს საშუალება ოპერაცია ან მკურნალობა ჩაიტაროს და ასეთ ვითარებებში ბევრი მათგანი განწირულია სასიკვდილოდ.

არსებული პოლიტიკა არ აძლევს ახალგაზრდობას სწავლის საშუალებას - ათი ათასობით სტუდენტია გარიცხული უმაღლესიდან ფულის გადაუხდელობის გამო. არსებული პოლიტიკა აიძულებს ქართველებს დატოვონ ქვეყანა, გაყიდონ სახლ-კარი და ა.შ. მათ ადგილებზე კი უცხოელები სახლდებიან, ანუ არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ბანკების მიერ ქვეყნის ძარცვა მკვეთრად აუარესებს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობას.

ქვეყნისთვის დამანგრეველი და უარყოფითი შედეგების ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ტერორი, რასაც ბანკები ახორციელებენ იმათ მიმართ, ვინც ვერ იხდის კრედიტს. ზეწოლა, მუქარა, შავ სიებში შეტანა და ა.შ. ადამიანის შანტაჟი და ტერორიც ადამიანის უფლებების დეკლარაციის დარღვევაა. ბანკები საერთოდ არ ითვალისწინებენ კლიენტის მდგომარეობას და არანაირ ჰუმანურობას არ იჩენენ კლიენტების მიმართ. აქაც გვაქვს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტები: თუ ადამიანს მისგან დამოუკიდებელად შეექმნა ისეთი მდგომარეობა, რის გამოც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ასრულებს აღებულ ვალდებულებებს, პასუხს არ აგებს ამ ვალდებულების შესრულებაზე. უნდა მოხდეს ვალდებულებების ბათილად ცნობა ან გადატანა, ან ახალ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა. ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მიხედვით. ამავე დეკლარაციით, თუ ადამიანმა ჩაიდინა კანონდარღვევა, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, (მაგალითად ყალბი მონაცემებით აიღო კრედიტი) ჩადენილი კანონდარღვევისთვის არ ისჯება.

რას აკეთებს ამ დროს, ასთი მასიური ძარცვის და ადამიანის უფლებების მასიური დარღვევების პირობებში ხელისუფლება?

კარდინალური, ძირეული ცვლილებების მაგივრად, ახდენს კოსმეტიკურ შელამაზებებს. ბანკები შეზღუდა და 100 % წლიური პროცენტის მაგივრად 50 % დაუწესა თითქოს 50 პროცენტი კარგი იყოს და არ გაგრძელდება ქვეყნის ძარცვა და გაჩანაკება. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში გაკეთდა 50% ჯობია 100 %-ს, რეალურად კი არაფერი არ შეიცვალა - წლიური პროცენტი ბანკებს ისედაც 50-60 ჰქონდათ. აეკრძალა ბანკებს იმათზე კრედიტის გაცემა, ვისაც სტაბილური შემოსავლებ არა აქვს. კი, მაგრამ, რას ეუბნებიან იმ ხალხს, ვისაც ხშირად ბანკის კრედიტი სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. აი ეს არის მთელი საბნკო რეფორმა, „კოსმეტიკაში“ სხვა საშუალებები არ აღმოაჩნდათ.

სები - მოსახლეობის გაკოტრების ინიციატორი!

შეგნებულად არ ვახსენებდი საქართველოში ბანკების ზედამხედველ უმაღლეს ორგანო სებ-ს. ეს აბსოლუტურად უმაქნისი და არაფრის მკეთებელი ორგანიზაცია. პირველ რიგში საზოგადოებრივი კონტროლი უნდა დაწესდეს ამ არაფრის მთქმელ ორგანოზე, რომლის პოლიტიკის შედეგია ის, რაც ქვეყანაშიხდება.

დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეცვლა. ბანკებს, რომლებიც მასიურად არღვევდნენ ადამიანის უფლებებს, უნდა ჩამოერთვათ ფუნქციონირების ლიცენზია. ადამიანებმა, რომლებმაც ბანკების მიზეზით, მათი კანონდარღვევების გამო მიიღეს დიდი მატერიალური ზარალი, ბანკების მიერ უნდა ანაზრაურდეს ეს ზარალი, საჭიროების შემთხვევაში ბანკის ქონების რეალიზაციით. უნდა დაისაჯოს ყველა ის ხელმძღვანელი პირი, ვინც უხეშად და მასიურად არღვევდა ადამიანის უფლებებს. უნდა შემუშავდეს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა, რისთვისაც უნდა შეიქმნას კომისია - მცოდნე ეკონომისტთა ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მოდელს!

წინასწარი გადაწყვეტილების როლი საგადასახადო სისტემაში

THE ROLE OF ADVANCE TAX RULING IN TAX SYSTEM

Otar Gvazava,
Auditor

RESUME

There is no doubt that as in the majority of countries, in the Georgian tax system, the advance tax ruling has an important role. It is very important that the advance tax ruling in Georgia is an administrative legal act and the existing five step appealing procedure, causes high level of lawfulness and justness of the advance tax ruling system. It would be better that the price for advance tax ruling (if it will be chargeable at all) to be more differentiated. Moreover, it is significantly important that any act of advance tax ruling should be public. Publicity would ensure as the protection of the taxpayer's healthy competition level, also it would significantly increase the taxpayers' awareness and would have distorted the negative public opinion, that in case of unclearness, the justice often chooses a damaging decision for the payer, which is one of the factors, which increases the investments in the country.

Taking above circumstances into the consideration, it would raise the effectiveness of advance tax ruling in Georgian tax system.

* * * *

2010 წელს მიღებულ საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამკვიდრდა წინასწარი გადაწყვეტილების ინსტიტუტი, რომელსაც გამოსცემს შემოსავლების სამსახური პირის მიმართვის საფუძველზე, განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულების თაობაზე. ამასთან, განსხვავებით საგადასახადო ორგანოს განმარტებისა, რომელიც მხოლოდ რეკომენდაციად მიიჩნევა,[1] წინასწარ გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულო ძალა. წინასწარი გადაწყვეტილება საშუალებას აძლევს კონკრეტულ გადასახადის გადამხდელს, რომ მისთვის წინასწარვე იყოს ცნობილი თუ რა სახის დაბეგვრის რეჟიმი იმოქმედებს მის მიერ განხორციელებულ ან განსახორციელებელ ისეთ ფინანსურ ოპერაციაზე, რომელიც კოდიფიცირებული არ არის, ან რომელიც რეგულირდება ბუნდოვანი/ორაზროვანი ან ორი/ორზე მეტი ნორმით.

წინასწარი გადაწყვეტილების საკანონმდებლო დანერგვა OECD[2]-ის წევრი ქვეყნებისათვის ძირითადად 1990

ოთარ გვაზავა
აუდიტორი

წლიდან შევიდა აქტიურ ფაზაში.[3] დღესდღეობით ყველა OECD-ის წევრ სახელმწიფოს დანერგილი აქვს აღნიშნული ინსტიტუტი. თუმცა წინასწარი გადაწყვეტილებით დასარეგულირებელი საკითხების ნუსხა მეტად მწირია და გამოიცემა ისეთ ოპერაციებზე როგორიცაა მაგალითად საწარმოს რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული საგადასახადო საკითხები.[4] ამასთანავე, დიდია რიცხვი არაწევრი ქვეყნებისა, რომელთაც წინასწარი გადაწყვეტილება აქციეს საგადასახადო სამართლის ნაწილად. საქართველოც OECD-ის არაწევრი ქვეყანაა. საქართველოში, 2010 წელს მიღებულ საგადასახადო კოდექსში დამკვიდრდა წინასწარი გადაწყვეტილების ინსტიტუტი. წინასწარ გადაწყვეტილებას მიიჩნევენ აუცილებელ და შეუცვლელ მექანიზმად თანამედროვე საგადასახადო ადმინისტრირების სამყაროში. [5]

წინასწარი გადაწყვეტილება, განსხვავებით საჯარო გადაწყვეტილებისა[6], სამართლებრივი ფორმით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ანუ იგი მიემართება მხოლოდ ერთი ადრესატის - განმცხადებელი პირის მიმართ და ვრცელდება მხოლოდ იმ პირზე, რომლის მიმართაც ის იქნა გამოცემული[7]. საქართველოში წინასწარი გადაწყვეტილება

1 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 46.

2 ოესიდი - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

3 იხ., Alarie Benjamin, Datt Kalmen, Sawyer Adrian, Weeks Greg, Advance Tax Ruling in Perspective: A Theoretical and Comparative Analysis, New Zealand Journal of Taxation Law and Policy, Volume 20, 2014, 364.

4 იხ., Procedural Rules in Tax Law in the Context of European Union and Domestic Law, Edited by: Michael Lang, Pasquale Pistone, Josef Schuch and Claus Staringer, Kluwer Law Internationa BV, The Netherland, 2010, 75-76.

5 Alia Duta, The Harmonization of Advance Tax Rulings Systems in Euroepean Union Member States – Why?, University of Craiova, 2009, 247.

6 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 461.

7 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 47.

სრულად პასუხობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით[1] განსაზღვრულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის საფუძვლებს: 1) მას ახასიათებს ერთჯერადი ხასიათი; 2) გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ; 3) გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე; 4) მიემართება კონკრეტული ადრესატისკენ.[2]

წინასწარი გადაწყვეტილება გამოიცემა იმ საკითხების დასარეგულირებლად, რომლებიც მოცემულია ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში. რიგ ქვეყნებში არ არის შეზღუდვა რაიმე კონკრეტული გადასახადით და კონკრეტული სახის ფინანსური ოპერაციების ჭრილში (მაგ: პოლონეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ლატვია და საბერძნეთი)[3]. თუმცა არსებობს მთელი რიგი ქვეყნებისა, სადაც წინასწარ გადაწყვეტილებას გამოსცემენ სპეციფიურ ჭრილში ან კონკრეტულ გადასახადებზე. მაგალითად უნგრეთში გამოიცემა - მხოლოდ განსახორციელებელ ოპერაციაზე, ხოლო ლუქსემბურგსა და რუმინეთში მხოლოდ პირდაპირ გადასახადებზე.[4]

საქართველოში წინასწარი გადაწყვეტილება შესაძლოა გამოიცეს ნებისმიერი სახის გადასახადთან მიმართებით და განხორციელებულ, თუ განსახორციელებელ დასაბეგრ ოპერაციაზე. მაშასადამე, წინასწარ გადაწყვეტილებას ახასიათებს მოქმედების ფართო სპექტრი[5].

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში, წინასწარი გადაწყვეტილების ინსტიტუტის დანერგვის დღიდან, აქტიური მსჯელობა მიდის მის დადებით და უარყოფით მხარეებზე. შეფასებები კეთდება როგორც სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის, ასევე გადასახადის გადამხდელთა კანონიერ ინტერესთა გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ ყველაზე აქტიური და კეთილსინდისიერი გადამხდელიც კი უხალისოდ იხდის გადასახადებს[6]. გადასახადის გადამხდელთა გადმოსახედიდან გამოყოფენ ორ ძირითად ფაქტორს, თუ რატომ უნდა მიმართონ მათ საგადასახადო ორგანოებს წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის მოთხოვნით: 1) გადასახადის გადამხდელს საშუალება აქვს წინასწარ გაიგოს საგადასახადო ორგანოს ხედვა დასაბეგრ ოპერაციებზე და თავი დაიზღვიოს შემდგომი არასასურველი დაბეგვრისაგან, რაც, შესაძლოა გამოწვეული იყოს სამართლებრივი ბუნდოვანებით; 2) გადასახადის გადამხდელი თავისუფლდება ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი სანქციისგან, თუკი ის დასაბეგრ ოპერაციას ახორციელებდა წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზე.[7] რაც შეეხება წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის სახელმწიფო ინტერესებსა და პრიორიტეტებს, გამოყოფენ შემდეგ ძირითად სამ მომენტს: 1) საგადასახადო ორგანო იღებს შიდა ინფორმაციას გადასახადის გადამხდელთა შესასრულებელი თუ შესრულებული ოპერაციების შესახებ; 2) საგადასახადო ორგანო წინასწარი გადაწყვეტილების ფარგლებში განხორციელებულ ოპერაციებზე აღარ საჭიროებს საგადასახადო შემოწმების ჩატარებას, რითიც საბიუჯეტო ხარჯები იზოგება; 3) მცირდება რისკი გადასახადის გადამხდელთა მხრიდან შემოსავლების დამალვისა ან შემცირებისა.[8] ერთი შეხედვით, დადებითი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს სამართლებრივი ბუნდოვანების გაფანტვას, გადასახადის გადამხდელისათვის დაბეგვრასთან დაკავშირებულ წინასწარ ინფორმირებულობას და აძლევს მას დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, მაინც ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.

წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის პროცედურები თითქმის მსგავსია ყველა სახელმწიფოში, სადაც იგი დანერგილია. პირველ ეტაპს წარმოადგენს გადასახადის გადახდელის მიერ წერილობითი განცხადების შეტანა წინასწარი გადაწყვეტილების გამომცემ ორგანოში, რომელშიც უნდა იქნეს ასახული გადამხდელის რეკვიზიტები, განხორციელებული თუ განსახორციელებელი ოპერაციის აღწერა თანდართული დოკუმენტაციით, კანონის ის ნორმა, რომელსაც გადამხდელი მიიჩნევს, ბუნდოვნად ან ორაზროვნად, ხოლო თუკი ოპერაცია ეხება ისეთ საკითხს, რომელიც საერთოდ არ არის დარეგულირებული კოდექსითა თუ ნორმატიული აქტებით, ამგვარი მითითება საჭირო არაა.[9] ამის შემდგომ საგადასახადო ორგანო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში გამოსცემს წინასწარ გადწყვეტილებას. წინასწარი გადაწყვეტილება არ გამოიცემა, თუ: 1) პირი წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემას ითხოვს იმ საკთხზე ან პერიოდზე, რომლის შემოწმების შესახებაც მას უკვე ჩაბარდა საგადასახადო შემოწმების შესახებ შეტყობინება, გადაწყვეტილება, ან სამართალდარღვევის ოქმი; 2) პირი ითხოვს წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემას იმ საკითხზე ან პერიოდზე, რომელიც უკვე შემოწმდა საგადასახადო ორგანოს მიერ; 3) პირის მიმართ დაწყებულია სისხლის სამართლებრივი

1 იხ.,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლი.

2 იხ., ტურავა პაატა, წკეპლაძე ნათია, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, 44-45.

3 იხ., Tax Rulings in the EU Member States, Study for the ECON Committee, 2015, 59.

4 იხ., იქვე.

5 იხ., Waerzeggers Christophe and Cory Hillier, Introducing an advance tax ruling (ATR) regime-Design considerations for achieving certainty and trasparency, Tax Law IMF Technical Note Volume, IMF Legal Department, 1,2/2016, 5.

6 იხ., Alarie Benjamin, Datt Kalmen, Sawyer Adrian, Weeks Greg, Advance Tax Ruling in Perspective: A Theoretical and Comparative Analysis, New Zealand Journal of Taxation Law and Policy, Volume 20, 2014, 364.

7 იხ., Givati Yehonatan, Resolving Legal Uncertainty: The Unfulfilled Promise of Advance Tax Rulings, John M. Olin Center for Law, Economics, and Business Fellows' Discussion Paper Series, Paper №30, 2009,3.

8 იხ., Alarie Benjamin, Datt Kalmen, Sawyer Adrian, Weeks Greg, Advance Tax Ruling in Perspective: A Theoretical and Comparative Analysis, New Zealand Journal of Taxation Law and Policy, Volume 20, 2014, 363.

9 იხ., Waerzeggers Christophe and Cory Hillier, Introducing an advance tax ruling (ATR) regime-Design considerations for achieving certainty and trasparency, Tax Law IMF Technical Note Volume, IMF Legal Department, 1,2/2016, 11.

დევნა, ან საგადასახადო/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება; 4) პირმა არ აღმოფხვრა ხარვეზი დადგენილ ვადაში.[1] წინასწარი გადაწყვეტილება მსოფლიოს ქვეყნებში ასევე არ გამოიცემა თუკი აშკარაა გადასახადის გადახდელის სურვილი, თავი აარიდოს გადასახადის გადახდას.[2]

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანოებთაგან ძირითადად გვევლინება სახელმწიფო შემოსავლების სამსახურები ან ფინანსთა სამინისტროები. საქართველოში წინასწარი გადაწყვეტილების გამომცემი ორგანოა შემოსავლების სამსახური[3]. წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა საჭიროებს ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებას, გარდა საქონლის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად სასაქონლო კოდის ან წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის საკითხის მიმართ[4]. აღნიშნული ფაქტი ამყარებს მოსაზრებას, რომ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა საჭიროებს უფრო მეტ ლეგიტიმაციას და რევიზიას, ვიდრე სხვა საგადასახადო-სამართლებრივი აქტები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე უფლებამოსილნი არიან ქვეყნის საგადასახადო ორგანოები. თუმცა დიდ ინტერესს იწვევს შვედური საგადასახადო სისტემა. საკანონმდებლო დონეზე შექმნილია დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო სპეციალურად წინასწარი გადაწყვეტილებების მისაღებად - „წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილების დამოუკიდებელი საბჭო".[5] აღნიშნულ ინსტიტუტს, როგორც სამეცნიერო სფეროებში აფასებენ, შეუძლია თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის.[6]

წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის ვადები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარადაა დარეგულირებული. ავსტრალიაში ყველაზე მცირე ვადაა დადგენილი - 28 დღე[7]. საფრანგეთში ბელგიაში, პოლონეთსა და მექსიკაში დადგენილია 3 თვიანი ვადა.[8] საბერძნეთში 120 დღე, ლატვიაში, კორეასა და რუსეთში 1 თვე, ხოლო ყველაზე ხანგრძლივი ვადა დადგენილია ბრაზილიაში - 360 დღე.[9] ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის ვადა მერყეობს 90 დღიდან 6 თვემდე[10], სლოვენიაში 6 თვიანი ვადაა გათვალისწინებული[11], უნგრეთში - 60 დღე[12]. საქართველოში წინასწარი გადაწყვეტილება გამოცემულ უნდა იქნეს განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 90-ე დღისა.[13] მეტი ეფექტურობისთვის ქვეყნების უმრავლესობა ითვალისწინებს დაჩქარებულ ვადებსაც.

გამოცემის ვადა ძირითადად დამოკიდებულია წინასწარი გადაწყვეტილებით დასარეგულირებელ საკითხთა მოცულობაზე და სამართლებრივ სირთულეზე, რაშიც იგულისხმება ბუნდოვანი ნორმების განმარტების საკითხი. აღსანიშნავია, რომ წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის ვადის ხანგრძლივობა (რომ აღარაფერი ვთქვათ იმ შემთხვევებზე როცა გამოცემის ვადები ირღვევა) მიიჩნევა ამ მექანიზმის ერთ-ერთ უარყოფით მხარედ და შესაძლოა რიგ შემთხვევებში ძირსაც კი უთხრიდეს მთელ დადებით ასპექტებს[14], რადგან გადასახადის გადამხდელმა შესაძლოა გადაიფიქროს ოპერაციის განხორციელება და შესაბამისი ბიზნეს ინვესტირება.

წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა რიგ ქვეყნებში ფასიანია (მაგ: დანია, ესტონეთი, ფინეთი გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვენია, აშშ, ინდოეთი, რუმინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) ზოგ ქვეყანაში კი - უფასო (მაგ: ავსტრალია, ბელგია, ჩილე, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, იაპონია, სამხრეთ კორეა, ლუქსემბურგი, მექსიკა, ჰოლანდია, ესპანეთი, შვეიცარია, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, არგენტინა, ბულგარეთი ჩინეთი კოლუმბია, კვიპროსი, რუსეთის ფედერაცია).[15] იმ ქვეყნებში, სადაც წინასწარი გადაწყვეტილება ფასიანია, გადასახდელი თანხის ოდენობა ზოგადად დაკავშირებულია განსახორციელებელი ოპერაციის ღირებულებასთან, შესაბამისად ფიქსირებული გადასახადი ძირითადად არ არსებობს. 3 000 ევროდან 10

1 იხ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლი; აგრეთვე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ", მუხლი 19.

2 იხ., Waerzeggers Christophe and Cory Hillier, Introducing an advance tax ruling (ATR) regime-Design considerations for achieving certainty and trasparency, Tax Law IMF Technical Note Volume, IMF Legal Department, 1,2/2016, 6.

3 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 47-ე მუხლი.

4 იხ., იქვე.

5 იხ., Tax Rulings in the EU Member States, Study for the ECON Committee, 2015, 59.

6 იხ., Alarie Benjamin, Datt Kalmen, Sawyer Adrian, Weeks Greg, Advance Tax Ruling in Perspective: A Theoretical and Comparative Analysis, New Zealand Journal of Taxation Law and Policy, Volume 20, 2014, 369.

7 იხ., Waerzeggers Christophe and Cory Hillier, Introducing an advance tax ruling (ATR) regime-Design considerations for achieving certainty and trasparency, Tax Law IMF Technical Note Volume, IMF Legal Department, 1,2/2016, 10.

8 იხ., იქვე.

9 იხ., იქვე.

10 იხ., Givati Yehonatan, Resolving Legal Uncertainty: The Unfulfilled Promise of Advance Tax Rulings, John M. Olin Center for Law, Economics, and Business Fellows' Discussion Paper Series, Paper №30, 2009, 15.

11 იხ., Procedural Rules in Tax Law in the Context of European Union and Domestic Law, Edited by: Michael Lang, Pasquale Pistone, Josef Schuch and Claus Staringer, Kluwer Law Internationa BV, The Netherland, 2010, 592.

12 იხ., იქვე, 309.

13 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლი.

14 იხ., Waerzeggers Christophe and Cory Hillier, Introducing an advance tax ruling (ATR) regime-Design considerations for achieving certainty and trasparency, Tax Law IMF Technical Note Volume, IMF Legal Department, 1,2/2016, 4.

15 იხ., იქვე, 10.

000 ევრომდეა განსაზღვრული მომსახურების საფასური იმ ევრო-კავშირის წევრ ქვეყნებში, სადაც წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა ფასიანია.[1] გერმანიაში წინასწარი გადაწყვეტილების საფასური განისაზღვრება დასაბეგრი ოპერაციის ღირებულების 1%-ით, ამასთან, თუკი ოპერაციის ღირებულება 10 000 ევროზე ნაკლებია - გადასახადის გადამხდელი გათავისუფლდება საფასურის გადახდისაგან.[2] უნგრეთში, როგორც გერმანული საგადასახადო სამართლის სისტემის ქვეყანაში, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის საფასური ასევე განსახორციელებელი ოპერაციის ღირებულების 1%-ით განისაზღვრება, ამასთან თუკი გადასახადის გადამხდელს უარს ეტყვიან წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემაზე, მას დაუბრუნდება გადახდილი საფასურის 75%.[3] აშშ-ში მომსახურების საფასური 10 000 დოლარამდე მერყეობს.[4]

საქართველოში წინასწარი გადაწყვეტილებისათვის დადგენილი გადასახადი თითქმის არაა დიფერენცირებული, რადგანაც, გარდა რეზიდენტი ფიზიკური პირებისა, რომელთათვისაც საფასური 5 000 ლარია, ნებისმიერი სხვა გადამხდელისათვის ის შეადგენს 10 000 ლარს.[5]

საინტერესოა, რამდენად სამართლიანია ფასიანი მომსახურება წინასწარ გადაწყვეტილებაზე მაშინ, როცა სამართლებრივი ბუნდოვანების გაქარწყლება კანონის უზენაესობის პრინციპის უალტერნატივო მოთხოვნაა[6]. ერთი შეხედვით სახელმწიფოს მხრიდან წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის დადებითი მხარეებს თუ გავითვალისწინებთ, საგადასახადო ორგანოს მოწოდებული უნდა იყო, რაც შეიძლება მეტმა გადასახადის გადამხდელმა მიმართოს მას წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისთვის, რადგან მისი გამოცემა უფრო ნაკლებ ხარჯს გამოიწვევს საგადასახადო ადმინისტრირებისთვის, ვიდრე საგადასახადო შემოწმება. გარდა ამისა, დადგენილი საფასური შესაძლოა კოლოსალურად დიდი იყოს დაბალი ფინანსური ბრუნვის მქონე გადასახადის გადამხდელისთვის და შედეგად - არათანასწორ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.[7] ამასთანავე, სამეცნიერო წრეებში იზიარებენ შეხედულებას, რომ გადასახადის გადამხდელს ურჩევნია ინვესტიცია განახორციელოს წინასწარი გადაწყვეტილების საფასურის გადახდის ნაცვლად, თუკი დარწმუნებული არ იქნება რომ წინასწარ გადაწყვეტილებას საგადასახადო ორგანო მისი ინტერესების სასარგებლოდ გამოსცემს,[8] ან საერთოდ გამოსცემს თუ არა.

სავალდებულო ძალა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისას, საგადასახადო სისტემის საყოველთაო პრინციპად უნდა იქნეს აღიარებული, თუკი სახელმწიფოს მართლაც სურს რომ გააქარწყლოს სამართლებრივი ბუნდოვანება, რათა გადამხდელს გააჩნდეს სამართლებრივი დაცვის გარანტია წინასწარ და დაზღვეული იქნეს უფრო დიდი საგადასახადო პასუხისმგებლობისგან.[9]

ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში წინასწარი საგადასახადო გადაწყვეტილება ძირითადად სავალდებულო ძალის მქონეა საგადასახადო ორგანოთათვის, თუმცა ზოგ მათგანში იგი მოქმედებს 5 წლის განმავლობაში (მაგ: ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდების

1 იხ., Tax Rulings in the EU Member States, Study for the ECON Committee, 2015, 41.

2 იხ., Fiscal Code of Germany, 2015, Section 89;

3 იხ., Procedural Rules in Tax Law in the Context of European Union and Domestic Law, Edited by: Michael Lang, Pasquale Pistone, Josef Schuch and Claus Staringer, Kluwer Law Internationa BV, The Netherland, 2010, 309.

4 იხ., Givati Yehonatan, Resolving Legal Uncertainty: The Unfulfilled Promise of Advance Tax Rulings, John M. Olin Center for Law, Economics, and Business Fellows' Discussion Paper Series, Paper №30, 2009,13-14.

5 იხ., იქვე, 48-ე და 49-ე გრაფები.

6 იხ., Alarie Benjamin, Datt Kalmen, Sawyer Adrian, Weeks Greg, Advance Tax Ruling in Perspective: A Theoretical and Comparative Analysis, New Zealand Journal of Taxation Law and Policy, Volume 20, 2014, 382.

7 იხ., Waerzeggers Christophe and Cory Hillier, Introducing an advance tax ruling (ATR) regime-Design considerations for achieving certainty and trasparency, Tax Law IMF Technical Note Volume, IMF Legal Department, 1,2/2016, 4.

8 იხ., Diller Marcus, Vollert Pia, Economic analysis of advance tax rulings.Arbeitskreis Quantitative steuerlehre Diskussionsbeitraf NR 122, 2011, 15.

9 იხ., Alarie Benjamin, Datt Kalmen, Sawyer Adrian, Weeks Greg, Advance Tax Ruling in Perspective: A Theoretical and Comparative Analysis, New Zealand Journal of Taxation Law and Policy, Volume 20, 2014, 367.

სამეფო, მალტა)[1] და შესაბამისად მისი სავალდებულოობაც ამ ვადით განისაზღვრება.

საინტერესოა სავალდებულო ძალის კონტექსტში სხვა სამართლებრივი სისტემები. ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის საგადასახადო სისტემებში წინასწარ გადაწყვეტილებას აქვთ სავალდებულო ძალა საგადასახადო ორგანოთათვის.[2]

ცალკე აღნიშვნის ღირსია აშშ-ს საგადასახადო სისტემა. ამერიკაში წინასწარ გადაწყვეტილებას არ გააჩნია სავალდებულო ძალა საგადასახადო ორგანოთათვის ძირითადი გადასახადის კონტექსტში. უფრო მეტიც, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემა არათუ ამცირებს საგადასახადო კონტროლის განხორციელების შანსს, არამედ ზრდის კიდეც და გადასახადის გადამხდელი ეგრედ წოდებულ „წითელი დროშის" ქვეშ ექცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ აშშ-ს შემოსავლების სამსახური აუცილებლად შეამოწმებს მას.[3]

საქართველოს შემთხვევაში, წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისას შემოსავლების სამსახურს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, ე.ი. შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია[4] და არა ვალდებული გამოსცეს წინასწარი გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნულ მსჯელობებში ნათლად არის აღნიშნული თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი ბუნდოვანების აღმოფხვრას. კანონის უზენაესობის პრინციპი (Rule of Law) ავალდებულებს სახელისუფლებო ორგანოებს მიიღონ ისეთი კანონები, სადაც მაქსიმალურად იქნება დაცული განსაზღვრულობის პრინციპი.

1 იხ., Tax Rulings in the EU Member States, Study for the ECON Committee, 2015, 29;44.

2 იხ., Alarie Benjamin, Datt Kalmen, Sawyer Adrian, Weeks Greg, Advance Tax Ruling in Perspective: A Theoretical and Comparative Analysis, New Zealand Journal of Taxation Law and Policy, Volume 20, 2014, 368.

3 იხ., Givati Yehonatan, Resolving Legal Uncertainty: The Unfulfilled Promise of Advance Tax Rulings, John M. Olin Center for Law, Economics, and Business Fellows' Discussion Paper Series, Paper №30, 2009,18.

4 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 47-ე მუხლის პირველი ნაწილი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, თუ პირი მოქმედებს წინასწარი გადაწყვეტილების შესაბამისად, დაუშვებელია მაკონტროლებელი სამართალდამცავი ორგანოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და გადასახადის ან/და სანქციის დარიცხვა.[5] ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში, შემოსავლების სამსახური შებოჭილია წინასწარი გადაწყვეტილებით. შესაბამისად მასზე მოქმედებს სავალდებულო ძალა, ანუ არ შეუძლია წინასწარი გადაწყვეტილების ფარგლებში მოქმედ გადამხდელს დააკისროს განსხვავებული გადასახადი ან სანქცია, ხოლო ამგვარი შემთხვევები რამდენად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას ცალკე საკითხია. რაც შეეხება სანქციის დაკისრების დაუშვებლობას, აღნიშნული სრულად შეესაბამება განვითარებული ქვეყნების მიერ დადგენილ სტანდარტებს, როგორც კონტინენტურ ასევე ანგლო-ამერიკულ სამართალს. სწორედ საგადასახადო პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ხასიათის გამო სარგებლობს წინასწარი გადაწყვეტილება პოპულარობით და სწორედ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნიშანს, რომელსაც იგი თანხვედრაში მოჰყავს კანონის უზენაესობის (Rule of Law) პრინციპთან.

OECD-ი და ევროპის კავშირი[6] არაერთ რეგულაციას აქვეყნებენ, რითიც თხოვენ წევრ ქვეყნებს რაც შეიძლება მეტ გამჭვირვალობას საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში, მათ შორის წინასწარი გადაწყვეტილების ასპექტში. წინასწარი გადაწყვეტილებების გასაჯაროებას, იმ პირობით, რომ დაცული იქნება გადასახადის გადამხდელის პერსონალური მონაცემები, მოითხოვს არასასურველი/საზიანო დაბეგვრის (Harmful Tax Competition) თავიდან აცილება. საჯაროობის არ არსებობამ, შესაძლოა გამოიწვიოს თითქოსდა გამჭვირვალე

5 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47- მუხლის მე-5 ნაწილი.

6 იხ., COUNCIL DIRECTIVE 2011/16/EU of 15 February 2011,

http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX%3A32011L0016, 26th section.

საგადასახადო რეჟიმის არაგამჭვირვალე საგადასახადო რეჟიმად გადაქცევაც[1].

ევროპის კავშირის წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ ლუქსემბურგში, პოლონეთში, ნიდერლანდებში, ბელგიასა და შვედეთში ქვეყნდება ყველა წინასწარი გადაწყვეტილება ან ინდივიდუალური სახით, ან წლიური ანგარიშის ფორმით, ამასთან გადასახადის გადამხდელთა რეკვიზიტები ანონიმურია. დანარჩენ წევრ ქვეყნებში ან არ ქვეყნდება, ან საჯაროვდება მხოლოდ ძირითადი ხასიათის მქონე წინასწარი გადაწყვეტილებები (მაგ: საფრანგეთი და იტალია).[2] ამერიკის შეერთებულ შტატებში 1977 წლიდან წინასწარი გადაწყვეტილებები საჯაროდ ქვეყნდება, გადამხდელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის გათვალისწინებით.[3]

საქართველოში წინასწარი გადაწყვეტილებები საჯაროდ არ ქვეყნდება. საჯაროობა განაპირობებს წინასწარი გადაწყვეტილების პრეცედენტული ეფექტის რეალურ დაცვას.

გადასახადის გადამხდელს არ შეუძლება სხვის მაგივრად მიმართოს საგადასახადო ორგანოს წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემისათვის. ასევე დაუშვებელია, რომ ამ მიზნით საგადასახადო ორგანოს ერთობლივად რამდენიმე გადასახადის გადამხდელმა მიმართოს. აქედან გამომდინარე წინასწარ გადაწყვეტილებას არ გააჩნია de iure პრეცედენტული ძალა, თუმცა იგი აღჭურვილია de facto პრეცედენტული ძალით, როდესაც ისინი გამოქვეყნებულია საჯაროდ და ხელმისაწვდომია სხვა პოტენციური განმცხადებლებისთვის (მაგ. ფინეთი).[4]

მიუხედავად საჯაროობისა, ფაქტობრივად, როგორც გამოქვეყნებულ, ასევე გამოუქვეყნებელ წინასწარ გადაწყვეტილებასაც კი აქვს პრეცედენტული ძალა.

წინასწარი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს საგადასახადო სამართლის ძირითად პრინციპებს. კანონიერების პრინციპი, თანასწორობის პრინციპი და საჯაროობის პრინციპი, ის მინიმალური დაცვის სტანდარტია, რომელიც საჭიროა სამართლებრივი ჰარმონიზაციისთვის.[5]

საქართველოში წინასწარი გადაწყვეტილების პრეცედენტული ეფექტის გარანტად გვევლინება საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ სხვადასხვა პირის მიერ განხორციელებული იდენტური ოპერაციების მიხედვით არ შეიძლება გამოიცეს განსხვავებული წინასწარი გადაწყვეტილება.[6] ერთი შეხედვით აღნიშნული მუხლი იცავს გადასახადის გადამხდელს საგადასახადო ორგანოს მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომისაგან. მიუხედავად ნორმის არსებობისა, სხვა საკითხია თუ როგორ იქნება დაცული პრეცედენტულობის ეფექტი პრაქტიკაში.

გადასახადის გადამხდელთა მიმართ თანასწორი მოპყრობა პირდაპირ აისახება ბაზარზე არსებულ ჯანსაღ კონკურენციაზე. OECD-ის მიერ ჯერ კიდევ 1998 წელს იქნა დადგენილი, რომ წინასწარი გადაწყვეტილების საჯაროობა უპირველესი განმაპირობებელია იმისა, რომ თავიდან იქნეს აცილებული ე.წ. დამაზიანებელი საგადასახადო კონკურენცია (Harmful tax competition)[7]. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტი ადგენს, რომ „სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის

1 იხ.,Harmful Tax Competition. An emerging global issue, Paris, OECD, 1998, http://www.oecd.org/tax/transparency/44430243.pdf, 44, 61.

2 იხ., Tax Rulings in the EU Member States, Study for the ECON Committee, 2015, 46,57-59.

3 იხ., Givati Yehonatan, Resolving Legal Uncertainty: The Unfulfilled Promise of Advance Tax Rulings, John M. Olin Center for Law, Economics, and Business Fellows' Discussion Paper Series, Paper №30, 2009,19.

4 იხ., Tax Rulings in the EU Member States, Study for the ECON Committee, 2015, 29,44.

5 Alia Duta, The harmonization of Advance Tax Ruling systems in European Union member states - why?, University of Craiova, 2009, 249.

6 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლი.

7 იხ.,Harmful Tax Competition. An emerging global issue, Paris, OECD, 1998, http://www.oecd.org/tax/transparency/44430243.pdf, 44, 61.

ორგანოებს ეკრძალებათ ეკონომიკური აგენტისათვის[1] ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა."[2] საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-60 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „აკრძალულია ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შეღავათის დაწესება და ცალკეული პირის გათავისუფლება გადასახადისაგან."[3] საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი იცავს ფუნდამენტურ ძირითად უფლებას - კანონის წინაშე თანასწორობას. კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნა ვრცელდება არა მარტო სამართალშემოქმედებით, არამედ სამართალგამოყენების პროცესზეც.[4] კანონის წინაშე თანასწორობა გულისხმობს, რომ იდენტური საქმეები უნდა გადაწყდეს თანასწორობის დაცვით, და განსხვავებული საქმეები უნდა გადაწყდეს განსხვავებულად იმ დოზით, რა დოზითაც ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან.[5] ნიშანდობლივია, რომ წინასწარი გადაწყვეტილება სწორედ სამართალგამოყენების პროცესის ნაწილია.

არსებობს რისკები იმისა, რომ წინასწარი გადაწყვეტილებით კონკრეტულ გადასახადის გადამხდელს ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათი დაუწესდეს, იმ პირობებში, როცა სხვა პირისათვის წინასწარი გადაწყვეტილებები საჯარო არ არის. ამდენად პრეცედენტული ეფექტი დამოკიდებულია მის საჯაროობასთან. საქართველოში კი წინასწარი გადაწყვეტილება საჯაროდ არ ვრცელდება. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თანასწორი მოპყრობა ერთსა და იმავე მდგომარეობაში მყოფი სხვადასხვა გადასახადის გადამხდელის მიმართ, მთლიანად დამოკიდებულია საგადასახადო ორგანოს სურვილზე, რადგან გაკონტროლება იმისა, არსებობს თუ არა მანამდე გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილება, იდენტური საკითხის დასარეგულირებლად, ფაქტობრივად შეუძლებელია.

საკვირველია, რომ ევროპის კავშირის ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა იტალია, ესპანეთი, ბელგია, პორტუგალია, ლუქსემბურგი და ჩეხეთი, წინასწარი გადაწყვეტილება არ საჩივრდება.[6] მაგალითად ფინეთში სამსაფეხურიანი გასაჩივრებაა შესაძლებელი: 1) შემოსავლების სამსახურის დავების საბჭო; 2) ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო; 3) უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო, ხოლო პოლონეთში გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ ერთ ინსტანციაში - რაიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში.[7]

აშშ-ში გადასახადის გადამხდელს შეუძლია გაასაჩივროს წინასწარი გადაწყვეტილება სამ სხვადასხვა სასამართლოში 1) შტატის საგადასახადო სასამართლოში, 2) ფედერალურ რაიონულ სასამართლოში და 3) ფედერალურ სააპელაციო სასამართლოში.[8]

შესაძლოა ითქვას, რომ საქართველოში წინასწარი გადაწყვეტილების ხუთ საფეხურიანი გასაჩივრებაა შესაძლებელი: 1) შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტში; 2) ფინანსთა მინისტრთან არსებული დავების განხილვის საბჭოში; 3) სამივე ინსტანციის სასამართლოში.[9] აღსანიშნავია რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება საქართველოში სრულადაა განხორციელებული წინასწარი გადაწყვეტილების კონტექსტში.

უდავოა, რომ, როგორც უმრავლეს ქვეყნებში, ასევე საქართველოს საგადასახადო სისტემაში წინასწარი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მნიშვნელოვანი როლის მქონეა. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში წინასწარი გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და არსებული ხუთ საფეხურიანი გასაჩივრების წესი მას კიდევ უფრო მეტ სამართლიანობის ეფექტს სძენს. უკეთესი იქნებოდა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის საფასური (საერთოდ თუ იქნება ფასიანი) იყოს მეტად დიფერენცირებული. ამასთანავე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა, რომ გამოცემული ნებისმიერი წინასწარი გადაწყვეტილება იყოს საჯარო. საჯაროობა უზრუნველყოფდა, როგორც გადამხდელთა ჯანსაღი კონკურენციის დაცვას ასევე, მნიშვნელოვნად გაზრდიდა გადამხდელთა ინფორმირებულობას და გაფანტავდა საზოგადოებაში არსებულ იმ ნეგატიურ მოსაზრებას, რომ მაკონტროლებელი ორგანო ბუნდოვანების შემთხვევაში ირჩევს გადამხდელისათვის საზიანო გადაწყვეტილებას, რაც ქვეყანაში ინვესტიციების გაზრდის ერთერთ ფაქტორს წარმოადგენს.

მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, კიდევ უფრო გაიზრდებოდა წინასწარი გადაწყვეტილებების ეფექტურობა საქართველოს საგადასახადო სისტემაში.

---

1 განმარტება: „ეკონომიკური აგენტი - პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას". „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

2 იხ., საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ", 21 მარტი, 2014 წელი, მუხლი 10.

3 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 60.

4 იხ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ევა გოცირიძე, თბილისი, 2013 ,61.

5 Romano Carlo, Advance Tax Ruling and Principle of Law, Tovards a European Tax Rulings Sisem?The Netherlands, 2002,310.

6 იხ., Tax Rulings in the EU Member States, Study for the ECON Committee, 2015, 57-79.

7 იხ., იქვე.

8 იხ., Givati Yehonatan, Resolving Legal Uncertainty: The Unfulfilled Promise of Advance Tax Rulings, John M. Olin Center for Law, Economics, and Business Fellows' Discussion Paper Series, Paper №30, 2009, 7.

9 იხ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის მე-10 ნაწილი და XIV კარი.

მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოში

ნათია სურმანიძე
ეკონომიკის დოქტორანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის კათედრა

ანოტაცია

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. აღნიშნული სფერო პასუხიმგებელია დასაქმების ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე. სწორედ ამ ძირითადი მიზეზების გამო შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორს ნებისმიერი ქვეყნისთვის „ეკონომიკის ხერხემლის" ფუნქცია აკისრია. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესს დიდი სოციალური დატვირთვა აქვს, იგი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირებას უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ ამ სფეროს სტაბილური განვითარება ეკონომიკის სტაბილური განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. ბოლო პერიოდებში განვითარებული ქვეყნების GDP-ს 50-70%-ს აწარმოებენ მცირე და საშუალო კომპანიები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, განვითარებული ქვეყნების მთავრობები პრიორიტეტულად მიიჩნევენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპების შენარჩუნებას.

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენს მიერ შესწავლილი და განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის არსი, როლი და განვითარების ტენდენციები საქართველოში, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის პოლიტიკა.

საკვანძო სიტყვები: მცირე მეწარმეობა, სახელმწიფო რეგულაციები, ბიზნეს კანონმდებლობა

შესავალი

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ტემპები დიდია განვითარებულ ქვეყნებში (დასავლეთ ევროპა, აშშ), რადგაც მთავრობის მხრიდან მსგავსი საწარმოები მიჩნეულია პრიორიტეტულად და ახორციელებენ მათი დახმარების მიზნით მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმებს. სწორედ ბიზნესის ეს ტიპი უწყობს ხელს მოსახლეობის საშუალო კლასის ფორმირებას, ეკონომიკის სტაბილურ განვითარებასა (ბოლო ათწლეულის განმავლობაში GDP-ს 50-70% იქმნება სწორედ აქ) და დასაქმების დონის ამაღლებას (ახალი სამუშაო ადგილების 2/3 სწორედ აქ ფორმირდება).

მცირე საწარმოები საკმაოდ ეფექტურია მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში: მცირე მექანიზმები, დეტალები და ნახევარფაბრიკატები, რისი წარმოებაც მსხვილი საწარმოებისთვის არარენტაბელურია,ამიტომაც დასავლეთის ქვეყნებში დამკვიდრებულია მცირე საწარმოების მიმართ სისტემური მიდგომა.

საქართველოს ეკონომიკისთვის, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნის ეკონომიკისთვის, უაღრესად პრიორიტეტულია მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა, სადაც შეიქმნება დიდი რაოდენობის დამატებითი ღირებულება და სამუშაო ადგილები. თუმცა რეფორმების ოცდახუთწლიანმა გამოცდილებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო და ქვეყანა კვლავ გარდამავალი ეკონომიკის მქონეთა რიგებში შეიძლება ჩაითვალოს, რაც გამოიწვია რეფორმების გატარების პროცესში დაშვებულმა რიგმა შეცდომებმა, რომლებმაც რეალურად ზოფიერთი მათგანი ფსევდორეფორმებად აქცია.[1]

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესწავლას და სექტორის ეფექტიანობის ამაღლებისათვის შესაფერისი რეკომენდაციების შემუშავებას.

სახელმწიფო, როგორც ძალაუფლების მქონე ინსტიტუცია, განუზომლად დიდ როლს ასრულებს SME სექტორის განვითარების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს როლის ხაზგასასმელად ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა ქართველ მეწარმეებთან მოკლე კითხვარის სახით, რომელიც მათი სახელმწიფო პოლიტიკისადმი დამოკიდებულებას ასახავს. მეწარმეთა შერჩევის კრიტერიუმები იყო: ა) საწარმოს ზომა/სიდიდე (მომუშავეთა რიცხოვნობა და წლიური ბრუნვა), ბ) საქმიანობის სფერო. გამოკვლეულ საწარმოთა 25% საქმიანობს ვაჭრობის, 17% - სოციალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების (სილამაზის სალონი, სამკერვალო და სხვ.), 10% - დამამუშავებელი მრეწველობის (ძირითადად კვების პროდუქტების წარმოება, საცხობი, საკონდიტრო და სხვ.), 10% - სასტუმროებისა და რესტორნებია (რესტორანი, კაფე, მცირე სასტუმრო), 7% _ ჯანდაცვის

1 პაპავა ვლ. საქართველოს ეკონომიკა, თბილისი 2015

(სტომატოლოგიური და სხვა სახის სამკურნალო დაწესებულებები), 7% _ მშენებლობისა და 7% _ საინფორმაციო ტექნოლოგიების (ინტერნეტ-კაფე, კომპიუტერული მომსახურება და სხვ.), 5% _ განათლების სფეროებში. შესაბამისად, კვლევის შედეგებში აისახა თითქმის ყველა ძირითადი ეკონომიკური სფეროს მეწარმეთა მოსაზრებები, პრობლემები და რეკომენდაციები. კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობა განაპირობა იმ ფაქტორმაც, რომ გამოკითხვა შეეხო სხვადასხვა სიდიდისა და საქმიანობის ხანგრძლივობის მქონე საწარმოებს. კერძოდ, მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით, გამოკვლეულ საწარმოთა 22% მიკრო ზომისაა, 71% - მცირე ზომის, ხოლო 6% - საშუალო ზომის. რაც შეეხება წლიურ ბრუნვას, გამოკვლეული საწარმოების 80%-ის ბრუნვა 100 ათას ლარზე ნაკლებია, ხოლო 20%-ის - 100 ათას ლარზე მეტი.

საქართველოში 2018 წლის მონაცემებით დარეგისტრირებულია 251732 შპს (მათ შორის აქტიური 68404) და 440416 ინდივიდუალური მეწარმე (მათ შორის აქტიური 91394). ჩვენს მიერ გამოკითხულია 500 SME სექტორის წარმომადგენელი დედაქალაქის მასშტაბით, შესაამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიღებული შედეგები არის რელევენტური და მიახლოებული რეალობასთან.

სახელმწიფო პოლიტიკა და SME სექტორი

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული საქართველოში დაიწყო მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ინსტიტუციების ჩამოყალიბება და საკანონმდებლო ბაზის შექმნის მცდელობა. ამ დროიდან მოყოლებული მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა ეკონომიკური განვითარების ძირითად პრიორიტეტად იქნა მიჩნეული. სწორედ ამიტომ 1999 წელს მიღებული კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ სსმ სექტორის განვითარების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავდა. აგრეთვე პრეზიდენტის ბრძანებით ჩამოყალიბდა „მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“, რომელიც ამგვარ საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით ახორციელებდა სწეციალურ ღონისძიებებსა და დახმარების პროგრამებს.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე სულ უფრო მეტად იზრდებოდა მცირე და საშუალო საწარმოთა აქტივობების პროცესი და მას სტაბილური და ეფექტიანი სახე მიეცა. კვლევების შედეგად გამოვლენილ იქნა ამ სექტორისთვის აუცილებელი ხელისშემწყობი საერთაშორისო გამოცდილება, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მაგალითზე, და დაიწყო მათი დანერგვა პრაქტიკაში. თუმცა 90-იან წლებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და სახელმწიფოს არაეფექტიანი მმართველობა ამ სფეროს განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორებად იქცა: კორუფციის მაღალი დონე, გადასახდებისგან თავის არიდება და შემოსავლების დამალვა, რომელიც ბიუჯეტის მუდმივ დეფიციტს იწვევდა, მოუქნელი საგადასახადო სისტემა, ბიუროკრატია, კორუმპირებული საჯარო მოხელეები, ჩრდილოვანი ეკონომიკა და სხვ.

2002 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოსცა ბრძანება #309 „საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერის 2002-2004 წლების პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ამ ღონისძიებების წყალობით მსს სექტორისთვის შეიქმნებოდა ჯანსაღი გარემო, რომელიც აამაღლებდა მათი საქმიანობის ეფექტიანობას და გაუმარტივებდა მეწარმეებს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, კვალიფიციური კადრების ჩართვას თავიანთ ბიზნესში, შეასუსტებდა რეგიონებს შორის დიფერენციაციის დონეს და სოციალური პრობლემების მოგვარებაშიც შეიტანდა წვლილს. 2006 წლიდან უფრო აქტიურად დაიწყეს საკანონმდებლო ცვლილებები და მსს, როგორც ინსტიტუციის გასაძლიერებლად. მოხდა არსებული კანონების მოდიფიცირება, ზოგიერთი სრულიად გაუქმდა და სრულიად ახლებიც შემოიღეს: როგორიცაა მაგალითად ერთი ფანჯრის პრინციპი და სხვ.

ექსპერტები ხშირად აკრიტიკებენ მთავრობებს, თითქოს მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობა და ბიზნეს გარემოს გაჯანსაღება არ არის პრიორუტეტული. ამ მოსაზრებას ამყარებენ იმ არგუმენტებით, რომ არ ხორციელდება სსმ-ს ხელისშემწყობი ღონისძიებები ეკონომიკური პოლიტიკის დონეზე. ასევე სერიოზულ პრობლემას ვაწყდებით თვითონ სსმ ტერმინოლოგიურ განმარტებებთან დაკავშირებითაც. სსმ სექტორისთვის განკუთვნილი სპეციალური კანონისა და ნორმატიული აქტების გაუქმების შედეგად ამ სფეროს ბიზნეს მაჩვენებლები გაუარესდა. თუმცა ცალსახად მთავრობის დადანაშაულება ამ საქმეში არაკორექტული იქნება, რადგან გლობალური საფინანსო კრიზისის და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად წარმოება არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ყოველივე ეს გარკვეულწილად იმის შედეგიცაა, რომ მთავრობას არ გააჩნია გრძელვადიანი ხედვა და არ ისახავს ისეთ პერსპექტივებს მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობისათვის, რომელიც დროის ფართო სპექტრზე გავრცელდება. 2009 წელს მთავრობა კიდევ ერთხელ მოექცა კრიტიკის ქარცეცხლში რადგან სამოქალაქო მოძრაობა „სოლიდარობის“ მიერ მცირე საწარმოთა შესახებ შემუშავებული კანონპროექტის განხილვა არ მოახდინა, მიუხედავად იმისა, რომ ის სთავაზობდა ბევრ საინტერესო ხედვას აღნიშნული სფეროს დასარეგულირებლად.

სტრატეგიული განვითარების გეგმაზე საუბრისას აუცილებელია განვიხილოთ საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროექტი „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“. სტრატეგიაში დეტალურადაა აღწერილი ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა გადაჭრაც საჭიროა, რათა მოხდეს გრძელვადიანი , მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება. „სამთავრობო სტრატეგია განსაზღვრავს რიგ პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათ შორის: საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა; ექსპორტის ზრდის ხელშე-

წყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება; შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა; საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარება."[1]

სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესის ხელშესაწყობ ღონისძიებათაგან ასევე აღნიშვნის ღირსია თბილისის მერიის პროგრამა „დაიწყე შენი ბიზნესი მერიის დახმარებით". გარდა ამისა სახელმწიფომ მსს დასახმარებლად გამოყო საბიუჯეტო სახსრები შემდეგი პროგრამების დასაფინანსებლად:

- 2007 წელს "სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა" დაფინანსდა 20 მლნ. ლარით.
- 2008 წელს - 62.5 მლნ. ლარი „იაფი კრედიტი"-ს ფარგლებში, საიდანაც - ექსპორტის წახალისების ქვეპროგრამას მოხმარდა 49.5 მლნ. ლარი.
- 2009 წელს „იაფი კრედიტის" პროგრამას მოხმარდა 2.5 მლნ ლარი. რის შემდეგაც „იაფი კრედიტის" პროგრამის დაფინანსება აღარ განხორციელებულა.

აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად. ეს პროექტები საქართველოში ხორციელდება 1990-წიანი წლების მეორე ნახევრის შემდგომი პერიოდიდან. მათი წყალობით მოხდა ბიზნეს გარემოს ფორმირება, რეგულაციების სრულყოფა, ფინანსები გახდა ხელმისაწვდომი, დაიწყეს ზრუნვა მცირე საწარმოთა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და ა.შ. დონორ ორგანიზაციებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია UNDP, USAID, GIZ, IFC, ათასწლეულის გამოწვევა საქართველო, შვეიცარიის განვითარებისსა და თანამშრომლობის სააგენტო, ლტოლვილთა ნორვეგიის საბჭო და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი საშუალებით დაარსდა საკონსულტაციო ცენტრები, ბიზნეს ინკუბატორები და სხვ.

1 საქართველოს სოციალურ-ეკონომუკური განვითარების სტრატეია 2020 https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ ერთობლივად განხორციელებული მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტები ხელს უწყობს საკითხების გადაწყვეტას. თუმცა ძირითად შემთხვევებში ეს ღონისძიებები ფრაგმენტული ხასიათისაა და საპროექტო ვადის ამოწურვასთან ერთად ასრულებენ სასიცოცხლო ციკლს. კიდევ ერთი საკითხი არის ტექნიკური დახარებების და სხვა მსგავსი ხელშეწყობების მდგრადობის შეფასების შეუძლებლობა, რადგან არსებული მონაცემთა ბაზა არ იძლევა საშუალებას შეფასდეს ამ კუთხით განხორციელებული აქტივობები.

მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის, განვითარების და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდის მხარდაჭერისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, 2014 წლიდან მოქმედებს ორი უწყება - მეწარმეობის განვითარების სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო.

საქართველოში მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერის რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნის და უკვე არსებულის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დაიწყო სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში".

ქართველი მეწარმეების შეფასებები

რესპოდენტმა მეწარმეებმა გვიპასუხეს კითხვაზე, თუ რამდენად თვალსაჩინოა ბოლო ორი წლის მანძილზე განხორციელებული რეფორმები ბიზნესისათვის გარემოს გაუმჯობესების კუთხით **(დიაგრამა 1)**.

პასუხებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეწარეებისთვის სახელმწიფო პოლიტიკა ან სრულიად არადამაკმაყოფილებელია ან არ აქვთ ცოდნა გატარებული რეფორმების შესახებ, რაც სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი საქმიანობის პიარის ნაკლებობითაა გამოწვეული. ამას არგუმენტებს ამყარებს შემდეგი შეკითხვის პასუხებიც **(დიაგრამა 2)**:

დიაგრამა 1. გამოკითხულთა დაჯგუფება საქართველოში ბიზნეს გარემოს ცვლილების აღქმის მიხედვით ბოლო 2 წლის განმავლობაში





დასკვნა

საქართველოს ეკონომიკის სუსტ მხარედ შეგვიძლია განვიხილოთ მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ეკონომიკის ქმედითი მამოძრავებელი ბიძგის ვერმიცემა, ახალი სამუშაო ადგილების გენერირების დაბალი დონე და GDP-ში მათ მიერ შექმნილი მომსახურებისა და პროდუქტის მცირე წილი. საქართველოს ეკონომიკა ძირითადად მსხვილ საწარმოებზე დგას, რომელთაც სუსტი კორელაციური კავშირი აქვთ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან.

მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლამ, ანალიზმა და ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ შემდეგი დასკვნების და რეკომენდაციების გაკეთების საშუალება მოგვცა:

1. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ აღნიშნული სექტორის ზრდის და განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტები, ისინი გაძლიერებას საჭიროებენ.
2. ინოვაციებისა და კვლევა-განვითარების ხელშეწყობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კომპანიების კონკურენტუნარიანობის და პროდუქტიულობის ამაღლებისთვის. კომპანიების, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო საწარმოებთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება არის დაბალი, რისი ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ტექნოლოგიების განვითარების არასაკმარისი დონე და ინოვაციების ნაკლებობაა. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ინოვაციებსა და R&D-ს განვითარებას მცირე და საშუალო საწარმოებში, აუცილებელია გაიზარდოს ცნობადობა ინოვაციური მეწარმეობის მნიშვნელობაზე.
3. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნა მცირეა საექსპორტო ბაზრების მოთხოვნებთან დაკავშირებით, როგორც პროდუქტსა და მომსახურებაზე მოთხოვნის, ასევე მათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ მოთხოვნებზე, რაც თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ექსპორტის პოტენციალის განვითარებაზე.მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის უმნიშვნელოვანესია ექსპორტის ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა ვ., საქართველოს ეკონომიკა, თბილისი 2015
2. ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის ანალიზი (NIS) - მოხსენება 2011 http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/eng_sme_development_strategy.pdf
3. კანონი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ 2002 წელი https://matsne.gov.ge/ka/document/view/13810
4. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/eng_sme_development_strategy.pdf
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2010 წელი http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?doc_id=8731
6. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/eng_sme_development_strategy.pdf
7. სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

SME DEVELOPMENT INSTITUTIONS IN GEORGIA

NATIA SURMANIDZE
Phd Candidate in Economics, Tbilisi State University, 0177, Georgia International Economic and Economic Doctrines cathedral

ANNOTATION

SME development is strategically important for the country's economic development. This field is responsible for employment growth and job creation. Due to these main reasons and considering its contribution to economic development and growth, we can say, SME sector performs the function of backbone of the economy for any country. SME has a social significance in countries with developed economy. It promotes the formation of the middle class in society. This is why stable development of this field is the prerequisite of sustainable economic development. 50 to 70% of developed countries' GDP is produced by small and medium-sized enterprises. Taking all this into consideration, keeping the fast pace in development of SME is regarded as a priority by the governments of developed countries.

In the presented work we analysed and discussed the definition of SME, its role and development trends in Georgia, state support policy.

Key words: SME sector, state policy, business low, government regulations.

INTRODUCTION

SME development is fast paced in developed countries (Western Europe, USA) because this kind of enterprises are considered a priority and supported by governments. These businesses promote the formation of the middle class, sustainable economic development (for the last decade, 50 to 70% of GDP is produced by them) and employment growth (2/3 of new jobs are created by them).

Small enterprises are working quite effectively in processing industry. For example, manufacturing small mechanisms, parts and semi-finished products is unprofitable for large enterprises, so the western countries have established systematic approach to small enterprises.

For the economy of Georgia as for the post-soviet country growth of SME, where the large quantities of added value and jobs are created, is a top priority. But 25 years of reform did not have a desired outcome and the economy of our country can still be considered as transitional. This was caused by the mistakes that were made in reform process and they literally turned some of the reforms into pseudo-reforms.[1]

Studying SME development and also developing suitable recommendations to raise sector efficiency has been a priority for Georgia after transiting into market economy.

The state, as the powerful institution, is playing an immeasurably big role in providing SME development. To underline this role we conducted scholar inquiry by the short questionnaire with Georgian entrepreneurs. The inquiry reflects their attitude towards state policy. The criteria for selection were: a) the size of the enterprise (number of workers and annual turnover); b) activity field. Activities of the enterprises that participated in the research are: 25% trade, 17% personal and household services (beauty salon, sewing shops, etc.), 10% manufacturing (food products, bakery, confectionery, etc.), 10% hotels and restaurants (restaurant, café, hostel, etc.), 7% healthcare (dental and other healthcare services), 7% construction, 7% IT (internet café, computer services, etc.), 5% educational. Therefore, research results show arguments, problems and recommendations of entrepreneurs from almost every fundamental economy field. Research results are representative because the inquiry concerned the enterprises of different size and activity. In particular, according to the number of workers 22% of the enterprises were micro-enterprises, 71% small enterprises and 6% medium-sized enterprises. What concerns the annual turnover, 80% of the enterprises has less than 100 GEL, while 20% has more than 100 GEL.

By the data of the year 2018 there are 251732 Ltd companies (among them 68404 are active) and 440416 individual entrepreneurships (among them 91394 are active) are registered in Georgia. We inquired 500 SMEs in the capital area and, therefore, we can say that the results are relevant and close to reality.

STATE POLICY AND SME SECTOR

After Georgia gained independence from Soviet Union there were attempts of creating institutions and legislative base for SME. Since then supporting small business was considered as a priority for economic development. Accordingly, Law on "Small Enterprise Support" issued in 1999 defined fundamental principles of SME sector devel-

1 Papava V., Georgia's Economy, Tbilisi 2015

opment. Also, by order of the president Small Enterprises Development and Promotion Centre was created, which carried out special events and support programs for these enterprises.

Therefore, the process of SME activity was getting bigger and became stable and effective. The results of studies show the essential supportive international experience for this sector, by the example of countries with transitional economy and international organizations had begun the bringing of this experience in practice. But social and economic situation and ineffective governance in 90s created complications in SME sector development: high corruption, avoided taxes and hidden revenue that caused constant budget deficit, inflexible tax system, bureaucracy, corruption in public service, the Shadow Economy, etc.

In 2002, President Saakashvili issued a Decree No. 309 "On Approval of Small and Medium Enterprise State Support Program for 2002-2004 in Georgia". Thanks to these activities, a healthy environment for the SME sector would be created, which would increase the efficiency of their activities and facilitate entrepreneurs' access to information, attract qualified personnel to their business, reduce the level of differentiation between regions and contribute to solving social problems. Since 2006, legislative amendments have been more actively initiated to strengthen the SME as an institution. Existing laws were modified, some were completely abolished and completely new ones were adopted: for example, the single-window principle, etc.

Experts often criticize governments, as if supporting small and medium entrepreneurs and improving the business environment are not a priority. This assumption is based on the argument that no measures are being taken to support SME at the level of economic policy. We also face a serious problem with the SME terminological definitions. As a result of the abolition of a special law and regulations intended for the SME sector, business indicators in this area have worsened. However, it would be inaccurate to unambiguously accuse the government in this matter, because as a result of the global financial crisis and the Russian-Georgian conflict, production has turned out to be in an unenviable position.

This is partly as a result of the fact that the government does not have a long-term vision and does not set out those prospects for small and medium enterprises that will be spread over a wide range of time. In 2009, the government was again heavily criticized not discussing a bill on small enterprises, drawn up by the civic movement Solidarity, despite the fact that this bill offered many interesting views on the regulation of this sphere.

When discussing a strategic development plan, it is necessary to discuss the draft "Social-Economic Development Strategy of Georgia 2020", developed by the Government of Georgia. The strategy describes in detail the priorities and problems that need to be addressed to ensure a long-term, sustainable and inclusive economic development. "The government's strategy defines a number of priority areas, including: improving the investment and business environment; supporting innovation and technology development; promoting export growth; infrastructure development and maximum use of transit potential; labor force development focused on labor market demands; improvement of the social security system; providing affordable and quality health care; mobilization of investment resources and development of financial intermediation.[1]

Among government initiatives aimed at supporting small businesses, the Tbilisi City Hall's program "Start Your Business with the help of the City Hall" is worth mentioning. In addition, the state has allocated budget funds to help the SME and finance the following programs:

- In 2007, the "Targeted State Program for In-Service Training " was financed in the amount of GEL 20 million.
- In 2008, GEL 62.5 million were allocated within the framework of the "Cheap Loan" program, where GEL 49.5 million were spent on the export promotion subprogram.
- In 2009, GEL 2.5 million was spent on the "Cheap Loan" program, after which the "Cheap Loan" program was no longer financed.

It is worth mentioning the projects implemented by international donor organizations to support the SME. These projects have been implemented in Georgia since the second half of the 1990s. Thanks to them, it became possible to form a business environment, improve regulations, finances became available, they began to take care of improving the skills of small business personnel, etc. Among donor organizations, UNDP, USAID, GIZ, IFC, Millennium Challenge Georgia, Swiss Agency for Development and Cooperation, the Norwegian Refugee Council and other governmental and non-governmental organizations are of particular importance. With their help, consulting centers, business incubators and so on were established.

Small business support projects, jointly implemented by the Government of Georgia and international donor organizations, contribute to resolving some issues. However, in major cases, these activities are of fragmentary nature and along with expiration of the project, they complete their life cycle. Another issue is the impossibility to assess the sustainability of technical assistances and other similar supports, as the existing database does not allow assessment of the activities carried out in this direction.

In order to support the establishment and development of small and medium enterprises and increase their competitiveness, since 2014 there are two agencies operating in the system of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia - the Entrepreneurship Development Agency and Georgia's Innovation and Technology Agency.

There are several organizations in Georgia that support small and medium entrepreneurship, among them: Georgian

1 Social-economic Development Strategy of Georgia - GEORGIA 2020 https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

Chamber of Commerce and Industry, Georgian Employers' Association, Georgian Small and Medium Enterprises Association.

In order to develop small and medium enterprises, new competitive industries and the existing ones, in 2014 the Government of Georgia launched the state program "Produce in Georgia".

ESTIMATES OF GEORGIAN ENTREPRENEURS

Entrepreneurs answered the question: "How has the business environment changed over the past two years, in your estimation?" **(diagram N1).**

Based on the answers, we can assume that for entrepreneurs the state policy is either completely unsatisfactory, or they lack knowledge of the reforms undertaken, which is caused by the lack of PR about their own activities from the state. Answers to the following question are also supported by arguments: **(diagram N2).**

CONCLUSION

The inability of small and medium enterprises to give an effective impulse to the economy, a low level of generation of new jobs and a small share of services and products created by them in GDP can be considered a weak part of the Georgian economy. The economy of Georgia mainly stands at large enterprises, which have a weak correlation with small and medium-sized enterprises.

From an economic and organizational point of view, poor mobilization of small and medium-sized enterprises and the failure to use their collective efforts impeded investment growth, the logistics of enterprises and current cost policies required a significant transformation of their management, and the strengthening of global trends and the lack of human resources in the country compounded problems of entrepreneurship, and the chain of development of small business values remained undeveloped.

The study, analysis and our research of the current state





of SME gave us the opportunity to draw conclusions and make the following recommendations:

1. Institutions supporting small and medium enterprises play a crucial role in the growth and development of this sector. Despite the fact that support institutions for SME already exist in Georgia, they need to be strengthened.

2. Supporting innovation and research and development is one of the most important factors in improving the competitiveness and productivity of companies. The value added of companies, especially small and medium enterprises, is low, one of the reasons for which is the insufficient level of technology development and the lack of innovation. In order to support innovation and R&D development in small and medium enterprises, it is necessary to raise awareness of the importance of innovative entrepreneurship.

3. Knowledge of small and medium entrepreneurs is low regarding the demand for export markets, not only on the demand for goods and services, but also their related specific requirements, which, in turn, negatively affect the development of export potential. In order to support the competitiveness of small and medium enterprises, export support is crucial.

REFERENCES:

1. Papava V., Georgia's Economy, Tbilisi 2015
2. TAX CODE OF GEORGIA https://matsne.gov.ge/en/document/download/1043717/93/en/pdf
3. Small and Medium Entrepreneurship Development Strategy for 2016-2020 http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/eng_sme_development_strategy.pdf
4. Law on National Investment Agency of Georgia 2002 https://matsne.gov.ge/ka/document/view/13810
5. Social-economic Development Strategy of Georgia - GEORGIA 2020 https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf
6. Georgia National Integrity System Assessment 2011 https://www.transparency.ge/sites/transparency.ge.nis/files/TIGeorgia_NISReport_en.pdf
7. National Statistics Office of Georgia https://www.geostat.ge/